პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: } რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № [illegible]
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ.,
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

— გაიხსნა ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის სადელეგატო კონფერენცია.
— საფრანგეთის მეტყევეთა კონგრესზე დასასწრებლად გაემგზავრა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ამხ. იუზეფოვიჩი.
— დღეს გაიხსნება ახალგაზრდობის კომინტერნის "აღმასკომის" პლენუმი.
— კლაუზენბურგში (რუმინეთი) დამთავრდა კომუნისტების პროცესი.
— საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ცნობილი წევრების ჯგუფი მოითხოვს საკო და ვანცეტის განთავისუფლებას.
— ამერიკაში აშენებენ დიდ სატუსაღოს, რომელიც 15 მილიონ მან. დაჯდება.

პარასკევი, 12 ნოემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 259 (1714)

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენცია

ამხ. სტალინის საბოლოო სიტყვა

ენგელსის „კომუნიზმის პრინციპები"

ამხანაგებო! ჩემს მოხსენებაში მე ვამბობდი, რომ მარქსიზმი არ არის დოგმა, არამედ ის არის მოქმედების გზის მაჩვენებელი; მე ვამბობდი, რომ ენგელსის მიერ წარსულ საუკუნის 40-იან წლებში მოცემული ფორმულა თავის დროზე იყო სწორი, ხოლო ამჟამად ის არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. მე ვამბობდი, რომ ამის გამო ის უნდა შეიცვალოს ლენინის ფორმულით იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის განვითარების ახალ პირობებში სოციალიზმის გამარჯვება ცალკე ქვეყნებში სავსებით შესაძლებელი და მოსალოდნელია.

კამათის დროს მე მედავებოდენ ამაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გაისარჯა ამხ. ზინოვიევი. ამიტომ მე იძულებული ვარ ხელმეორედ დავსვა ეს საკითხი და უფრო დაწვრილებით გავაშუქო ის.

მე ვფიქრობ, რომ ამხ. ზინოვიევს არ წაუკითხავს ენგელსის „კომუნიზმის პრინციპები", და თუ წაუკითხავს, ვერ გაუგია—თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ დამიწყებდა დავობას, ის გაითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ ენგელსის ამ ძველ ფორმულას ახლა ეპიდება სოციალ-დემოკრატია ლენინიზმთან ბრძოლის დროს, თორემ ზინოვიევი მიხვდებოდა, რომ სოციალ-დემოკრატიის კვალზე სიარულით, შეიძლება შეეჩეხო „გადაგვარების" ზოგიერთ საფრთხეს.

აი, რას ამბობს ენგელსი თავის „კომუნიზმის პრინციპებში", რომელიც თავისით წარმოადგენს ცალკე დებულებების განმარტებას კითხვა-პასუხების სახით:

„კითხვა—შეიძლება თუ არა ერთბაშად კერძო საკუთრების მოსპობა?

პასუხი—არა, არ შეიძლება, სწორედ ისევე, როგორც არ შეიძლება ერთბაშად გაადიდო წარმოების არსებული საშუალებები ისეთ ფარგლებში, როგორიც საჭიროა საზოგადოებრივი წარმოების შესაქმნელად. ამიტომ პროლეტარიატის რევოლუცია, რომელიც ალბად, მოხდება, შესძლებს მხოლოდ თანდათან გადააგვაროს დღევანდელი საზოგადოება, და მხოლოდ ამის შემდეგ გააუქმოს კერძო საკუთრება, როცა უკვე შექმნილი იქნება ამისათვის საჭირო უამრავი საწარმოო საშუალება.

კითხვა—როგორი იქნება ამ რევოლუციის განვითარება?

პასუხი—უპირველეს ყოვლისა ის შექმნის დემოკრატიულ წესწყობილებას და სწორედ ამითვე პირდაპირ თუ არაპირდაპირ შექმნის პროლეტარიატის პოლიტიკურ ბატონობასაც".

აქ, ალბად, ლაპარაკია ბურჟუაზიის დამხობაზე და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაზე. თქვენ იცით, რომ ეს პუნქტი ჩვენ უკვე განვახორციელეთ და განვახორციელეთ გადაჭარბებითაც. (ხმები: „სწორია, მართალია").

შემდეგ: „დემოკრატია პროლეტარიატისათვის სრულიად უსარგებლო იქნებოდა, თუ ის არ ისარგებლებდა მით, როგორც იმ ფართო ღონისძიებათა გატარების საშუალებით, რომელნიც ძირს უთხრიან საკუთრებას და უზრუნველყოფენ პროლეტარიატის არსებობას. ასეთი უმთავრესი ღონისძიებანი, რომელნიც აუცილებლად გამომდინარეობენ ამჟამად არსებულ პირობებიდან, შემდეგია: პირველი—კერძო საკუთრების შეზღუდვა: პროგრესიული გადასახადი, დიდი გადასახადი მემკვიდრეობაზე, ნათესავების ძმების, ბიძაშვილების მემკვიდრეობის უფლების გაუქმება, იძულებითი სესხი და სხ.

თქვენ იცით, რომ ეს ღონისძიებანი განხორციელებულია და ვახორციელებთ გადაჭარბებითაც.

შემდეგ: „მეორე—მიწის მესაკუთრეთა, ფაბრიკების, რკინის გზების და საზღვაო გემების მეპატრონეების თანდათანობითი ექსპროპრიაცია ნაწილობრივ სახელმწიფო მრეწველობის კონკურენციით და ნაწილობრივ კი ასიგნობებით გამოყიდვით".

თქვენ იცით, რომ ეს ღონისძიებანიც გატარებულია ჩვენ მიერ ჯერ კიდევ ჩვენი რევოლუციის პირველ წლებში.

შემდეგ: „მესამე—ემიგრანტებისა და იმ მოწინააღმდეგეთა ქონების კონფისკაცია, რომელნიც აჯანყდენ ხალხის უმრავლესობის წინააღმდეგ".

თქვენ იცით, რომ ჩვენ უკვე მოვახდინეთ კონფისკაცია და ისე, რომ ამის იქით წასვლა აღარ შეიძლება (სიცილი).

შემდეგ: „მეოთხე—შრომის ორგანიზაცია ან პროლეტარებისათვის სამუშაოს მიცემა სახალხო მამულებში, ფაბრიკებში და სახელოსნოებში, რის მეოხებითაც თავიდან აცილებული იქნება მუშების კონკურენცია ურთი-ერთ შორის და ფაბრიკის მეპატრონეები, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ რჩებიან, იძულებული იქნებიან გადიხადონ ისეთივე მაღალი ხელფასი, როგორც სახელმწიფო".

ცნობილია, რომ ამ გზაზე ჩვენ მივადწიეთ და ვაღწევთ მთელ რიგ გამარჯვებებს და ძირითად ეს პუნქტი უკვე ხორციელდება.

შემდეგ: „მეხუთე—ერთნაირი იძულებითი შრომა საზოგადოების ყველა წევრებისათვის კერძო საკუთრების გაუქმებამდე. სამრეწველო არმიების შექმნა, განსაკუთრებით კი სასოფლო-მეურნეობისათვის".

თქვენ იცით, რომ ჩვენ ვცადეთ ეს გზა სამხედრო კომუნიზმის პერიოდში შრომის არმიების სახით. მაგრამ ამ გზაზე დიდ შედეგებს ვერ მივაღწიეთ. შემდეგ ჩვენ წავედით ამ მიზნისაკენ ხვეული გზებით და არ არის არავითარი საფუძველი ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ჩვენ ამ დარგში მივაღწევთ დიდ წარმატებას.

შემდეგ: „მეექვსე—საკრედიტო სისტემისა და ფულით ვაჭრობის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში ეროვნული ბანკის საშუალებით სახელმწიფო კაპიტალით. ყოველგვარ კერძო ბანკებისა და საბანკო კანტორების დახურვა".

ესეც, ამხანაგებო, როგორც თქვენ კარგად იცით, ძირითადად უკვე განვახორციელეთ.

შემდეგ: „მეშვიდე—სახელმწიფო ფაბრიკების, სახელოსნოების, რკინისგზების, საზღვაო გემების რიცხვის გადიდება, ყველა დაუმუშავებლად დარჩენილი მიწების დამუშავება და უკვე დამუშავებულ მიწების დამუშავების გაუმჯობესება იმის და მიხედვით, თუ რამდენად იზრდება ის კაპიტალი და მუშათა რიცხვი, რომლებიც სახელმწიფოს განკარგულებაშია".

თქვენ იცით, რომ ეს საქმე ხორციელდება და წინ მიიწევს, რასაც დიდათ ხელს უწყობს მიწის ნაციონალიზაცია და მრეწველობის ძირითად დარგების ნაციონალიზაცია.

შემდეგ: „მერვე—ბავშვების აღზრდა' იმ მომენტიდან, როცა ისინი დედის მოუვლელად გაძლებენ, სახელმწიფო დაწესებულებებში და სახელმწიფო ხარჯზე".

ეს საქმე ჩვენში ხორციელდება, მაგრამ მის განხორციელებას, ჯერ კიდევ ბევრი უკლია, ვინაიდან ომითა და ინტერვენციით გაღატაკებულთ, ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია სახელმწიფოში მყოფ ყველა ბავშვების სახელმწიფოს ხარჯზე აყვანა.

შემდეგ: „მეცხრე—დიდ სასახლეების აგება ნაციონალურ სამფლობელოებში საერთო საცხოვრებელ კომუნების სახით იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც მოჰკიდებენ ხელს მრეწველობას და სასოფლო მეურნეობას და შეართებენ ქალაქური და სოფლური ცხოვრების უპირატესობებს, მათი ცალმხრივობისა და ნაკლულევანებებისაგან დაუზარალებლად".

როგორც სჩანს, ლაპარაკი საბინაო საკითხზე უფრო დიდი მასშტაბით. თქვენ იცით, რომ ჩვენ ამ საქმეს ვაწინაურებთ და თუ ის დღემდე საფუძვლიანად არ არის განხორციელებული, და, ალბად, არც ჩქარა განხორციელდება, ეს იმიტომ, რომ მემკვიდრეობით მიღებულ ჩამორჩენილი მრეწველობის ნიადაგზე, ჩვენ ვერ მოვასწარით, და ვერც შევძლებით მოვესწრო, საკმაო ფონდის დაგროვება ფართო საბინაო მშენებლობისათვის.

შემდეგ: „მეათე—ყველა დაიფრაკებულ და ცუდათ აშენებულ სახლებისა და კვარტალების დანგრევა ქალაქებში".

ეს პუნქტი წინაპუნქტის შემადგენელი ნაწილია და ამიტომ წინაპუნქტის შესახებ ნათქვამი ამ პუნქტსაც უნდა შეეხებოდეს.

შემდეგ: „მეთერთმეტე—კანონიერისა და ქორწინების გარეშე ბავშვების მემკვიდრეობითი უფლებების თანაბრობა".

მე ვფიქრობ, რომ ეს საქმე ჩვენში, ასე ვთქვათ, დამაკმაყოფილებლად დაყენებულია.

დაბოლოს, უკანასკნელი პუნქტი: „მეთორმეტე—ხალხის ხელში მთელი სატრანსპორტო საქმის თავმოყრა".

თქვენ უკვე იცით, რომ ეს საქმე ჩვენში სრულიად არის განხორციელებული.

ასეთია პროლეტარული რევოლუციის პროგრამა, მოცემული ენგელსის მიერ მის „კომუნიზმის პრინციპებში".

თქვენ ხედავთ, რომ ამ პროგრამის ცხრა მეათედი განხორციელებულია ჩვენი რევოლუციის მიერ.

მარქსიზმი არაა დოგმა

შემდეგ: „საკითხი: შეიძლება თუ არა ეს რევოლუცია მოხდეს ერთ რომელიმე ქვეყანაში?"

პასუხი: არა. მსხვილმა მრეწველობამ უკვე იმით, რომ მან შექმნა მსოფლიო ბაზარი, ისე დაუკავშირა ერთი მეორეს დედამიწის ზურგის ყველა ხალხი, განსაკუთრებით დაწინაურებული ერები, რომ თვითეული მათგანი დამოკიდებულია იმისაგან, რაც მეორე ერთან ხდება. შემდეგ, მსხვილმა მრეწველობამ ისე გაათანასწორა ყველა დაწინაურებულ ქვეყნების საზოგადოებრივი განვითარება, რომ ყველგან ბურჟუაზია და პროლეტარიატი გადაიქცა საზოგადოების ორ გადამწყვეტ კლასად. ბრძოლა მათ შორის გადაიქცა დღევანდელი დროის მთავარ ბრძოლად. ამიტომ კომუნისტური რევოლუცია იქნება არა მარტო ნაციონალური, არამედ ის ერთდროულად მოხდება ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში, ე. ი. უკიდურეს შემთხვევაში ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში და გერმანიაში მაინც".

აი, როგორია ამხანაგებო საქმის მდგომარეობა.

ენგელსი ამბობდა, რომ ზევით განმარტებულ პროგრამის მიხედვით პროლეტარული რევოლუცია ვერ მოხდება ცალკე ქვეყანაში. ფაქტები ღაღადებენ, რომ პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის ახალ პირობებში, იმპერიალიზმის პირობებში, არსებითად ჩვენ მოვახდინეთ ასეთი რევოლუცია ცალკე ქვეყანაში—ჩვენს ქვეყანაში, განვახორციელეთ რა მისი პროგრამის ცხრა მეათედი.

ზინოვიევს შეუძლია სთქვას, რომ ჩვენ შევცდით, ამ პროგრამის განხორციელებით, ამ პუნქტების განხორციელებით (სიცილი). სულ ადვილად შესაძლოა, რომ ჩვენ დავუშვით ერთგვარი „ნაციონალური კარჩაკეტილობა" ამ პუნქტების განხორციელებით (სიცილი). სულ ადვილი შესაძლებელია, მაგრამ ერთი მაინც აშკარაა, რომ ის, რასაც ენგელსი წარსული საუკუნის 40-იან წლებში, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში განუხორციელებლად და შეუძლებლად სთვლიდა ერთ ქვეყანაში, შესაძლებელი გახდა მისი განხორციელება ჩვენს ქვეყანაში, იმპერიალიზმის პირობებში.

რასაკვირველია, ენგელსი რომ ცოცხალი იყოს, ის არ ჩაებღაუჭებოდა ძველ ფორმულას. პირიქით, ყოველმხრივ მიესალმებოდა ჩვენს რევოლუციას და იტყოდა: „ჯანდაბას ყველა ძველი ფორმულები, გაუმარჯოს ძლევამოსილ რევოლუციას საბჭოთა კავშირში". (ტაში).

მაგრამ ასე როდი ფიქრობენ ვაჟბატონები სოციალ-დემოკრატების ბანაკიდან. ისინი ენგელსის ძველ ფორმულას იმიტომ ებღაუჭებიან, რომ მას ამოფარებული, გაიადვილონ ბრძოლა ჩვენი რევოლუციის წინააღმდეგ, ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს, რასაკვირველია, მათი საქმეა. მხოლოდ ვერ არის კარგი, რომ ზინოვიევი ცდილობს მიჰბაძოს მათ, ამ ვაჟბატონებს, დგება რა ამ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიულ გზაზე.

მოვიყვანე რა ენგელსის ფორმულა და განვავითარე ის, მე მხედველობაში მქონდა სამი მოსაზრება: პირველი, მე მინდოდა ლენინის ფორმულა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ დამეპირდაპირებინა ენგელსის ფორმულისათვის, რომელიც მეტად მკაფიოთ გამოხატავს ერთ-ერთ პერიოდის მარქსისტების შეზღუდულობას, რათა ამ გზით რაც შეიძლება ნათლად გამეშუქებინა საკითხი. მეორე—მინდოდა გამომემჟღავნებინა სოციალ-დემოკრატიის რეფორმიზმი და ანტირევოლუციონიზმი, სოციალ-დემოკრატიის, რომელიც ენგელსის ძველი ფორმულის საშუალებით ცდილობს მიჩქმალოს თავისი ოპორტუნიზმი და მესამე—მეჩვენებინა, რომ ლენინი იყო პირველი, რომელმაც გადასჭრა საკითხი სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ერთ ქვეყანაში.

უნდა ითქვას, რომ სწორედ ლენინმა და არა სხვა ვინმემ აღმოაჩინა ჭეშმარიტება სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესახებ. არ შეიძლება წავართვათ ლენინს ის, რაც მან დაიმსახურა. სიმართლის კი არ უნდა გვეშინოდეს, არამედ უნდა გვქონდეს გამბედაობა ვსთქვათ სიმართლე, უნდა გვქონდეს გაბედულობა ვაღიაროთ აშკარად, რომ ლენინი იყო პირველი მარქსისტი, რომელმაც ახალ ნიადაგზე დასვა საკითხი სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ერთ ქვეყანაში და დადებითად გადასჭრა ის.

მე ამით სრულებითაც არ მინდა ვსთქვა, რომ ლენინი, როგორც მოაზროვნე მარქსზე და ენგელსზე მაღლა სდგას. მე ამით მინდა ვსთქვა მხოლოდ ორი რამ: პირველი, არ შეიძლება მოვსთხოვოთ მარქსს და ენგელსს, რაგინდ გენიალური მოაზროვნეები არ იყვნენ ისინი, რომ მათ წინა მონოპოლისტურ კაპიტალიზმის ხანაში გაითვალისწინონ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის და პროლეტარული რევოლუციის ყველა შესაძლებლობანი, რომელთაც თავი იჩინეს ნახევარ საუკუნის შემდეგ მონოპოლისტურ კაპიტალიზმის განვითარების ხანაში. მეორე, არაფერი გასაკვირალი არ არის იმაში, რომ ლენინმა, როგორც მარქსის და ენგელსის გენიალურმა მოწაფემ, გამონახა პროლეტარული რევოლუციის ახალი შესაძლებლობანი კაპიტალიზმის განვითარების ახალ პირობებში და ამგვარად აღმოაჩინა სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების, შესაძლებლობის ჭეშმარიტება.

უნდა ვიცოდეთ გარჩევა მარქსიზმის დოგმის და შინაარსის, მარქსიზმის ცალკე დებულებების და მეთოდის. ლენინმა შესძლო აღმოეჩინა ჭეშმარიტება სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესახებ იმიტომ, რომ ის მარქსიზმს სთვლიდა არა დოგმად, არამედ მოქმედების გზის მაჩვენებლად, ის არ იყო დოგმის მონა და ეყრდნობოდა იმას, რაც მთავარი და ძირითადი იყო მარქსიზმში. აი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი თავის ბროშიურაში „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში": („Детская болезнь левизны в коммунизме"): „ჩვენი თეორია არის არა დოგმა, არამედ მოქმედების გზის მაჩვენებელი, ამბობდენ მარქსი და ენგელსი, და ისეთ „ჭეშმარიტ" მარქსისტებისათვის, როგორც არიან კაუცკი, ოტო ბაუერი და სხვები უდიდეს შეცდომათ, უდიდეს დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათ ეს ვერ გაიგეს და ვერ გამოიყენეს პროლეტარიატის რევოლუციის უმნიშვნელოვანეს მომენტებში".

აი მარქსის, ენგელსის და ლენინის გზა, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ, რომელზედაც ჩვენ უნდა ვიდგეთ მომავალშიაც თუ გვინდა ბოლომდის რევოლუციონერები დავრჩეთ. იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში ლენინიზმს არ უღალატნია მარქსის მოძღვრებისათვის იმიტომ, რომ ის იდგა და ეხლაც სდგას ამ გზაზე. ამ გზის დატოვება ნიშნავს ოპორტუნიზმის ჭაობში მოხვედრას. ამ გზიდან გადახვევა ნიშნავს სოციალ-დემოკრატიის კუდში მოქცევას, რაც ამ შემთხვევაში მოუვიდა ზინოვიევს.

აქ ზინოვიევი ამბობდა, რომ შემდეგში მარქსმა და ენგელსმა შეარბილეს ენგელსის ფორმულა, შესაძლოთ სცნეს რა პროლეტარული რევოლუციის დაწყება ცალკე ქვეყნებში, მან მოიყვანა ენგელსის ციტატა იმის შესახებ, რომ გერმანელები დაიწყებენ და ფრანგები დაამთავრებენ". ყველაფერი ეს სწორია. ეს ეხლა პარტსკოლის თვითეულმა მოწაფემ იცის.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეხლა ამაზე არ არის ლაპარაკი ამხ. ზინოვიევო. ერთია სთქვა: დაიწყე რევოლუცია და შენ ახლო მომავალში დაეხმარება ძლევამოსილი რევოლუცია სხვა ქვეყნებში, ასე რომ იმ შემთხვევაში თუ რევოლუცია გაიმარჯვებს სხვა ქვეყნებში, შენც შეგიძლია გამარჯვების იმედი იქონიო.

სხვა საქმეა სთქვა: დაიწყე რევოლუცია და განაგრძე, რომც იცოდე, რომ უახლოეს ხანში არ მოგისწრებს რევოლუციის გამარჯვება სხვა ქვეყნებში, ასეთია ბრძოლის პირობები იმპერიალიზმის განვითარების პერიოდში, შენ მაინც შესძლებ გაიმარჯვო იმისათვის, რომ შემდეგ სხვა ქვეყნებში დაანთო რევოლუცია. და თუ მე მომყავდა ენგელსის ძველი ფორმულა, არა იმიტომ, რომ გვერდი ამეარა ამ ფაქტისათვის, რომ ენგელსმა და მარქსმა შემდეგ შეარბილეს ეს სასტიკი და უკიდურესი ფორმულა, არამედ იმისთვის, რომ ორ საწინააღმდეგო ფორმულის დაპირისპირებით უფრო ნათელი გამეხადა საკითხი, გამომემჟღავნებინა სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნიზმი, რომელიც ცდილობდა ამოფარებოდა ენგელსის ძველ ფორმულას, დამემტკიცებინა, რომ ლენინი იყო პირველი, რომელმაც სულ სხვანაირად დასვა საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ და დადებითად გადაწყვიტა ის.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, მე მართალი ვიყავი, როცა ვთქვი, რომ ზინოვიევს არ წაუკითხავს „კომუნიზმის პრინციპები"-მეთქი, და თუ წაუკითხავს, ვერ გაუგია, სოციალ-დემოკრატიულად აუხსნია ენგელსის ძველი ფორმულა და ამნაირად დაქანებულა ოპორტუნიზმის გზით.

პროლეტარიატის დიქტატურა და ძველი სახელმწიფო აპარატი

ჩემს მოხსენებაში მე ვფიქრობდი შემდეგ, რომ ჩვენ ცოტად თუ ბევრად ანალოგიური შემთხვევა გვაქვს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში იმპერიალიზმის განვითარების პირობებში. მე ვამბობდი, რომ საკითხში პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომელიც გაგებულ იქნა, როგორც ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი აპარატის დაშლა და ახალი სახელმწიფოებრივი აპარატის აშენება, მარქსმა თავის დროზე (მე-19 საუკუნის 70-იან წლებში) დაუშვა გამონაკლისი ინგლისისათვის და, თუ გნებავთ, ამერიკისათვისაც, სადაც მილიტარიზმი და ბიუროკრატიზმი ნაკლებ განვითარებული იყო და სადაც მაშინ შესაძლებელი იყო პროლეტარიატის მიერ სხვა გზით, „მშვიდობიანი" გზით პოლიტიკური ბატონობის ხელში ჩაგდება. მე ვამბობდი, რომ ეს გამონაკლისი ან შემოფარგვლა, მარქსის მიერ დაშვებული ინგლისისა და ამერიკის მიმართ, სწორი იყო რა მაშინ, იმპერიალიზმის განვითარების დღევანდელ პირობებში, ლენინის აზრით, გადაიქცა შეცდომად და ზედმეტად, იმ პირობებში, როცა მილიტარიზმი და ბიუროკრატია ისევე გაიფურჩქნა ინგლისსა და ამერიკაში, როგორც სხვა დანარჩენ ქვეყნებში.

რიაზანოვი: „კი არ გადაიქცა, არამედ იყო".

ხმა ადგილიდან: „რიაზანოვო, ნუ გვიშლით!"

რიაზანოვი: „მე არ გიშლით".

სტალინი: „ნება მომეცით, ამხანაგებო, მივმართო მარქსს".

რას ამბობდა მარქსი კუგელმანისადმი გაგზავნილ თავის წერილში 1871 წ. აპრილში: „თუ შენ ჩაიხედავ ჩემი „18 ბრიუმერა"-ს უკანასკნელ თავში, დაინახავ, რომ საფრანგეთის რევოლუციის უკანასკნელ ცდათ მე ვაცხადებ: არ გადავიდეს ერთი ხელიდან მეორეში ბიუროკრატიული და სამხედრო მანქანა, როგორც ამას წინად ქონდა ადგილი, არამედ უნდა დაიმსხვრეს ის, სწორედ ასეთია ყოველგვარ სახალხო რევოლუციის წინასწარი პირობა კონტინენტზე. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი გმირი პარიზელი ამხანაგების ცდა".

ასე სწერდა მარქსი 1871 წელს.

ამ ციტატას, როგორც ვიცით, ჩაებღაუჭენ ყველა და ყოველნაირი სოციალ-დემოკრატები, პირველ რიგში კი კაუცკი და ამტკიცებენ, რომ პროლეტარიატის ძალდატანებითი რევოლუცია არ არის სოციალიზმის მოძრაობის აუცილებელი მეთოდი და პროლეტარიატის დიქტატურა არ უნდა იქნეს აუცილებლად ისე გაგებული, როგორც ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დალეწვა და ახალი პროლეტარული აპარატის შექმნა და რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის მშვიდობიანი გზა არის სწორედ ის გზა, რომლისთვისაც უნდა იბრძოლოს პროლეტარიატმა.

როგორ გამოეხმაურა ამ გარემოებას ლენინი. აი რას სწერდა ის ამის შესახებ თავის წიგნში „სახელმწიფო და რევოლუცია".

„განსაკუთრებით საინტერესოა აღინიშნოს მარქსის მოყვანილ მსჯელობაში ორი ადგილი: პირველი—ის თავის დასკვნას ფარგლავს კონტინენტით. ეს გასაგები იყო 1871 წელში, როცა ინგლისი წარმოადგენდა წმინდა კაპიტალისტური ქვეყნის მაგალითს, სადაც არ იყო „ვოენშინა" და საგრძნობლად სუსტი იყო ბიუროკრატია. ამიტომ მარქსმა გამორიცხა ინგლისი, სადაც რევოლუცია, იქამდე სახალხო რევოლუციაც კი შესაძლებელი იქნებოდა მაშინ „მზა სახელმწიფო მანქანის" დანგრევის წინასწარი პირობის გარეშე. ეხლა 1917 წელში, პირველი დიდი იმპერიალისტური ომის ეპოქაში, მარქსის ეს შეზღუდვა იხსნება, ვინაიდან ინგლისი და ამერიკა,—ინგლის-საქსონურ „თავისუფლების" ეს უდიდესი წარმომადგენლები მთელ მსოფლიოში, „ვოენშინის" და ბიუროკრატიზმის უქონლობის თვალსაზრისით სავსებით ჩაეფლენ ბიუროკრატიულ და სამხედრო დაწესებულებების საერთო-ევროპიულ ჭუჭყიან და სისხლიან ჭაობში, რომელიც ყველაფერს იმორჩილებს და ყველაფერს ფლობს.

ეხლა ინგლისში და ამერიკაში „ყოველგვარ ჭეშმარიტ სახალხო რევოლუციის წინასწარ პირობას წარმოადგენს „გამზადებულ" (1914—1917 წლებში „ევროპიულ საერთო იმპერიალისტურ სრულყოფამდე" მომზადებულ) სახელმწიფო მანქანის მსხვრევა და ნგრევა".

თქვენ ხედავთ, რომ აქ ეს შემთხვევა ანალოგიურია იმისი, რაზედაც მე ვლაპარაკობ ენგელსის ძველ ფორმულასთან დაკავშირებით.

განსაზღვრას ან გამონაკლისს, რომელიც მარქსმა დაუშვა ინგლისისა და ამერიკისათვის, საფუძველი ჰქონდა მანამდე, სანამ ამ ქვეყნებში არ ყოფილა განვითარებული იმპერიალიზმი და ბიუროკრატია. ეს განსაზღვრა, ლენინის აზრით, იხსნება მონოპოლისტური კაპიტალიზმის ახალ პირობებში, როცა მილიტარიზმი და ბიუროკრატია ინგლისში და ამერიკაში ყოველ შემთხვევაში უფრო მეტია და არა უფრო ნაკლებგანვითარებული, ვინემ ევროპის კონტინენტის ქვეყნებში.

ამიტომ პროლეტარიატის ძალდატანებითი რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელ და სავალდებულო პირობას წარმოადგენს სოციალიზმში გადასასვლელად გამოუკლებლად ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოში.

ამიტომ ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები, რომელნიც ებღაუჭებიან მარქსის მიერ დაშვებულ პირობით განსაზღვრას და ილაშქრებენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, იცავენ არა მარქსიზმს, არამედ საკუთარ ოპორტუნისტულ საქმეს.

ლენინი ამ დასკვნამდე მივიდა იმიტომ, რომ მას შესწევდა მარქსიზმის დოგმის და მარქსიზმის შინაარსის განსხვავების უნარი. ის მარქსიზმს სთვლიდა არა დოგმად, არამედ სახელმძღვანელოდ მოქმედებისათვის.

საკვირველი იქნებოდა მოგვეთხოვა, რომ მარქსს რამდენიმე ათეული წლის ადრე გაეთვალისწინებინა კაპიტალიზმის და კლასიური ბრძოლის განვითარების ყველა და ყოველგვარი შესაძლებლობანი მომავალში. მაგრამ კიდევ უფრო საოცარი იქნებოდა გაგვკვირვებოდა ის, რომ ლენინმა აღნუსხა და განაზოგადა ეს შესაძლებლობანი კაპიტალიზმის ახალ პირობებში, როცა ეს შესაძლებლობანი წამოიჭრენ და უაღრესად განვითარდენ.

ამხ. რიაზანოვის შეცდომა

აქ, მგონი ამხ. რიაზანოვმა, წამოისროლა რეპლიკა იმის შესახებ, რომ გამონაკლისი, დაშვებული მარქსის მიერ ინგლისის და ამერიკის მიმართ, სწორი არ არის არა თუ კლასიური ბრძოლის დღევანდელ პირობებისათვის, არამედ ის სწორი არ არის იმ პირობებისათვისაც, როცა მარქსს შესაძლებლად მიაჩნდა ეს გამონაკლისი.

მე არ ვეთანხმები ამხ. რიაზანოვს. მე ვფიქრობ, რომ რიაზანოვი სცდება ყოველ შემთხვევაში, ლენინი ამაზე სულ სხვა აზრის არის; ის აცხადებდა, რომ მარქსი სწორი იყო, როცა დასაშვებად მიაჩნდა ეს ამერიკისა და ინგლისისათვის 70-იან წლებში. აი, რას სწერს ამის შესახებ ლენინი თავის ბროშიურაში „სასურსათო გადასახადის შესახებ":

„როცა ჩვენ საკავშირო ცაკში ვეკამათებოდით ამხ. ბუხარინს, მან, სხვათა შორის, შენიშნა: „სპეციალისტებისათვის დიდი ჯამაგირების მიცემის საკითხში, ჩვენ, ლენინზე უფრო მემარჯვენეები ვართ, რადგან აქ პრინციპებიდან არავითარ გადახრას არ ვხედავთ, ვიგონებთ რა მარქსის სიტყვებს, რომ გარკვეულ პირობებში მუშათა კლასისთვის მაინც უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა „თავი გამოესყიდა ამ ბანდისაგან" (სახელდობრ კაპიტალისტთა ბანდისაგან, ე. ი. გამოესყიდა ბურჟუაზიისაგან მიწა, ფაბრიკა, ქარხნები და სხვა საწარმოო საშუალებები). ეს მეტად საინტერესო შენიშვნაა. ჩაუკვირდით მარქსის აზრს. საქმე შეეხებოდა წარსული საუკუნის 70-იან წლების ინგლისს, წინა მონოპოლისტური კაპიტალიზმის კულმინაციურ პერიოდს, ქვეყანას, რომელშიც იმ დროს ძალიან სუსტი იყო სამხედრო წოდება და ბიუროკრატია, ქვეყანას, რომელშიც მაშინ ყველაზე მეტად შესაძლებელი იყო სოციალიზმის მშვიდობიანი „გამარჯვება" მუშების მიერ ბურჟუაზიის „გამოსყიდვის" სახით. მარქსიც ამბობდა: გარკვეულ პირობებში მუშები არ იტყვიან უარს იმაზე, რომ გამოისყიდონ ბურჟუაზია. მარქსი არც თავის თავს და არც სოციალისტური რევოლუციის მომავალ მოღვაწეთ არ უბორკავდა ხელფეხს გადატრიალების ფორმებით, ხერხებით და საშუალებებით, ესმოდა რა მშვენივრად, თუ რა ახალი პრობლემები წამოიჭრება მაშინ, როგორ შეიცვლება გადატრიალების პროცესში მთელი მდგომარეობა და როგორ ხშირად და მძლავრად შეიცვლება ის გადატრიალების პროცესში.

ჩვენს საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და ექსპლოატატორების სამხედრო და საბოტაჟურ წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ,—განა თვალსაჩინო არ არის, რომ ზოგიერთი არა ისეთი ტიპის პირობები შეიქმნენ, როგორიც შეიძლებოდა შექმნილიყო ნახევარი საუკუნის წინ ინგლისში, ამ უკანასკნელს რომ მშვიდობიანი გზით დაეწყო გადასვლა სოციალიზმისაკენ?

კაპიტალისტების დამორჩილებას მუშების მიერ ინგლისში მაშინ უზრუნველყოფდენ შემდეგი გარემოებანი: 1) მუშა პროლეტარების სრული სიჭარბე მცხოვრებლებს შორის, გლეხობის არ არსებობის დროს (ინგლისში 70-იან წლებში იყო ნიშნები, რომელნიც იმედს იძლეოდენ, რომ სოციალიზმს სწრაფი წარმატება ექნებოდა სოფლის მუშებს შორის); პროლეტარიატის მჭიდრო შეკავშირება პროფესიონალურ კავშირებში (ინგლისი პირველი ქვეყანა იყო ამ მხრივ მსოფლიოში); 2) პოლიტიკური თავისუფლების საუკუნოებრივ განვითარების პროცესში გამობრძმედილ პროლეტარიატის შედარებით მაღალი კულტურა; 3) ინგლისის შესანიშნავად შეკავშირებულ კაპიტალისტების დიდი ხნის გამოცდილება; მაშინ მსოფლიოში ისინი ყველაზე უფრო შეკავშირებული კაპიტალისტები იყვნენ (ეხლა ეს უპირატესობა გერმანიაზე გადავიდა) პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების კომპრომისის გადასაჭრელად.

აი ასეთ პირობებში შეიძლებოდა მაშინ გვეფიქრა, რომ ინგლისში შესაძლებელი იყო მუშების მიერ კაპიტალისტების დამორჩილება მშვიდობიანი გზით. ბუხარინი შესანიშნავი განათლებული მარქსისტი და ეკონომისტი არის. ამიტომაც მან სთქვა, რომ მარქსი სავსებით მართალი იყო, როცა ასწავლიდა მუშებს, რომ მსხვილი წარმოების ორგანიზაციის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს, სახელდობრ სოციალიზმზე გადასვლის გასაადვილებლად და რომ სავსებით დასაშვებია იმის ფიქრი, რომ კარგია კაპიტალისტებისათვის ანაზღაურების, სასყიდლის მიცემა, თუ გამონაკლისის სახით (ინგლისი მაშინ გამონაკლისს შეადგენდა) ისეთი პირობები შეიქმნება, რომ კაპიტალისტებს მშვიდობიანი გზით დაიმორჩილებენ და კულტურულად შეკავშირებულად გადავლენ სოციალიზმში გამოსყიდვის ნიადაგზე (იხ. ლენინი ტომი 18. ნაწ. 1).

მე ვფიქრობ, რომ აქ მართალია ლენინი და არა ამხ. რიაზანოვი. მე დიდ პატივს ვსცემ ამხ. რიაზანოვს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ კიდევ უფრო დიდ პატივს ვსცემ ლენინს.

კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების კანონი

მე ჩემს მოხსენებაში ვლაპარაკობდი, რომ ლენინმა აშკარად დაასაბუთა კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების არა თანაზომიერების კანონი, გამოდიოდა რა ამ კანონიდან—არათანაზომიერების განვითარებისა და გამწვავების ფაქტებიდან, ლენინი მივიდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის იდეამდე. ამ დებულების წინააღმდეგ გაილაშქრეს ამხ. ტროცკიმ და ზინოვიევმა. ამხ. ტროცკი ამბობდა, რომ ლენინის ეს დებულება არ არის თეორეტიულად სწორი. ხოლო ამხ. ზინოვიევმა ამხ. ტროცკისთან ერთად განაცხადა, რომ წინა-მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პერიოდში არათანაზომიერობა უფრო დიდი იყო ვიდრე ეხლა, მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პერიოდში და რომ სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის იდეის დაკავშირება კაპიტალისტური განვითარების არათანაზომიერების კანონთან შეუძლებელია.

რომ ამხ. ტროცკი ილაშქრებს ლენინის ცნობილ თეორეტიულ დებულების—არათანაზომიერი განვითარების კანონის წინააღმდეგ, აქ არაფერია გასაკვირალი, ვინაიდან, როგორც ვიცით, ეს კანონი თავდაყირა აყენებს ამხ. ტროცკის „თეორიას" პერმანენტული რევოლუციის შესახებ.

გარდა ამისა ამხ. ტროცკი აქ აშკარად ობივატელურ თვალსაზრისზე სდგას. ის აქ ერთმანეთში ურევს ცალკე ქვეყნების ეკონომიურ უთანასწორობას წარსულში, რომელიც ყოველთვის არ იწვევდა და არც შეეძლო გამოეწვია ამ ქვეყნების ნახტომებით განვითარება და ეკონომიურ განვითარების უთანასწორობას იმპერიალიზმის პერიოდში, როცა ეკონომიური უთანასწორობა ქვეყნებს შორის ნაკლებია, ვიდრე ეს იყო წინად, მაგრამ ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების არათანაზომიერება, უეჭველად, უფრო დიდია, ვიდრე წინ და მას აქვს უფრო მწვავე ხასიათიც, ვიდრე წინად და ეს არათანაზომიერება იწვევს აუცილებლად და გარდაუვალად ნახტომებით განვითარებას, იწვევს იმას, რომ მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნები ცოტად თუ მეტად მოკლე ხანში წინ უსწრებენ უფრო დაწინაურებულ ქვეყნებს, რამაც არ შეიძლება არ შექმნას წინასწარი პირობა გრანდიოზული იმპერიალისტური ომებისათვის და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობისათვის.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ორ სხვადასხვაგვარ დებულების ასეთი არევა სრულებითაც არ მოწმობს და არც შეიძლება მოწმობდეს ამხ. ტროცკის მაღალ „თეორიულ" დონეს შესახებ.

მაგრამ მე ვერ გამიგია ამხ. ზინოვიევი, რომელიც ბოლშევიკი იყო და, რომელსაც ესმოდა ზოგიერთი რამ ბოლშევიზმიდან. როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ განვითარების არათანაზომიერება წინად იყო უფრო მეტი, ვინემ ეხლა მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პირობებში? როგორ შეუძლია მას განაცხადოს, რომ სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების იდეა არ არის დაკავშირებული განვითარების არათანაზომიერების კანონთან? განა აშკარა არ არის, რომ ლენინს ეს იდეა გამოჰყავდა განვითარების არათანაზომიერების კანონიდან? რას ამტკიცებს მაგალითად ლენინის შემდეგი სიტყვები: „ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარების არათანაზომიერება უეჭველად კაპიტალიზმის კანონია. აქედან აშკარაა დასკვნა, რომ სოციალიზმის გამარჯვება პირველ ხანებში შესაძლოა რამოდენიმე და თითქმის ერთ რომელიმე, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში".

საიდან გამომდინარეობს განვითარების არათანაზომიერების კანონი? ის გამომდინარეობს იქიდან, რომ ძველი წინამონოპოლისტური კაპიტალიზმი გაიზარდა და გადაიქცა მონოპოლისტურ კაპიტალიზმათ, იმპერიალიზმათ.

მსოფლიოს დანაწილება იმპერიალისტურ ჯგუფების და სახელმწიფოების გავლენის სფეროებათ უკვე დამთავრდა; მსოფლიო მეურნეობის განვითარება სწარმოებს იმპერიალისტურ ჯგუფებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში. ხსენებული ჯგუფები იბრძვიან ბაზრებისათვის, ნედლი მასალისათვის, გავლენის სფეროს გაფართოებისათვის. ეს განვითარება ხდება არა თანაზომიერად, არამედ ნახტომებით. ბაზრებიდან იდევნება დაწინაურებული სახელმწიფოები და წინაურდება ახლები.

განვითარების ასეთი წესი შესაძლოთ ხდის ზოგიერთ იმპერიალისტურ ჯგუფებისათვის ტეხნიკის სწრაფი ტემპით განვითარებას, საქონლის გაიაფებას და ბაზრების ხელში ჩაგდებას იმპერიალისტების სხვა ჯგუფების საზარალოთ. ამრიგად აუცილებელი ხდება უკვე დაყოფილ მსოფლიოს პერიოდული ხელახალი დანაწილება. ეს დანაწილება ხდება ძალდატანების გზით. ამ გარემოებას არ შეუძლია არ გამოიწვიოს ძლიერი კონფლიქტები და გრანდიოზული ომები იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის; ეს კი იწვევს იმპერიალისტების ურთი-ერთ დასუსტებას და მჭიდრო იმპერიალისტურ ფრონტის ცალკე ქვეყნებში გარღვევის შესაძლებლობას, ხოლო ამას არ შეუძლია არ შექმნას ხელსაყრელი პირობები სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვებისათვის.

რით განისაზღვრება არათანაზომიერების გამწვავება და არათანაზომიერი განვითარების გადამწყვეტი მნიშვნელობა იმპერიალიზმის პირობებში? ორი უმთავრესი გარემოებით: პირველი, იმით, რომ მსოფლიოს დანაწილება იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის დამთავრდა, „თავისუფალი" მიწები ბუნებაში უკვე აღარ მოიპოვება და დანაწილებულის ხელახლად დაყოფა აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენს ეკონომიურ „წონასწორობის" მისაღწევად იმპერიალისტურ ომების გზით; მეორე, იმით, რომ ტეხნიკის ჯერ არ ნახული კოლოსალური განვითარება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით შესაძლოთ ხდის ზოგიერთ იმპერიალისტურ ჯგუფებისათვის გაუსწრონ სხვა იმპერიალისტურ ჯგუფებს ბრძოლაში ბაზრების დასაპყრობად, ბრძოლაში ნედლეულის წყაროების დასაპყრობათ და სხვა.

მაგრამ ეს გარემოებები განვითარდენ და უმაღლეს წერტილს მიაღწიეს მხოლოდ იმპერიალიზმის განვითარების ხანაში. სხვაფრივ არც შეიძლებოდა, რადგან მხოლოდ იმპერიალიზმის განვითარების ხანაში მოხდა მსოფლიოს დანაწილების დამთავრება, ხოლო უდიდესი ტეხნიკური შესაძლებლობანი გამოჩნდენ მხოლოდ იმპერიალიზმის განვითარების პერიოდში.

ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თუ წინად ინგლისს მრეწველობის მხრივ შეეძლო მდგარიყო ყველა სახელმწიფოებზე წინ და უკან დაეტოვებია ისინი ასეულ წლობაზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში, შემდეგ კი მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პერიოდში გერმანიას სულ რაღაც ორი ათეული წელი დასჭირდა იმისათვის, რომ დაეწყო ინგლისისათვის წინ გასწრება. ხოლო ამერიკას კი დასჭირდა ამაზე ნაკლები დრო, რომ ევროპის სახელმწიფოებისათვის გაესწრო.

როგორ შეიძლება ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ განვითარების არათანაზომიერება წინად უფრო დიდი იყო, ვიდრე ეხლა და რომ სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების იდეა არაა დაკავშირებული კაპიტალიზმის არათანაზომიერი განვითარების კანონთან იმპერიალიზმის პერიოდში.

ამხ. კამენევი ამახინჯებს ლენინიზმს

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ობივატელ თეორეტიკოსებს შეუძლიათ წარსულში არსებულ სამრეწველო ქვეყნების უთანასწორობა აურიონ ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარების არათანაზომიერების კანონთან, რომელმაც განსაკუთრებული ძალა და სიმწვავე მხოლოდ განვითარებულ მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პერიოდში მიიღო.

განა ცხადი არაა, რომ მხოლოდ სრულ უვიცობას ლენინიზმის დარგში უნდა მიეწეროს ის, რომ ამხ. ზინოვიევმა ან მისმა მეგობრებმა მეტად უნიათო საბუთებით გაილაშქრეს ლენინის მიერ აღმოჩენილ კაპიტალიზმის ეკონომიურ და პოლიტიკური განვითარების არათანაზომიერი კანონის წინააღმდეგ; რაში მდგომარეობს ამხ. კამენევის ამ კონფერენციაზე გამოსვლის ძირითადი აზრი! თუ განზე დავტოვებთ ზოგიერთ წვრილმანებს და ამხ. კამენევის ჩვეულებრივ დიპლომატიას, მაშინ ამ გამოსვლის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ამხ. ტროცკის შეუმსუბუქოს თავისი პოზიციის დაცვა და შეუმსუბუქოს მას ლენინიზმთან ბრძოლა სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის საკითხში.

ამ მიზნით ამხ. კამენევმა გაწია „შრომა" დაემტკიცებია, რომ ლენინის ძირითადი ხასიათის წერილი 1915 წ., რომელიც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ასაბუთებს,თითქოს რუსეთს არ შეეხება და რომ ლენინს, როცა ასეთ შესაძლებლობაზე ლაპარაკობდა, სახეში ქონდა არა რუსეთი, არამედ სხვა კაპიტალისტური ქვეყნები. ამხ. კამენევმა თავს იდო ეს საეჭვო „შრომა" იმიტომ, რომ ამრიგად გზა გაეწმინდა ამხ. ტროცკისთვის, იმ „სქემისთვის", რომელსაც ანადგურებს და არც შეიძლება არ გაანადგუროს ლენინის მიერ 1915 წ. დაწერილმა წერილმა.

უხეშად რომ ვსთქვათ, ამხ. კამენევმა იკისრა, ასე ვთქვათ, ამხ. ტროცკის მეეზოვეს როლი და უწმენდს მას გზას. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, როცა ლენინის ინსტიტუტის დირექტორს უყურებთ ამხ. ტროცკის მეეზოვეს როლში, არა იმიტომ, რომ მეეზოვეს შრომა თავის-თავად ცუდია, არამედ იმიტომ, რომ ამხ. კამენევი, უეჭველად კვალიფიციური ადამიანი და ვფიქრობ, რომ უფრო კვალიფიციური შრომისთვის შეეძლო მოეკიდა ხელი (სიცილი), მაგრამ მან ეს როლი თავისი ნებით იკისრა, რისი სრული უფლებაც, რა თქმა უნდა, მას ჰქონდა,—ამის წინააღმდეგ ვერაფერს ვერ გააწყობ.

ვნახოთ ეხლა—შეასრულა კი ამხ. კამენევმა ეს მეტად უცნაური როლი? ამხ. კამენევმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ლენინის ძირითადი დებულება 1915 წ. წერილში,—დებულება, რომელიც განსაზღვრავდა ჩვენი რევოლუციისა და ჩვენი მშენებლობის მთელ ხაზს,— ეს დებულება. რომელიც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობაზე ლაპარაკობს, არ ეხება და არც შეიძლება შეეხოს რუსეთს; მან განაცხადა, რომ ლენინს, როცა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებაზე ლაპარაკობდა, მხედველობაში ჰქონდა არა რუსეთი, არამედ მხოლოდ სხვა კაპიტალისტური ქვეყნები. ეს არაჩვეულებრივად დაუჯერებელი რამ არის, ეს ძლიერ წააგავს ცილისწამებას ლენინის მიმართ, მაგრამ ამხ. კამენევი, როგორც სჩანს, არ დაეძებს, თუ რა შეუძლია იფიქროს პარტიამ ლენინის ასეთი დამახინჯების გამო. მას მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვს: რათაც არ უნდა დაუჯდეს გზა გაუწმინდოს ამხ. ტროცკის.

როგორ ცდილობს ის დაასაბუთოს ეს უცნაური მტკიცება?

ის ლაპარაკობს, რომ ლენინის ზემოხსენებულ წერილის გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ, ლენინმა რუსეთის მომავალი რევოლუციის ხასიათის შესახებ მოგვცა ცნობილი თეზისები, სადაც მან სთქვა, რომ მარქსისტების ამოცანა იმით ამოიწურება, რომ ხელი შეუწყონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში, აღნიშნა რა ეს, ლენინი თითქო იქიდან გამოდიოდა, რომ რევოლუცია რუსეთში უნდა გაყინულიყო ბურჟუაზიულ ფაზისში და არ ქცეულიყო სოციალისტურ რევოლუციად. ხოლო რადგან ლენინის წერილი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ გულისხმობს არა ბურჟუაზიულ რევოლუციას, არამედ სოციალისტურ რევოლუციას, ამიტომ ცხადია, რომ ლენინს არ შეიძლებოდა ამ წერილში სახეში ჰქონოდა რუსეთი.

ამრიგად, ამხ. კამენევს თუ დაუჯერებთ, გამოდის, რომ ლენინს რუსეთის რევოლუციის განვითარება ესმოდა, როგორც მემარცხენე ბურჟუაზიულ რევოლუციონერს ან იმ სოციალ-დემოკრატების ტიპის რეფორმისტს, რომელნიც აღიარებენ, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია არ უნდა გადაიქცეს სოციალისტურ რევოლუციად, და რომელთა აზრით, ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციებს შორის უნდა არსებობდეს ხანგრძლივი ისტორიული ინტერვალი, ხანგრძლივი შესვენება, ყოველ შემთხვევაში რამოდენიმე ათეული წლით, რომლის განმავლობაში კაპიტალიზმი გაიფურჩქნება, ხოლო პროლეტარიატი უძრავად დარჩება.

გამოდის, რომ ლენინი 1915 წელს, როცა ის თავის წერილს სწერდა, არ ფიქრობდა, არც მონდომებული იყო და არც ცდილობდა იმას, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციიდან დაუყოვნებლივ გადავსულიყავით სოციალისტურ რევოლუციაზე.

თქვენ იტყვით, რომ ეს დაუჯერებელია, საკვირველია. დიახ, ამხ. კამენევის მტკიცება მართლაც დაუჯერებელი და საკვირველია. მაგრამ ამხ. კამენევს ამით ვერ აგრძნობინებთ უხერხულობას.

ნება მომეცით მოვიყვანო რამოდენიმე დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ ამხ. კამენევი უხეშად ამახინჯებს ლენინის შეხედულებას ამ საკითხში.

აი რას სწერდა ლენინი რუსეთის რევოლუციის ხასიათის შესახებ ჯერ კიდევ 1905 წელში, როცა რუსეთის რევოლუციის განვითარება არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ისე ძლევამოსილი, როგორიც ის გახდა შემდეგში. იმპერიალისტური ომის შემდეგ 1917 წლის თებერვლისათვის.

„დემოკრატიულ რევოლუციიდან ჩვენ ჩვენი ძალების, შეგნებულ შეკავშირებულ პროლეტარიატის ძალების მიხედვით დაუყოვნებლივ დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე". ეს ციტატა ამოღებულია ლენინის წერილიდან, რომელიც გამოქვეყნებულ იყო 1905 წლის სექტემბერში.

იცით თუ არა ამხ. კამენევმა ამ წერილის არსებობა? მე ვფიქრობ, რომ ლენინის ინსტიტუტის დირექტორმა მისი არსებობის შესახებ უნდა იცოდეს. ამრიგად გამოდის, რომ ამხ. ლენინს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება ესმოდა არა როგორც პროლეტარიატის ბრძოლის და საერთოდ რევოლუციის დამთავრება, არამედ როგორც პირველი ეტაპი და გარდამავალი საფეხური სოციალისტურ რევოლუციისაკენ.

მაგრამ, ლენინმა იქნებ შემდეგში შესცვალა თავისი შეხედულება რუსეთის რევოლუციის ხასიათზე და განვითარებაზე? ავიღოთ მეორე დოკუმენტი. მე ხელში მაქვს ლენინის წერილი, რომელიც დაიბეჭდა 1915 წელს ,ნოემბერში. იმ დღიდან ორი თვის გასვლის შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ლენინის ძირითადი წერილი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. აი რას სწერს ის:

„პროლეტარიატი იბრძვის და იბრძოლებს თავგანწირვით ძალა-უფლების დაპყრობისათვის, რესპუბლიკისათვის, მიწების კონფისკაციისათვის ე. ი. გლეხობის გადაბირებისათვის, მის რევოლუციურ ძალებს ამოწურვისათვის. იმისათვის, რომ „პროლეტარულმა" ხალხთა მასებმა მონაწილეობა მიიღონ ბურჟუაზიულ რუსეთის სამხედრო-ფეოდალურ „იმპერიალიზმისაგან" (ცარიზმისაგან) განთავისუფლებაში. ბურჟუაზიულ რუსეთის განთავისუფლებას ცარიზმისა და მემამულეების ბატონობისაგან პროლეტარიატი დაუყოვნებლივ გამოიყენებს არა იმისათვის, რომ დაეხმაროს შეძლებულ გლეხობას მათ ბრძოლაში სოფლის მუშების წინააღმდეგ, არამედ იმისათვის, რომ მოახდინოს სოციალისტური რევოლუცია ევროპის პროლეტარებთან კავშირის დაჭერის გზით".

თქვენ ხედავთ, რომ როგორც აქ, ისე წინანდელ ციტატაში, როგორც 1905 წელს, ისე 1915 წელს, ლენინი ყოველთვის გამოდიოდა იქიდან, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში უნდა იქცეს სოციალისტურ რევოლუციად და რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის გამარჯვება რუსეთში წარმოადგენს რუსეთის რევოლუციის პირველ საფეხურს, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ გადავიდეთ მის მეორე საფეხურზე, სოციალისტურ რევოლუციაზე.

მაგრამ, რა ვსთქვათ ლენინის 1915 წლის თეზისებზე, რომელთაც დაეყრდნა თავის სიტყვაში ამხ. კამენევი და რომლებშიაც ლაპარაკია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის ამოცანებზე რუსეთში? ხომ არ ეწინააღმდეგებიან ეს თეზისები ბურჟუაზიულ რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაქცევის იდეას? რასაკვირველია არ ეწინააღმდეგებიან. პირიქით, მის ამ თეზისების საფუძვლად უდევს ბურჟუაზიულ რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაქცევის, რუსეთის რევოლუციის პირველი საფეხურის მეორე საფეხურად გადაქცევის იდეა.

ჯერ ერთი, ლენინი ამ თეზისებში სრულიადაც არ ამბობს, რომ რუსეთის რევოლუციის გაქანება და მარქსისტების ამოცანა რუსეთში ამოიწურება მეფისა და მემამულეთა დამხობით, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით. მეორე, ლენინი ამ თეზისებში კმაყოფილდება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დახასიათებით იმიტომ, რომ ამ რევოლუციას ის სთვლის რუს მარქსისტების პირველ ეტაპად და უახლოეს ამოცანად. მერმე, ლენინი გამოდის იქიდან, რომ თავის ამოცანების განხორციელება რუს მარქსისტებმა უნდა დაიწყონ არა მეორე ეტაპიდან (როგორც ამას ტროცკი ითვალისწინებდა—უმეფოდ, მაგრამ მუშათა მთავრობის სქემით), არამედ პირველ ეტაპიდან, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპიდან.

არის თუ არა აქ რაიმე წინააღმდეგობა, თუნდაც ნიშანი ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაგვარების იდეის წინააღმდეგობისა? ცხადია, რომ არა, გამოდის, რომ ამხ. კამენევმა აშკარად დაამახინჯა ლენინის პოზიცია.

მაგრამ ჩვენ გვყავს მოწმეები კამენევის წინააღმდეგ არა მარტო ლენინისაგან გამომდინარე დოკუმენტების სახით, არამედ ჩვენ გვყავს მოწმეები ცოცხალ პირების სახით, როგორც მაგალითად, ამხ. ტროცკი, როგორც ჩვენი პარტიის კონფერენცია და, ბოლოს, რაც მეტად გასაკვირია, თვით ამხ. კამენევისა და ზინოვიევის სახით. ყველამ იცით, რომ ლენინის წერილი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ გამოქვეყნებულ იქნა 1915 წელს. იცით, აგრეთვე, რომ ამხ. ტროცკიმ, რომელიც მაშინ ეკამათებოდა ლენინს საკითხზე ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, იმ ხანაშივე 1915 წელს ამ წერილზე უპასუხა სპეციალური კრიტიკული წერილით. რა სთქვა მაშინ 1915 წელს ამხ. ტროცკიმ თავის კრიტიკულ წერილში? როგორ შეაფასა მან ლენინის წერილი? გაიგო თუ არა მან ის ისე, რომ, როცა ლენინი ლაპარაკობდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, მხედველობაში არ ჰქონდა რუსეთი, თუ სხვანაირად, ვთქვათ, ისე, როგორც ჩვენ ყველას გვესმის დღეს? აი ციტატა ტროცკის ამ წერილიდან.

„ერთად-ერთი რამდენიმე კონკრეტიული ისტორიული მოსაზრება შეერთებულ შტატების ლოზუნგის წინააღმდეგ, ჩამოყალიბებულ იქნა შვეიცარიულ „სოციალ-დემოკრატში" (ბოლშევიკების მაშინდელი ცენტრალური ორგანო, სადაც დაბეჭდილი იყო ლენინის ზემოაღნიშნული წერილი) შემდეგ ფრაზებში: „ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების არათანაზომიერება არის კაპიტალიზმის უდავო კანონი". აქედან „სოციალ-დემოკრატს" ის დასკვნა გამოჰყავდა, რომ შესაძლებელია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება, რომ არ არის საჭირო ამისათვის ყოველ ცალკე ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის პირობად გახადო შეერთებული შტატების შექმნა ევროპაში. რომ არც ერთი ქვეყანა არ უნდა „დაელოდოს" სხვას თავის ბრძოლაში—ეს არის ელემენტარული მოსაზრება, რომლის გამეორებაც სასარგებლო და საჭიროც არის, რომ არ გაეცვალდეს პარალელური ინტერნაციონალური მოქმედების იდეა. არ უცდით რა სხვა ქვეყნებს, ჩვენ ვიწყებთ და განვაგრძობთ ბრძოლას ნაციონალურ ნიადაგზე სრული რწმენით, რომ ჩვენი ინიციატივა ბრძოლის ხალისს აღუძრავს სხვა ქვეყნებს, და რომ ეს არ მომხდარიყო, მაშინ უაზრო იქნებოდა გვეფიქრა, როგორც ამას მოწმობს ისტორიის გამოცდილება და თეორეტიული მოსაზრებები, რომ, მაგალითად, რევოლუციონური რუსეთი შესძლებდა გამაგრებოდა კონსერვატიულ ევროპას, ან და სოციალისტური გერმანია შესძლებდა დარჩენილიყო განკერძოებული კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან".

გამოდის ისე, რომ ტროცკის ლენინის წერილი მაშინ გაუგია არა ისე, როგორც კამენევი ცდილობს „გაიგოს" დღეს, არამედ ისე, როგორც ესმოდა ლენინს, როგორც ესმის პარტიას, როგორც ჩვენ ყველას გვესმის, თორემ ტროცკი თავის პოლემიკაში გამოიყენებდა ლენინის არგუმენტს რუსეთის შესახებ.

გამოდის ისე, რომ ტროცკი ამ ციტატაში მოწმობს თავის დღევანდელ მოკავშირის, კამენევის წინააღმდეგ.

მაშ ამ შემთხვევაში რატომ არ გამოვიდა ის ამ კონფერენციაზე კამენევის წინააღმდეგ? რატომ არ განაცხადა აქ ტროცკიმ პირდაპირ და პატიოსნად, რომ კამენევი აშკარად ამახინჯებს ლენინიზმს?

ხომ არ ფიქრობს ტროცკი, რომ მისი დუმილი ამ შემთხვევაში შეიძლება ჩავთვალოთ პატიოსანი პოლიტიკის ნიმუშად? იმიტომ არ გამოვიდა აქ ტროცკი კამენევის წინააღმდეგ, რომ, როგორც სჩანს, არ უნდოდა გაეშლილიყო ლენინის ცილისწამებელ საეჭვო „საქმეში". ეს შავი სამუშაო მან კამენევს მიანდო.

როგორ უყურებს ამ საქმეს პარტია, თუ გინდ, მაგალითად, მე-14 კონფერენციის სახით? აი რა არის ამის შესახებ ნათქვამი მე-14 კონფერენციის რეზოლუციაში, რომელიც აყალიბებს სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ერთ ქვეყანაში: „ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარების არათანაზომიერებიდან, რომელი არათანაზომიერებაც არის კაპიტალიზმის უდავო კანონი, ლენინმა სამართლიანად გამოჰყავდა ორი დასკვნა: წინასწარ რამდენიმე ან და ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა და შესაძლებლობა იმის, რომ ეს რამდენიმე ან და ერთი ქვეყანა აუცილებლად არ იქნებიან თვით კაპიტალიზმის განვითარების ქვეყნებში. რუსეთის რევოლუციის მაგალითმა დაამტკიცა, რომ პირველი ასეთი გამარჯვება ერთ ქვეყანაში არა თუ შესაძლებელია, არამედ, მთელ რიგ ხელსაყრელ პირობებში, ეს—ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის პირველი ქვეყანა, თუ იქნება ერთგვარი დახმარება საერთაშორისო პროლეტარიატის მხრივ, შეიძლება კიდეც გამაგრდეს, განმტკიცდეს საკმაოდ დიდი ხნით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დახმარება არ მიიღებს პირდაპირ პროლეტარულ რევოლუციების სახეს სხვა ქვეყნებში" (მე-14 პარტკონფერენციის რეზოლუციიდან კომინტერნისა და საკ. კომ. პარ. (ბ) ამოცანებზე კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმის გამო).

გამოდის, რომ მთელი პარტია მთლიანად, მის მე-14 კონფერენციის სახით მოწმობს კამენევის წინააღმდეგ, მისი მტკიცების წინააღმდეგ იმის შესახებ, რომ ლენინს თავის წერილში ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ თითქოს მხედველობაში არ ჰქონდეს მიღებული რუსეთი, თორემ კონფერენცია არ იტყოდა, რომ „რუსეთის რევოლუციის მაგალითმა დაამტკიცა" ლენინის ცნობილი წერილის სისწორე ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

გამოდის, რომ მე-14 კონფერენციას გაუგია ლენინის წერილი ისევე, როგორც ის ესმოდა ტროცკის, როგორც გვესმის ჩვენ, ყველას.

როგორ შეხედეს კამენევმა და ზინოვიევმა მე-XIV კონფერენციის ამ რეზოლუციას? განა ეს ფაქტი არ არის, რომ რეზოლუცია შემუშავებულ და ერთხმად მიღებულ იქნა კომისიის მიერ, რომელშიც ზინოვიევი და კამენევი შედიოდენ? განა ეს ფაქტი არ არის, რომ კამენევი იყო მე-XIV კონფერენციის თავმჯდომარე, რომელმაც ერთხმად მიიღო ზემოაღნიშნული რეზოლუცია, ხოლო ზინოვიევი მომხსენებლად ამ რეზოლუციის გარშემო? რანაირად შეიძლება მომხდარიყო, რომ კამენევმა და ზინოვიევმა ხმა მისცეს ამ რეზოლუციას, ყველა მის პუნქტებს? განა ცხადი არ არის, რომ კამენევს სხვანაირად ესმოდა მაშინ ლენინის წერილი, რომლიდანაც ციტატა პირდაპირ შეტანილია მე-XIV კონფერენციის რეზოლუციაში, ვიდრე ეხლა ის სცდილობს გაიგოს? რომელ კამენევს დაუჯეროთ,—იმას, რომელიც მე-XIV კონფერენციის თავმჯდომარედ ყოფნის დროს, ხმას აძლევდა მე-XIV კონფერენციის რეზოლუციას, თუ იმას, რომელიც დღეს, მე-XV კონფერენციაზე გამოდის ტროცკის მეეზოვედ?

გამოდის, რომ მე-XIV კონფერენციის პერიოდის კამენევი ილაშქრებს მე-XV კონფერენციის პერიოდის კამენევის წინააღმდეგ.

რატომ სდუმს ზინოვიევი და არ სცდილობს გაუსწოროს კამენევს, რომელიც აშკარად ამახინჯებს ლენინის წერილს 1915 წლიდან, იმ წერილს, რომელიც შევიდა მე-XIV კონფერენციის რეზოლუციაში? განა ეს ფაქტი არ არის, რომ ზინოვიევი, და არა სხვა ვინმე, მე-XIV კონფერენციაზე იცავდა რეზოლუციას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ?

გამოდის, რომ ზინოვიევს ყველაფერი რიგზე აქვს (ხმები: „სრულიადაც არა"). სად არის აქ პატიოსანი პოლემიკა?

გამოდის, რომ კამენევს და ზინოვიევს ახლა არ სცალიათ პატიოსან პოლემიკისათვის.

დასკვნა? დასკვნა ასეთია, რომ კამენევმა ვერ მოახერხა ტროცკის მეეზოვის როლის შესრულება. მან არ გაამართლა ტროცკის იმედები.

რას ამბობს ამხ. ზინოვიევი

გადავდივარ ზინოვიევზე. თუ კამენევი ყველა თავისი გამოსვლებით სცდილობდა გზა გაეკაფა ტროცკისათვის, სამაგიეროდ ზინოვიევმა იკისრა ამოცანა დაემტკიცებია, რომ ოპოზიციის ლიდერები წარმოადგენენ ერთად-ერთ რევოლუციონერებს, ერთად-ერთ ინტერნაციონალისტებს თითქმის მთელ მსოფლიოში.

გავარჩიოთ ეს „დასაბუთება".

ის იღებს ბუხარინის სიტყვას იმის შესახებ, რომ შინაგანი წესრიგის (სოციალიზმის მშენებ.) საკითხების განხილვის დროს, საჭიროა მეთოდიურათ თავი ავარიდოთ გარეგანი წესრიგის საკითხებსო. ის შემდეგ ადარებს ბუხარინის დებულებას ოპოზიციურ ბლოკის თეზისებს, სადაც ლაპარაკია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბუხარინს, რომელმაც ძირითადად ჩამოაყალიბა თეზისები, ვითომდა ამითვე ავიწყდება ჩვენი რევოლუციის საერთაშორისო ამოცანები საერთაშორისო რევოლუციის ინტერესების შესახებ.

მართალია ყველაფერი ეს? ყველა ეს არაფერია. მთავარი აქ ის არის, რომ ზინოვიევი სუსტია მეთოდოლოგიის საკითხებში; დაბრიალობს სამ ნაძვს შუა და თავის აბნეულობას სინამდვილედ ასაღებს. ბუხარინი ამბობს, რომ არ შეიძლება სოციალიზმის მშენებლობის საკითხების შერევა ჩვენს ქვეყანაში ინტერვენციის საწინააღმდეგო გარანტიების შექმნის საკითხებთან, შინაგანი საკითხების შერევა გარეგან საკითხებთან. ბუხარინი სრულებით არ ამბობს, რომ შინაგანი საკითხები არ არიან დაკავშირებულნი გარეგან საკითხებთან და საერთაშორისო საკითხებთან. ის მხოლოდ იმას ამბობს, რომ არ შეიძლება პირველხარისხოვან საკითხების შერევა მეორეხარისხოვან საკითხებთან. ეს არის მეთოდოლოგიის ძირითადი ელემენტარული მოთხოვნილება.

ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ ჩვენი ქვეყანა არ წარმოადგენს წინააღმდეგობათა ორ რიგს. შინაგანი წესრიგის და გარეგანი წესრიგის წინააღმდეგობათ.

შინაგანი ხასიათის წინააღმდეგობანი უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლაში გლეხობაზე ხელმძღვანელობის გაწევისათვის. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს წინააღმდეგობანი ჩვენ შეგვიძლია ვსძლიოთ ჩვენი საკუთარი ძალებით. ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე, ჩავაბათ სოციალისტურ აღმშენებლობაში გლეხობის ძირითადი მასები, ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება. გარეგანი ხასიათის წინააღმდეგობანი მდგომარეობს ბრძოლაში სოციალიზმის ქვეყნისა და კაპიტალისტურ გარემოცვის შორის. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ წინააღმდეგობათა გადაწყვეტა ჩვენი ძალებით არ შეგვიძლია, რომ ამ წინააღმდეგობათა გადასაწყვეტად აუცილებელია სოციალიზმის გამარჯვება რამოდენიმე ქვეყანაში მაინც. სწორედ ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში არაა თვითმიზანი, არამედ საშუალება, იარაღი პროლეტარული რევოლუციის ყველა ქვეყნებში გამარჯვებისათვის.

მართალია თუ არა ყოველივე ეს? დეე, დაამტკიცოს ზინოვიევმა, რომ ეს მართალი არაა.

ზინოვიევის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი განსხვავებას ვერ ხედავს ამ ორი რიგის წინააღმდეგობათა შორის. იგი უაღრესად ურევს მათ ერთმანეთში და თავის საკუთარ არევას ასაღებს „ნამდვილ" ინტერნაციონალიზმად, და ფიქრობს, რომ ის, ვინც შინაური ხასიათის საკითხების განხილვის დროს მეთოდოლოგიურად სცილდება გარეგანი ხასიათის საკითხებს, იგი ივიწყებს საერთაშორისო რევოლუციის ინტერესებს.

ეს მეტად სასაცილოა, მაგრამ უნდა გავიგოთ, რომ ეს არაა დამაჯერებელი.

რაც შეეხება თეზისებს, რომელნიც ვითომდა მხედველობიდან უშვებენ ჩვენი რევოლუციის საერთაშორისო მომენტებს, საკმაოა წაიკითხოთ ეს თეზისები, რომ დარწმუნდეთ რომ ზინოვიევი კიდევ დაიბნა.

აი, რა არის ნათქვამი თეზისებში: „პარტია გამოდის იქიდან, რომ ჩვენი რევოლუცია არის სოციალისტური რევოლუცია, რომ ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგენს არა მარტო სიგნალს—სტიმულს, გამოსავალ წერტილს სოციალისტური რევოლუციისა დასავლეთში, არამედ ის ამავე დროს,—ჯერ ერთი ბაზა მსოფლიო რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის და მეორე—ამ რევოლუციით იწყება გარდამავალი პერიოდი კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ საბჭოთა კავშირში (პროლეტარიატის დიქტატურა), რომლის (პერიოდის) მანძილზე პროლეტარიატი, თუ ის სწორ პოლიტიკას აწარმოებს გლეხობის მიმართ, შესძლებს წარმატებით ააშენოს სრული სოციალისტური საზოგადოება, თუ რასაკვირველია, ერთის მხრით,—საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობის და მეორეს მხრით,—საბჭოთა პროლეტარიატის ძლიერება საკმაო იქნება იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი დაცული იქნეს იმპერიალიზმის სამხედრო ინტერვენციისაგან".

თქვენ ხედავთ, რომ საერთაშორისო მომენტი სავსებით და მთლიანად არის გათვალისწინებული თეზისებში.

ჩვენი რევოლუციის ინტერნაციონალური ამოცანები

შემდეგ, ზინოვიევს და მასთან ერთად ტროცკისაც მოჰყავს ციტატები ლენინის თხზულებებიდან იმის შესახებ, რომ „სოციალისტური რევოლუციის სრული გამარჯვება წარმოუდგენელია ერთ ქვეყანაში და უდიდეს აქტიურ თანამშრომლობას მოითხოვს რამოდენიმე მოწინავე ქვეყანასთან მაინც", და უცნაურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ სოციალიზმის აშენება ერთ ქვეყანაში არ ძალუძს ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს. ეს ხომ აბნეულობაა. განა პარტია როდისმე ამბობდა, რომ სოციალიზმის სრული, საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში შესაძლოა, ძალუძს ერთი ქვეყნის პროლეტარიატს. სად იყო ეს ნათქვამი? როდის? დიახ, მიგვითითონ. განა პარტია ყოველთვის ლენინთან ერთად არ ამბობდა, რომ სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება შესაძლოა მხოლოდ სოციალიზმის რამოდენიმე ქვეყანაში გამარჯვებით. განა პარტიამ ათჯერ და ასჯერ არ განმარტა, რომ შესაძლებელია არეულ იქნას ერთმანეთში—სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში და მისი სრული, საბოლოო გამარჯვება.

პარტია ყოველთვის იმ აზრს ადგა, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში არის სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობა ამ ქვეყანაში, ამასთანავე ეს ამოცანა შეიძლება განხორციელებულ იქნეს ერთი ქვეყნის ძალებით, ხოლო სოციალიზმის სრული გამარჯვება გარანტიას წარმოადგენს ინტერვენციისა და რესტავრაციის წინააღმდეგ, ეს ამოცანა კი თავის მხრივ შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლუციამ რამდენიმე ქვეყანაში გაიმარჯვა.

როგორ შეიძლება ამის შემდეგ ასე უღვთოთ ერთი ამოცანის შერევა მეორეში? ვინ არის დამნაშავე რომ ზინოვიევი და ტროცკი ასე უღვთოთ ურევენ ერთმანეთში სოციალიზმის გამარჯვებას ერთ ქვეყანაში და მის საბოლოო და სრულ გამარჯვებას? მეთოთხმეტე კონფერენციის ცნობილი რეზოლუცია მაინც წაეკითხათ, იქ ეს საკითხი ისე ზედმიწევნით არის განმარტებული, რომ თვით საბჭოთა პარტიულ სკოლის მოწაფესაც დააკმაყოფილებს.

ზინოვიევსა და მასთან ერთად ტროცკისაც მოჰყავთ ციტატები ლენინის ნაწერებიდან ბრესტის ზავის პერიოდიდან, სადაც ნათქვამია, რომ შეიძლება გარეშე მტრებმა ჩვენი რევოლუცია შემუსრონ. მაგრამ განა ძნელია იმის გაგება, რომ ამ ციტატებს არავითარი დამოკიდებულება არ აქვს სოციალიზმის აღმშენებლობის საკითხთან ჩვენს ქვეყანაში? ლენინი ამბობს, რომ ჩვენ უზრუნველყოფილნი არ ვართ ინტერვენციისაგან და ეს სავსებით სწორია. მაგრამ განა პარტიას ოდესმე უთქვამს, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი საკუთარი ძალებით ქვეყანა უზრუნველვყოთ ინტერვენციის საფრთხისაგან? განა პარტია ყოველთვის არ ამტკიცებდა და ახლაც არ ამტკიცებს, რომ გარანტიის მოცემა ინტერვენციის წინააღმდეგ შეუძლია მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციის გამარჯვებას რამდენიმე ქვეყანაში? მაგრამ შეიძლება თუ არა ამისდამიხედვით იმის თქმა, რომ სოციალიზმის აღმშენებლობა ჩვენს ქვეყანაში აღემატება ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის ძალებს? განა დრო არ არის შევსწყვიტოთ ეს შეგნებული არევა საგარეო საკითხებისა, რომელნიც მსოფლიო ბურჟუაზიის საწინააღმდეგო ბრძოლას ეხებიან, შინაურ საკითხებში, რომელნიც სოციალიზმის აღმშენებლობის საკითხებს ეხებიან?

ზინოვიევს ციტატა მოჰყავს კომუნისტური მანიფესტიდან: „შეერთება ძალების უკიდურეს შემთხვევაში ცივილიზაციის ქვეყნებისა მაინც, ერთი პირველი პირობათაგანია პროლეტარიატის გამარჯვებისათვის". ამ ციტატას იგი ადარებს ლენინის ხელთნაწერს ციტატას იმის შესახებ, რომ „სოციალიზმის გამარჯვებისათვის საჭიროა რამოდენიმე მოწინავე ქვეყნის მუშათა საერთო ძალებით მოქმედება", და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ვითომც ჩვენი პარტია ამ საყოველთაოდ მიღებული, უდავო დებულებების წინააღმდეგ წავიდა და დაავიწყდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ინტერნაციონალური პირობები. განა ყოველივე ეს სასაცილო არაა? სად, როდის მოხდა, რომ ჩვენმა პარტიამ ჯეროვნად ვერ შეაფასა მუშათა კლასის ინტერნაციონალური პირობების გადამწყვეტი მნიშვნელობა, ჩვენს ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვების ინტერნაციონალური პირობები? რა არის კომინტერნი, თუ არა გაერთიანებული ძალების გამოხატულება არა მარტო მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატისა, არამედ ყველა ქვეყნების, როგორც მსოფლიო რევოლუციისათვის, ისე ჩვენი რევოლუციის განვითარებისათვის? ვინ აიღო კომინტერნის დაარსების ინიციატივა? ვინ არის მისი მოწინავე რაზმი, თუ არა ჩვენი პარტია? რა არის პროფკავშირთა მთლიანი ფრონტის პოლიტიკა, თუ არა გაერთიანება არა მარტო მოწინავე ქვეყნების, არამედ საერთოდ ყველა ქვეყნების მუშების ძალთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანება? ვის შეუძლია უარყოს ჩვენი პარტიის პირველხარისხოვანი როლი პროფკავშირთა მთლიანი ფრონტის პოლიტიკის მთელ მსოფლიოში გატარების საქმეში. განა ეს ფაქტი არაა, რომ ყველა ქვეყნების მუშები, თავისი თანაგრძნობით ჩვენი რევოლიუციისადმი, ბრძოლით ინტერვენციის ცდების წინააღმდეგ, მხარს უჭერდენ და კვლავ მხარს უჭერენ ჩვენს რევოლიუციას. რა არის ეს, თუ არა ყველა ქვეყნების ძალთა გაერთიანება ჩვენი რევოლიუციის გამარჯვებისათვის. რას წარმოადგენს ინგლისის მუშების ბრძოლა კერზონის წინააღმდეგ ცნობილი ნოტის გამო? საბჭოთა კავშირის მუშების დახმარება ინგლისელ მემაღაროებისადმი? მე შემეძლო ამხანაგებო, მომეყვანა მთელი რიგი ამგვარი ფაქტებისა, რომ იყოს ამის აუცილებლობა. სად არის აქ ჩვენი რევოლიუციის ინტერნაციონალური ამოცანების დავიწყება?

რაშია აქ საიდუმლოება? საიდუმლოება აქ იმაში მდგომარეობს, რომ ზინოვიევი სცდილობს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნების პროლეტარების გაერთიანების საკითხით შესცვალოს კარდინალური საკითხი ჩვენ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ, კარდინალური საკითხი იმის შესახებ, რომ შეუძლია თუ არა პროლეტარულ ხელისუფლებას თანამედროვე საერთაშორისო პირობებში გაუძლოს „კონსერვატიულ ევროპას“.

ტროცკი, ზინოვიევის ეხლანდელი მასწავლებელი ამბობს: „ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შესძლებს ხელისუფლების შენარჩუნებას და თავისი დროებითი ბატონობის ხანგრძლივ სოციალისტურ დიქტატურად გადაქცევას“.

პარტია კი ამტკიცებს, რომ ორთავე ეს ციტატა ტროცკის თხზულებიდან სოციალ-დემოკრატიული გადახრის გამომხატველია, იგი ჩვენი პროლეტარიატის, ჩვენი რევოლიუციის ძალებისადმი რწმენის უქონლობის გამომხატველია.

აი, რაშია საკითხი, აი, რის გარშემო სწარმოებს დავა ჩვენს შორის.

ზინოვიევს მოჰყავს ციტატები ლენინიდან და კომუნისტური მანიფესტიდან და სცდილობს, რომ ეს ძირითადი საკითხი შესცვალოს სხვა საკითხით—ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის მოწინავე ქვეყნების პროლეტარების ძალების გაერთიანების საკითხით.

აი, რაში მდგომარეობს ზინოვიევს ვარჯიშობა ჩვენი რევოლიუციის, ჩვენი პარტიის ინტერნაციონალური ამოცანების დავიწყების შესახებ.

აი, რაშია ზინოვიევის ფოკუსების, არევის და აბნეულობის საიდუმლოება.

აი, ამ არაჩვეულებრივ არევ-დარევას, ამ დომხალს, აბნეულობას თავის საკუთარ თავში ზინოვიევი ასაღებს „ნამდვილ“ რევოლიუციონერობად, ოპოზიციონურ ბლოკის „ნამდვილ“ ინტერნაციონალიზმად.

განა სასაცილო არაა ყოველივე ეს?

არა, ამხანაგებო ოპოზიციიდან, რომ ინტერნაციონალური რევოლიუციონერი იყო ჩვენს დროში, და ამავე დროს იყო ჩვენი პარტიის რიგებში, უნდა განამტკიცო და ყოველმხრივ ხელი შეუწყო ჩვენს პარტიას, რომელიც ამასთან ერთად კომინტერნის მოწინავე რაზმია. თქვენ კი ანგრევთ, შლით მას.

რომ ჩვენს დროში იყო ინტერნაციონალისტი, საჭიროა ყოველმხრივ განამტკიცო და ხელი შეუწყო კომუნისტურ ინტერნაციონალს, თქვენ კი მას შლით, ანგრევთ, მხარს უჭერთ და ინსტრუქციებს აძლევთ ყველა მასლოვებსა და სუვარინებს.

დროა შეიგნოთ, ამხანაგებო ოპოზიციიდან, რომ გამოუცხადეთ რა ომი კომინტერნს, თქვენ აღარ ხართ რევოლიუციონერები, ინტერნაციონალისტები (ტაში). დროა შეიგნოთ, რომ თქვენ რევოლიუციონერ-ინტერნაციონალისტები კი აღარა ხართ, არამედ რევოლიუციის, ინტერნაციონალიზმის უბედნი. (ტაში).

დროა შეიგნოთ, რომ თქვენ საქმის რევოლიუციონერები კი აღარა ხართ, არამედ მჟღერალა ფრაზების, კინემატოგრაფიულ სურათის რევოლიუციონერები (სიცილი. ტაში).

დროა შეიგნოთ, რომ თქვენ საქმის რევოლიუციონერები კი არა, არამედ კინო-რევოლიუციონერები ხართ (სიცილი. ტაში).

პერმანენტული რევოლიუციის თეორია

გადავედეთ ტროცკის გამოსვლაზე.

ტროცკიმ განაცხადა, რომ პერმანენტული რევოლიუციის თეორიას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს საკითხთან ჩვენი რევოლიუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ. ეს ძალიან საკვირველია, თუ მეტი არა. როგორ? განა პერმანენტული რევოლიუციის თეორია არ აყალიბებს უწინარეს ყოვლისა ჩვენი რევოლიუციის მამოძრავებელ ძალებს? მაშ, რა არის საკითხი ჩვენი რევოლიუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ,—თუ არა საკითხი ამ რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების შესახებ? როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ თეორიას პერმანენტული რევოლიუციის შესახებ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს განსახილველ საკითხებთან? ეს არ არის სწორი. ტყუილი ჯაფაა, ამხ. ტროცკი. ნუ ეცდებით დამალვას, სულ ერთია ვერ დაიმალებით.

ტროცკი თავის სიტყვის მეორე ადგილას სცდილობდა „გადაეკრა“ იმაზე, რომ ის უკვე დიდი ხანია სერიოზულ მნიშვნელობას აღარ აძლევს პერმანენტული რევოლიუციის თეორიას. კამენევმა თავის სიტყვაში „გვაგრძნობინა“, რომ ტროცკის შეუძლია პირი იბრუნოს პერმანენტული რევოლიუციის თეორიისაგან, თუ დღემდე არ უბრუნებია პირი.

საოცრებაა სწორედ

განვიხილოთ საკითხი—სწორია თუ არა, რომ პერმანენტული რევოლიუციის თეორიას არ აქვს დამოკიდებულება ამ საკითხთან და თუ ეს მართალი არაა, შეიძლება თუ არა დაუჯეროთ კამენევს, რომ ტროცკი მნიშვნელობას არ აძლევს პერმანენტული რევოლიუციის თეორიას და თითქმის უარყო მან იგი.

მივმართოთ დოკუმენტებს. მე, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ტროცკის წერილი ოლმინსკისადმი 1921 , ოქტომბერში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა 1925 წელში, წერილი, რომელზედაც ტროცკის არასოდეს არ უთქვამს უარი, არ უარყვია დღემდე არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ და რომელიც ამის გამო სავსებით რჩება ძალაში. რა არის ნათქვამი ამ წერილში პერმანენტული რევოლიუციის შესახებ? მოუსმინეთ: „მე სრულიადაც არ ვფიქრობ, რომ ყოველივე იმაში, რაშიაც არ ვეთანხმებოდი ბოლშევიკებს, ყოველთვის ვიყავი მართალი. მართალი არ ვიყავი, ძირიან-ფესვიანად არ ვიყავი მართალი მენშევიკური ფრაქციის შეფასებაში, როცა მე გადაჭარბებულად ვაფასებდი მის რევოლიუციონურ შესაძლებლობას და იმედი მქონდა, რომ გამოვაცალკევებდი მისგან მემარჯვენე ფრთას და არარაობამდე დავიყვანდი მის მნიშვნელობას. მაგრამ ეს ძირითადი შეცდომა გამომდინარეობდა იქიდან, რომ ორთავე ფრაქციას,—მენშევიკურს და ბოლშევიკურს მე უდგებოდი პერმანენტული რევოლიუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისით, მაშინ, როდესაც ბოლშევიკები და მენშევიკები იმ პერიოდში იდგენ ბურჟუაზიული რევოლიუციისა და დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაზრისზე. მე ვფიქრობდი, რომ უთანხმოება ორთავე ფრაქციას შორის პრინციპიალურად არც ისე ღრმაა და ვიმედოვნებდი (ეს იმედი მე არა ერთხელ გამოვსთქვი წერილებში და მოხსენებებში), რომ თვით რევოლიუციის მსვლელობა მიიყვანს ორთავე ფრაქციას პერმანენტული რევოლიუციის პოზიციამდე და ხელისუფლების დაპყრობამდე მუშათა კლასის მიერ, რაიც ნაწილობრივ მართლაც მოხდა 1905 წელში. მე ვფიქრობ, რომ რევოლიუციის მომძრავებელ ძალთა შეფასება ჩემს მიერ, უსათუოდ მართალი იყო.

დასკვნები კი, რომლებსაც მე ვაკეთებდი ორთავე ფრაქციის შესახებ, უეჭველად მართალი იყო. მხოლოდ ბოლშევიზმმა, თავისი შეურიგებელი ხაზის მეოხებით დარაზმა თავის რიგებში როგორც ძველი ინტელიგენციის, ისე მუშათა კლასის მოწინავე ფენების ნამდვილი რევოლიუციური ელემენტები. მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ბოლშევიზმმა შექმნა ეს შემჭიდროებული რევოლიუციონური ორგანიზაცია, შესაძლო გახდა სწრაფი შებრუნება რევოლიუციონურ დემოკრატიულ პოზიციიდან რევოლიუციონურ სოციალისტურ პოზიციისაკენ. ეხლაც, მე ადვილად შემეძლო ჩემი პოლემიკური წერილები მენშევიკებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ დამეყო ორ კატეგორიად: პირველი რომელთა დანიშნულება რევოლიუციის შინაგან ძალთა და მისი პერსპექტივების ანალიზი და მეორე, რომელთა დანიშნულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის შეფასება მათ ბრძოლაში და სხ. პირველი კატეგორიის წერილები მე ეხლაც შეუსწორებლად შემეძლო გამომეცა, ვინაიდან ისინი სავსებით და მთლიანად ეთანხმებიან ჩვენი პარტიის პოზიციას, 1917 წლიდან დაწყებული. მეორე კატეგორიის წერილები აშკარა შეცდომას შეიცავენ და მათი ხელმეორე გამოცემა არ ღირს“.

გამოდის, რომ ტროცკი სცდებოდა საორგანიზაციო საკითხებში, ჩვენი რევოლიუციის შეფასების საკითხებში და პერმანენტული რევოლიუციის საკითხში კი იგი მართალი იყო და მართალი დარჩა.

მართალია ტროცკის არ შეუძლია არ იცოდეს, რომ ლენინი თავის უკანასკნელ დღეებამდე იბრძოდა პერმანენტული რევოლიუციის თეორიის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ეკაილება მას.

გამოდის შემდეგ, რომ ორთავე ფრაქციები—მენშევიკები და ბოლშევიკები უნდა მისულიყვნენ პერმანენტული რევოლიუციის თეორიამდე, ნამდვილად კი ამ თეორიამდე მივიდენ მხოლოდ ბოლშევიკები, იმის მეოხებით, რომ მათ შეავსდათ რევოლიუციონურად დარაზმული მუშებისა და ძველი ინტელიგენციის ორგანიზაცია, და მივიდენ არა უცებ, არამედ 1917 წლიდან „დაწყებული“.

გამოდის დაბოლოს, რომ პერმანენტული რევოლიუციის თეორია „1917 წლიდან დაწყებული სავსებით და მთლიანად შეეგუა ჩვენი პარტიის პოზიციას“.

ეხლა თვითვე განსაჯეთ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ტროცკი პერმანენტული რევოლიუციის თეორიას არ აძლევს დიდ მნიშვნელობას. სრულებითაც არა. პირიქით, თუ პერმანენტული რევოლიუციის თეორია „დაწყებული 1917 წლიდან“ მართლაც ეთანხმება პარტიის პოზიციას, აქედან ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ მხოლოდ ის დასკვნა, რომ ტროცკი ამ თეორიას აძლევდა და ეხლაც აძლევს გადამწყვეტ მნიშვნელობას მთელი ჩვენი პარტიისათვის.

მაგრამ რას ნიშნავს „ეთანხმება“? როგორ შეიძლება პერმანენტული რევოლიუციის თეორია შეეთანხმოს ჩვენი პარტიის პოზიციას, თუ დამტკიცებულია, რომ ჩვენი პარტია ლენინის სახით ყოველთვის ებრძოდა ამ თეორიას? ორში ერთი, ან ჩვენ პარტიას არ ჰქონდა თავისი თეორია და ის იძულებული იყო მიეღო ტროცკის პერმანენტული რევოლიუციის თეორია, ან ჰქონდა თავისი თეორია, მაგრამ ეს თეორია „დაწყებული 1917 წლიდან“ თანდათან განდევნა და დაამარცხა ტროცკის პერმანენტულ რევოლიუციის თეორიამ.

ეს „გაუგებრობა“ ჩვენ შემდეგ განგვიმარტა ტროცკიმ თავის წიგნის „1905 წელი“-ს წინასიტყვაობაში, რომელიც დაწერილ იქნა 1922 წელს. ანვითარებს რა პერმანენტულ რევოლიუციის თეორიის შინაარს და უკეთებს რა ანალიზს ჩვენი რევოლიუციის შეფასებას პერმანენტულ რევოლიუციის თეორიის თვალსაზრისით, ტროცკი მიდის შემდეგ დასკვნამდე:

„ეს შეფასება სავსებით დადასტურდა, თუმცა ეს მოხდა 12 წლის შემდეგ“ (ტროცკი 1925 წელი წინასიტყვაობა). ერთი სიტყვით პერმანენტული რევოლიუციის თეორია, რომელიც ტროცკიმ 1905 წელს შეიმუშავა, სავსებით დამტკიცდა 1917 წელს, 12 წლის შემდეგ. მაგრამ როგორ შეიძლებოდა რომ ის დადასტურებულიყო? ბოლშევიკები სადღა გაქრენ? ნუ-თუ ისინი რევოლიუციისათვის იბრძოდენ ყოველგვარი საკუთარი თეორიის გარეშე, ნუ-თუ მათ მხოლოდ რევოლიუციონური მუშები და რევოლიუციონური ინტელიგენცია შეაკავშირეს? რა ნიადაგზე, რა პრინციპების საფუძველზე შეაკავშირებს მათ მუშები?

ჰქონდათ თუ არა ბოლშევიკებს რაიმე თეორია, რევოლიუციის შეფასება, რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა შეფასება? ნუ თუ პერმანენტულ რევოლიუციის თეორიის გარდა ჩვენ პარტიას არავითარი თეორია არ ჰქონია? თვითვე განსაჯეთ: ჩვენ ბოლშევიკები თურმე ვცხოვრობდით და ვიბრძოდით უპერსპექტივოდ, რევოლიუციონურ თეორიის გარეშე და ვცხოვრობდით ასე 1903 წლიდან 1917 წლამდე, ხოლო შემდეგ, „დაწყებული 1917 წლიდან“ შეუმჩნევლად ჩავყლაპეთ პერმამენტული რევოლიუციის თეორია და წამოვედექით ფეხზე. უდავოა, რომ ეს მეტად საინტერესო ზღაპარია. მაგრამ როგორ მოხდა, რომ ეს ჩატარდა შეუმჩნევლად, უბრძოლველად, პარტიის შეურყევლად? როგორ მოხდა ეს ასე უბრალოთ? ხომ ცნობილია, რომ ლენინი და მისი პარტია პერმამენტული რევოლიუციის წინააღმდეგ იბრძოდა ამ თეორიის წარმოშობის დღიდანვე.

ამ „გაუგებრობას“ ტროცკი განმარტავს სხვა ადგილას. მე მხედველობაში მაქვს შენიშვნა ტროცკის წერილზე „ჩვენი უთანხმოებანი“, რომელიც (შენიშვნა) დაწერილია 1922 წელს.

აი სათანადო ადგილი ამ წერილიდან:

„თუ მენშევიკები, გამოდიან რა აბსტრაქციიდან „ჩვენი რევოლიუცია ბურჟუაზიულია“ საჭიროდ სთვლიან პროლეტარიატის მთელი ტაქტიკის შეფარდებას ლიბერალური ბურჟუაზიის მოქმედებასთან, თვით მის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობამდე, ბოლშევიკები გამოდიან რა ასეთივე შიშველი აბსტრაქციიდან „დემოკრატიული და არა სოციალისტური დიქტატურა“, მიდიან პროლეტარიატის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თვითშეზღუდვის იდეამდე, პროლეტარიატის, რომლის ხელშია სახელმწიფო ძალაუფლება. მართალია, მათ შორის განსხვავება ამ საკითხში მეტად მნიშვნელოვანია, —იმ დროს, როცა მენშევიზმის ანტირევოლიუციონური მხარეები უკვე ეხლავე თავს იჩენენ მთელი თავისი სიძლიერით, ბოლშევიზმის ანტირევოლიუციონური მხარეები დიდ საფრთხეს წარმოადგენენ მხოლოდ რევოლიუციის გამარჯვების შემთხვევაში“, (ტროცკი, „1905 წელი“).

გამოდის რომ თავისი ანტირევოლიუციონური მხარეები ჰქონდა არამარტო მენშევიზმს, არამედ არც ბოლშევიზმი იყო თავისუფალი ანტირევოლიუციონურ მხარეებისაგან. რომელნიც „დიდ საფრთხეს წარმოადგენდენ მხოლოდ რევოლიუციის გამარჯვების შემთხვევაში“.

განთავისუფლდენ თუ არა შემდეგ ბოლშევიკები ბოლშევიზმის „ანტირევოლიუციონურ მხარეებისაგან“ და თუ განთავისუფლდენ რა გზით? ამ „გაუგებრობას“ ტროცკი განგვიმარტავს წერილი „ჩვენი უთანხმოებანი“-ს შენიშვნაში, ყური დაუგდეთ: „ეს როგორც ვიცით არ მოხდა, რადგან ლენინის ხელმძღვანელობით ბოლშევიზმმა მოახდინა ახალი იდეური შეიარაღება (არა შინაგანი ბრძოლის გარეშე) ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში 1917 წლის გაზაფხულზე ე. ი. ძალაუფლების დაპყრობამდე“.

მაშასადამე „ბოლშევიზმის ახალი იდეური შეიარაღება“ 1917 წლიდან პერმანენტული რევოლიუციის თეორიის საფუძველზე, ამასთან და კავშირებით ბოლშევიზმის გადარჩენა „ანტირევოლიუციონურ მხარეებისაგან“ და, დაბოლოს, ის ფაქტი, რომ პერმანენტული რევოლიუციის თეორია ამრიგად „სავსებით“ დადასტურდა—ასეთია ტროცკის დასკვნა.

სადღა გაჰქრა ლენინიზმი, ბოლშევიზმის თეორია, ჩვენი რევოლიუციის, მისი მამოძრავებელი ძალების ბოლშევიკური შეფასება და სხვა. ყველაფერი ეს ან არ „დადასტურდა“, ან გაჰქრა ჰაერში დაუთმო რა ადგილი პერმანენტულ რევოლიუციის თეორიას.

ამრიგად, ქვეყანაზედ ცხოვრობდენ ბოლშევიკები, ასე თუ ისე „აკოწიწებდენ“ პარტიას 1903 წლიდან, მაგრამ მათ არ ჰქონდათ რევოლიუციონური თეორია და მხოლოდ 1917 წელს მათ შეამჩნიეს ტროცკი პერმანენტული რევოლიუციის თეორიით ხელში, გადასწყვიტეს მოეხდინათ „ახალი იდეური შეიარაღება“, რის შემდეგ დაჰკარგეს ლენინიზმის, რევოლიუციის ლენინურ თეორიის ყოველგვარი ნაშთი და მოახდინეს ამგვარათ პერმანენტული რევოლიუციის თეორიის სრული „შეთანხმება“ ჩვენი პარტიის „პოზიციასთან“.

ეს ძლიერ საინტერესო ზღაპარია, ამხანაგებო. ეს, თუ გნებავთ ცხელი ჯამბაზობაა, როგორსაც ხშირად შეხვდებით ცირკში. მაგრამ ჩვენ ხომ აქ ცირკი არა გვაქვს, არამედ ჩვენი პარტიის კონფერენცია და ჩვენ ხომ ტროცკი ცირკის მსახიობათ არ მოგვიწვევია. მაშ რაღა საჭიროა ასეთი ჯამბაზობა?

ლენინი პერმანენტული რევოლიუციის შესახებ

როგორია ლენინის მიერ ტროცკის პერმანენტული რევოლიუციის თეორიის შეფასება. აი რასა სწერს იგი ამ თეორიის შესახებ ერთ-ერთ თავის წერილში, სადაც ის დასცინის მას როგორც „ორიგინალურსა და მშვენიერს“ თეორიას: „რევოლიუციონურ პარტიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს კლასთა ურთი-ერთობის გამორკვევა მომავალ რევოლიუციაში. ამ ამოცანას, სისწორით ვერ სწყვეტს „ნაშე სლოვო“-ში ტროცკი, რომელიც იმეორებს თავის 1925 წლის ორიგინალურ თეორიას და რომელსაც არ სურს ანგარიში გაუწიოს იმას თუ რა მიზეზების გამო აუხვია ცხოვრებამ გვერდი ამ მშვენიერ თეორიას ათი წლის განმავლობაში. ტროცკის ორიგინალური თეორია ბოლშევიკებისაგან სესხულობს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობის ლოზუნგს, ხოლო მენშევიკებისაგან—გლეხობის როლის „უარყოფას“. ამით ტროცკი არსებითად დახმარებას უწევს რუსეთის ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებს, რომელთაც გლეხობის როლის უარყოფა ესმით, როგორც სურვილის უქონლობა, რომ გლეხკაცობა აღდგეს რევოლიუციის მოსახდენად“.

გამოდის, რომ ლენინის მიხედვით პერმანენტული რევოლიუციის თეორია ნახევრათ მენშევიკური თეორიაა, რომელიც უყურადღებოთ სტოვებს გლეხობის რევოლიუციონურ როლს რუსეთის რევოლიუციაში.

გაუგებარია მხოლოდ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ეს ნახევრად მენშევიკური თეორია „სავსებით და მთლიანად“ ჩვენი პარტიის პოზიციის გამომხატველი ყოფილიყო თუნდაც “1917 წლის შემდეგ“.

როგორღა აფასებს ჩვენი პარტია პერმანენტული რევოლიუციის თეორიას? აი რა სწერია მის შესახებ XIV პარტკონფერენციის ცნობილ რეზოლიუციაში? „ტროცკის პერმანენტული რევოლიუციის თეორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მტკიცება, რომ სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღორძინება რუსეთში შესაძლებელი გახდება მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში; ეს დებულება საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს ახლანდელ პერიოდში ფატალურ პასივობას უქადის“.

ასეთი „თეორიების“ წინააღმდეგ ლენინი სწერდა:

„განუსაზღვრელად შაბლონურია მათში ის საბუთი, რომელიც მათ შეისწავლეს ზეპირად დასავლეთ-ევროპის სოციალ-დემოკრატიის განვითარების დროს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არ მოვმწიფებულვართ ჯერ სოციალიზმამდე, რომ ჩვენ არა გვაქვს, როგორც გამოსთქვამენ ზოგიერთი სწავლული ვაჟბატონები მათი წრიდან, ობიექტიური წინაპირობები სოციალიზმისათვის“.

გამოდის რომ პერმანენტული რევოლიუციის თეორია არის იგივე სუხანოვშჩინა, რომელსაც გმობს ლენინი თავის წერილებში „ჩვენი რევოლიუციის შესახებ“, როგორც სოციალ-დემოკრატიზმს. გაუგებარია მხოლოდ—როგორ შეეძლო ახეთ თეორიას ხელმეორედ „შეეიარაღებია“ ჩვენი ბოლშევიკური პარტია. კამენევმა გვაცნობა თავის სიტყვაში, რომ ტროცკი უარყოფს თავის პერმანენტული რევოლიუციის თეორიას და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი ორაზროვანზე უფრო მეტი ციტატა ტროცკის უკანასკნელი წერილიდან, რომელსაც ის სწერს ოპოზიციონერებს 1926 წლის სექტემბერში. „ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ როგორც ეს დაგვანახა ცდამ, ყველა რამდენათმე მაინც პრინციპიალურ საკითხებში, რომლებშიაც რომელიმე ჩვენგანს უთანხმოება ქონია ლენინთან, სიმართლე, ყოველ ეჭვს გარეშე, ვლადიმერ ილიჩის მხარეზე ყოფილა“. კამენევი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ამ სიტყვების შემდეგ, იმავე წერილში ტროცკიმ გააკეთა შემდეგი განცხადება, რომელიც თავდაყირა აყენებს მის წინა განცხადებას: „ლენინგრადის ოპოზიცია ენერგიულად გამოვიდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის თეორიის წინააღმდეგ, რომელიც თეორეტიულად ამართლებს ნაციონალურ კარჩაკეტილობას“. რა მნიშვნელობა აქვს პირველ ორაზროვან განცხადებას, რომელიც არაფერს არ ავლენს ტროცკის იმ განცხადების წინაშე, რომელიც თავდაყირა აყენებს პირველს. რა არის პერმანენტული რევოლიუციის თეორია? ეს არის ლენინის თეორიის უარყოფა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის შესახებ. რა არის ლენინის თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის შესახებ? ეს არის ტროცკის პერმანენტული რევოლიუციის თეორიის უარყოფა.

როგორ მოჰყავს ტროცკის ციტატები

განა ცხადი არ არის, რომ კამენევი, როცა მან მოიყვანა პირველი ციტატა ტროცკის წერილიდან და კრინტი არ დაუძრავს მეორეს შესახებ, ცდილობდა გზა აებნია და მოეტყუებინა ჩვენი პარტია? მაგრამ ჩვენი პარტიის მოტყუება არც ისე ადვილია ოპოზიციონერო ამხანაგებო! მიაქციეთ თქვენ თუ არა ყურადღება, ამხანაგებო, რომ ტროცკის მთელი სიტყვა აგებული იყო ლენინის თხზულებებიდან ამოღებული სხვადასხვანაირი ციტატებით კითხულობ ამ ციტატებს, რომლებიც ამოგლეჯილია ლენინის სხვადასხვა წერილებიდან და ვერ გაიგებ რის მიღწევა სურს ტროცკის:

იმის, რომ გაამაგროს თავისი პოზიციები, თუ იმისი, რომ დაიჭიროს ლენინი „წინააღმდეგობებში“.

მან მოიყვანა ლენინის ნაშრომებიდან ციტატების ერთი ჯგუფი, რომელიც ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ინტერვენციის საფრთხე შეიძლება დაძლეულ იქნეს, თუ რევოლიუცია გაიმარჯვებს რამოდენიმე სახელმწიფოში და ამით ტროცკი ალბათ ფიქრობდა ემხილებია პარტია, მაგრამ მან ვერ გაიგო ან არ სურს იმის გაგება, რომ ეს ციტატები პარტიის პოზიციის წინააღმდეგ კი არ ლაპარაკობენ, არამედ მის სასარგებლოდ და თვით ტროცკის პოზიციის წინააღმდეგ, რადგან გარეშე საფრთხის ხვედრითი წონა ფასდება პარტიის მიერ ლენინის ხაზთან სრულ შეთანხმებით. მან მოიყვანა ციტატების მეორე ჯგუფი, რომელიც ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია სოციალიზმის სრული გამარჯვება, თუ არ გაიმარჯვა რევოლიუციამ რამდენიმე სახელმწიფოში და ცდილობდა, რომ ეს ციტატები ჯამბაზურად გამოეყენებია, მაგრამ მან ვერ გაიგო, ან არ უნდა იმის გაგება, რომ არ შეიძლება ერთ ჯგუფში არევა სოციალიზმის სრული გამარჯვება (გარანტია ინტერვენციისაგან) და სოციალიზმის გამარჯვება საერთოდ (სოციალისტური საზოგადოების აშენება); მას არ ესმის ან არ უნდა იმის გაგება, რომ ლენინის თხზულებიდან ამოღებული ეს ციტატები ლაპარაკობენ არა პარტიის წინააღმდეგ, არამედ მის სასარგებლოდ და ტროცკის პოზიციის წინააღმდეგ. ტროცკიმ მოიყვანა მთელი გროვა სხვადასხვა ციტატებისა, რომლებიც საქმეს არ შეეხებოდა, მაგრამ მას არ მოუსურვებია შეჩერებულიყო ლენინის ძირითად წერილზე „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ“, (1915 წელი) რადგან, ალბათ ფიქრობდა, რომ კამენევმა გაანთავისუფლა ის თავისი გამოსვლით ამ წერილის გამო. მიუხედავათ ამისა ეხლა საბოლოოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ კამენევმა ვერ შეასრულა თავისი როლი და ლენინის წერილი რჩება თავის ძალაში.

შემდეგ ტროცკიმ მოიყვანა ციტატა ლენინის ცნობილი წერილიდან იმის შესახებ, რომ მათ შორის უთანხმოება არ არსებობს გლეხობის საკითხში მიმდინარე პოლიტიკის დარგში. მაგრამ მას დაავიწყდა ეთქვა, რომ ლენინის ეს წერილი არა თუ არ სწყვეტს, არამედ არც კი ეკარება უთანხმოების საკითხს ტროცკისა და ლენინს შორის გლეხობის საკითხის შესახებ ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

ამით აიხსნება ის, რომ ტროცკის ოპერაციები ციტატებისა ცარიელ ჯამბაზობად იქცა.

ტროცკი ცდილობდა დაემტკიცებია, რომ მისი პოზიცია ლენინის პოზიციას „ეთანხმება“—ჩვენი რევოლიუციის შინაური ძალების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აგების შესაძლებლობის საკითხში. მაგრამ როგორ შეიძლება დაუმტკიცებელის დამტკიცება?

როგორ შეიძლება შეეგუოს ლენინის თეზისისა, რომ „სოციალიზმის გამარჯვება პირველად შესაძლოა მცირეოდენ, ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაშიაც კი“ ტროცკის თეზისთან იმის შესახებ, რომ „უიმედოა ფიქრი, რომ მაგალითად, რევოლიუციონური რუსეთი გაუძლებს კონსერვატიულ ევროპას“.

როგორ შეეგუოთ ლენინის თეზისი, რომ „ამ ქვეყნის (ერთი ქვეყნის) გამარჯვებული პროლეტარიატი ექსპროპრიაციას მოუხდენს კაპიტალისტებს, მოაწყობს სოციალისტურ წარმოებას და აღსდგება დანარჩენ კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ“ ტროცკის თეზისს იმის შესახებ, რომ „ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შესძლებს ხელისუფლების შენარჩუნებას და თავის დროებით ბატონობას ხანგრძლივ სოციალისტურ დიქტატურად გადაქცევას“.

როგორ შეგვიძლია, შეუგუოთ დაბოლოს, ლენინის თეზისი, რომ „მხოლოდ გლეხობასთან შეთანხმებას შეუძლია იხსნას სოციალისტური რევოლიუცია რუსეთში, ხანამ არ მომხდარა რევოლიუცია სხვა ქვეყნებში“ ტროცკის თეზისს იმის შესახებ, რომ „წინააღმდეგობანი მუშათა მთავრობის მდგომარეობაში ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც უდიდეს უმრავლესობას გლეხობა წარმოადგენს. თავის გარდაწყვეტას ჰპოვებენ მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბში, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლიუციის სარბიელზე“.

შემდეგ, რით განსხვავდება ტროცკის პოზიცია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, ოტტო ბაუერის პოზიციიდან, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ „რუსეთში, სადაც პროლეტარიატი ერის მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენს, მას თავისი ბატონობის დამკვიდრება მხოლოდ დროებით შეუძლია“, რომ „მან აუცილებლად ხელმეორედ უნდა დაჰკარგოს ძალაუფლება, როგორც კი ერის გლეხურმა მასამ საკმაოდ მოიწიფა კულტურულად იმისათვის, რომ თვითონ აიღოს ხელში ძალაუფლება“ და რომ „მხოლოდ ინდუსტრიალური დასავლეთის პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობით შეიძლება ინდუსტრიალური სოციალიზმის ხანგრძლივი ბატონობის უზრუნველყოფა“ რუსეთში.

განა ცხადი არაა, რომ ტროცკი უფრო ახლოა ბაუერთან, ვიდრე ლენინთან და განა მართალი არაა, რომ ტროცკის პოზიცია სოციალ-დემოკრატიული გადახრის პოზიციაა და რომ ტროცკი არსებითად უარყოფს ჩვენი რევოლიუციის სოციალისტურ ხასიათს.

ტროცკი შეეცადა დაესაბუთებია თავისი თეზისი იმის შესახებ, რომ შეუძლებელია პროლეტარული ხელისუფლების შენარჩუნება კონსერვატიული ევროპის წინაშე. დაესაბუთებია იმით, რომ ეხლანდელი ევროპა არაა კონსერვატიული, რომ იგი ცოტად თუ ბევრად ლიბერალურია და რომ ევროპა მართლაც კონსერვატიული რომ იყოს, მაშინ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს შეეძლო ხელისუფლების შენარჩუნება. მაგრამ განა ძნელია გაგება იმისა, რომ ტროცკი აქ სავსებით და საბოლოოდ დაიბნა?

რა უწოდოთ, მაგალითად, ეხლანდელ იტალიას, ან საფრანგეთს, ან ინგლისს — კონსერვატიული თუ ლიბერალური. რას წარმოადგენს ეხლანდელი ჩრდილოეთ ამერიკა—კონსერვატიულ თუ ლიბერალურ ქვეყანას? რა მნიშვნელობა შეუძლია ჰქონდეს ჩვენი რესპუბლიკის მთლიანობისა და დაცვისათვის ამ „ოხტატურ“ სასაცილო ხაზ გასმას განსხვავებისა კონსერვატიულ და „ლიბერალურ“ ევროპას შორის. განა რესპუბლიკანური საფრანგეთი და დემოკრატიული ამერიკა ისევე არ უხდენდა ჩვენს ქვეყანას ინტერვენციას კოლჩაკისა და დენიკინის პერიოდში, როგორც მონარქისტული კონსერვატიული ინგლისი?

საშუალო გლეხების საკითხი

ტროცკი განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობდა საკითხს საშუალო გლეხის შესახებ. მან მოიყვანა ციტატა ლენინის თხზულებიდან 1906 წლის პერიოდში, სადაც ლენინი წინასწარმეტყველობს, რომ ბურჟუაზიული რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ საშუალო შეძლების გლეხობის ნაწილი კონტრ-რევოლიუციის მხარეზე გადავა; ამით სურს მას ალბად დაამტკიცოს, რომ ეს ციტატა „ეთანხმება“ ტროცკის პოზიციას გლეხობის საკითხის შესახებ სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ. ძნელი არა გაგება იმისა, რომ ტროცკი აქ შეუდარებელ საგნებს ადარებს. ტროცკის აქვს მიდრეკილება, რომ საშუალო შეძლების გლეხობა განიხილოს როგორც „საგანი თავის თავად“, როგორც მუდმივი რამ, როგორც მარად არსებული. მაგრამ ბოლშევიკები ასე არასოდეს არ უყურებდენ საშუალო შეძლების გლეხობას. ტროცკის ალბად დაავიწყდა, რომ ბოლშევიკებს სამი გეგმა აქვთ გლეხობის ძირითადი მასის მიმართ: ერთი გეგმა, რომელიც ბურჟუაზიული რევოლიუციის პერიოდისათვის არის ნავარაუდევი, მეორე გეგმა რომელიც პროლეტარული რევოლიუციის პერიოდისათვის არის ნავარაუდევი და მესამე გეგმა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ არის ნავარაუდევი. პირველ პერიოდში ბოლშევიკები ამბობდენ: მთელ გლეხობასთან ერთად—მეფისა და მემამულეთა წინააღმდეგ, ლიბერალური ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის დასაცავად. მეორე პერიოდში ბოლშევიკები ამბობდენ: ღარიბ გლეხობასთან ერთად, ბურჟუაზიისა და კულაკების წინააღმდეგ — საშუალო შეძლების გლეხთა ნეიტრალიზაციით, სოციალისტური რევოლიუციის დასაცავად. რას ნიშნავს საშუალო შეძლების გლეხობის ნეიტრალიზაცია?

ეს იმას ნიშნავს, რომ ის იყოლიოთ პროლეტარიატის პოლიტიკური მეთვალყურეობის ქვეშ, არ ენდოთ მას, მიიღოთ ყოველივე ზომები იმისათვის, რომ ის ხელიდან არ გაგისხლტეთ. მესამე პერიოდი, ეს ის პერიოდია, რომელშიაც ეხლა ვიმყოფებით. ბოლშევიკები ლაპარაკობენ: ღარიბ გლეხობასთან ერთად, მტკიცე კავშირი საშუალო გლეხობასთან ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ, ქალაქად და სოფლად სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის. ვინც ერთმანეთში ურევს ამ სამ გეგმას, ამ სხვადასხვა გზას, რომელნიც ჩვენი რევოლიუციის სამ სხვადასხვა პერიოდს გამოხატავენ, მას ბოლშევიზმის არაფერი გაეგება.

ლენინი სავსებით მართალი იყო, როცა ის ამბობდა, რომ ბურჟუაზიული რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, საშუალო გლეხობის ნაწილი კონტრ-რევოლიუციას მიეკედლებაო. ეს ასეც მოხდა, მაგალითად, „უფის მთავრობის“ პერიოდში, როცა საშუალო გლეხობის ნაწილი ვოლგის განაპირა მხარეში მიემხრო კონტრ-რევოლიუციას და კულაკებს, ხოლო საშუალო გლეხობის დიდი ნაწილი მერყეობდა რევოლიუციისა და კონტრ-რევოლიუციის შუა. და ის, სხვა ნაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. საშუალო გლეხობა სწორედ იმიტომ არის საშუალო, რომ ის დროს უცდის, მერყეობს, „ვინ იცის ვინ გაიმარჯვებს... უმჯობესია დაცდაო. „მხოლოდ მას შემდეგ, როცა პირველადვე სერიოზულად დამარცხებულ იქნა შინაური კონტრ-რევოლიუცია, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, საშუალო გლეხობამ პირდაპირ იბრუნა პირი საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, ალბად მან გადასწყვიტა, რომ ხელისუფლების გარეშე არსებობა შეუძლებელიაო. ბოლშევიკური ხელისუფლება კი ძლიერია. ამ ხელისუფლებასთან ერთად მუშაობა ერთად ერთ გამოსავალს წარმოადგენსო. სწორედ ამ პერიოდში ლენინმა სთქვა წინასწარმეტყველური სიტყვები, რომ „ჩვენ შევედით სოციალისტური მშენებლობის ისეთ პერიოდში, როცა საჭიროა სოფლად მუშაობის გამოცდილების მიხედვით შევიმუშაოთ კონკრეტიულად, დეტალურად ძირითადი წესები და მითითებები, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოდ იმისათვის, რომ საშუალო გლეხების მიმართ მჭიდრო კავშირის საფუძველს დავემყაროთ“.

აი როგორ სდგას საკითხი საშუალო გლეხობის შესახებ. ტროცკის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის საშუალო გლეხობის საკითხს უდგება მეტაფიზიკურად, საშუალო გლეხობას იხილავს როგოროც „საგანს თავისთავად“ და არევ-დარევა შეაქვს საკითხში, ის ამახინჯებს და ყალბად განმარტავს ლენინიზმს.

დაბოლოს, საქმე იმაში კი არ არის, რომ პროლეტარიატს შეიძლება ჰქონდეს და მომავალშიაც ექნეს წინააღმდეგობანი და კონფლიქტები საშუალო გლეხობის განსაზღვრულ ნაწილთან. პარტიისა და ოპოზიციის უთანხმოება სრულებით ამაში არ მდგომარეობს; უთანხმოება გამოიხატება იმაში, რომ პარტია ამ კონფლიქტებსა და წინააღმდეგობას თვლის ჩვენი რევოლიუციის საკუთარი ძალებით სავსებით დასაძლევ გარემოებათ, მაშინ როცა ტროცკი და ოპოზიცია ფიქრობს, რომ ეს წინააღმდეგობანი და კონფლიქტები შეიძლება დაძლეულ იქნეს „მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციის ასპარეზზე“.

ტროცკი ციტატების ჯამბაზური გამოყენებით ცდილობს მიჩქმალოს ეს წინააღმდეგობანი. მაგრამ, როგორც ვსთქვი, ჩვენი პარტიის მოტყუებას ის ვერ მოახერხებს.

სჯობდა, ამხანაგებო ოპოზიციონერებო, გუსწავლათ ლენინის დიალექტიკა, წავკითხათ მისი თხზულებანი, გამოგადგებოდათ (ტაში, სიცილი).

ტროცკი მისაყვედურებდა მე, როგორც თეზისების ავტორს, იმის გამო, რომ თეზისებში ლაპარაკია რევოლიუციაზე, როგორც რევოლიუციაზე „თავის თავად“, როგორც სოციალისტურ რევოლიუციაზე. მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები ამას.

რატომ არის თეზისებში ლაპარაკი რევოლიუციაზე, როგორც რევოლიუციაზე „თავის თავად“, როგორც სოციალისტურ რევოლიუციაზე? იმიტომ, რომ ამით ხაზგასმულია განსხვავება ჩვენი რევოლიუციის შეფასების საკითხში ჩვენი პარტიისა და ოპოზიციის შეხედულებებს შორის. რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? იმაში, რომ პარტია ჩვენს რევოლიუციას უყურებს, როგორც სოციალისტურ რევოლიუციას, როგორც ერთგვარი დამოუკიდებელი ძალის მქონე რევოლიუციას, რომელსაც შესწევს ძალა შეებრძოლოს კაპიტალისტურ ქვეყანას, მაშინ როცა ოპოზიცია უყურებს ჩვენს რევოლიუციას, როგორც დასავლეთ ევროპის მომავალ ჯერ კიდევ გაუმარჯვებელ პროლეტარულ რევოლიუციის უფასო დამატებას, როგორც ისეთ რამეს, რომელსაც არავითარი დამოუკიდებელი ძალა არ გააჩნია.

საკმაოა მხოლოდ შევადაროთ ლენინის შეფასება ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ოპოზიციონური ბლოკის შეფასებას და ჩვენ დავინახავთ მთელ ჯურღმულს მათ შორის. მაშინ, როდესაც ლენინი აფასებს პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც დიდ საინიციატივო ძალას, რომელიც მოაწყობს სოციალისტურ მეურნეობას, უნდა გაეშურობს შემდეგ მსოფლიო პროლეტარიატის დახმარებლად კაპიტალისტური ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში—ოპოზიცია პირიქით იხილავს პროლეტარიატის დიქტატურას ჩვენს ქვეყანაში, როგორც პასიურ ძალას, რომელიც ცხოვრობს შიშის ქვეშ, რომ ის დაუყოვნებლივ დაკარგავს ხელისუფლებას, როგორც კი დადგება „კაპიტალისტური ევროპის წინაშე“. განა ცხადი არ არის, რომ სიტყვა „მეტაფიზიკა“ გამოყენებულია იმისათვის, რომ ოპოზიციამ დაფაროს იმით ჩვენი რევოლიუციის სოც-დემოკრატიული შეფასების სიშიშვლე. შემდეგ ტროცკი ლაპარაკობს იმის შესახებ რომ მე შევსცვალე არასრული და არა სწორი საკითხის ფორმულიროვკა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, რომელიც მოცემულია ჩემს წიგნში „ლენინიზმის საფუძვლები“ 1924 წ. მეორე ფორმულიროვკით, რომელიც უფრო სრული და უფრო სწორია. როგორც სჩანს ტროცკი ამით კმაყოფილი არ არის. რატომ—რა ნიადაგზე მან ეს არ სთქვა? რა არის მასში ცუდი, რომ მე შევასწორე არა სწორი ფორმულიროვკა უფრო სწორით? მე სრულიად არ ვთვლი ჩემს თავს უცოდველად. მე ვფიქრობ, რომ პარტია მხოლოდ მოიგებს, თუ ის შეცდომა, რომელსაც დაუშვებს ესა თუ ის ამხანაგი, აღიარებული იქნება და შემდეგ გასწორებული მის მიერ. რა უნდა, რომ სთქვას ტროცკიმ, როცა ხაზგასმით აღნიშნავს ამ ფაქტს? შეიძლება მას სურს მიბაძოს კარგ მაგალითს და ხელი მოკიდოს დაბოლოს თავის მრავალ რიცხოვანი შეცდომების გასწორებას? (ტაში—სიცილი). მე მზადა ვარ დავეხმარო ამ საქმეში, თუ აქ საჭირო იქნება ჩემი დახმარება, მზადა ვარ ხელი წავკრა მას, მოვეხმარო მას (ტაში). მაგრამ როგორც სჩანს ტროცკი სულ სხვა მიზანს ისახავს, თუ ეს მართალია, მე მას უნდა უთხრა, რომ მისი ცდა ეს არის ცდა უვარგისი საშუალებებით.

ამხ. ტროცკი თავის სიტყვაში გვარწმუნებდა, რომ არც იმდენათ ცუდი კომუნისტი ვარ, როგორც პარტიის უმრავლესობა მსახავსო. მან მოიყვანა მთელი რიგი ციტატებისა თავისი წერილებიდან, სადაც მტკიცდება, რომ ამხ. ტროცკი სცნობდა და ახლაც სცნობს ჩვენი მუშაობის „სოციალისტურ ხასიათს“, რომ ის არ უარყოფს ჩვენი ხელმწიფოებრივი მუშაობის სოციალისტურ ხასიათს და სხ. ახალი ამბავი თუ გნებავთ ეს არის: ეს ღა გვაკლია, რომ ამხ. ტროცკიმ უარჰყოს ჩვენი მუშაობის, ჩვენი სახელმწიფოებრივობის სოციალისტური ხასიათი და სხ. ამ ფაქტებს დღეს ყველანი აღიარებენ, თვით ოტტო ბაუერი, თვით ნიუიორკის ბირჟა და ჩვენი ნეპმანები. დღის ყველანი ხედავენ, მტრებიცა და მოკეთებიც, რომ ჩვენ მრეწველობას ისე, როდი ვაშენებთ, როგოც კაპიტალისტები აშენებენ, რომ სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ზოგიერთი ისეთი ახალი ელემენტი შეგვაქვს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო კაპიტალიზმთან.

არა, ამხანაგებო ოპოზიციონერებო, ახლა საქმე ამაში როდია.

საქმე უფრო სერიოზულია, ვიდრე შეიძლება ოპოზიციონურ ბლოკს ეჩვენოს.

საქმე ეხება არა ჩვენი მრეწველობის სოციალისტურ ხასიათს არამედ იმას, რომ სოციალისტური მეურნეობა ავაშენოთ იმისდამიუხედავათ რომ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიმყოფებით, რომ შიგნით და გარეთ მტრები გვითვალთვალებენ და პროლეტარული დიქტატურის დამხობას ელიან. ახლა საკითხი სდგას ლენინიზმის სრული გამარჯვების შესახებ ჩვენს პარტიაში.

წვრილმანი და კურიოზები არაფერ შუაშია. ახლა არ შეიძლება წვრილმანითა და კურიოზებით პარტიის დაშოშმინება. პარტია მეტს მოითხოვს ოპოზიციიდან.

ან თქვენ ვაჟკაცობას გამოიჩენთ და აშკარად და პატიოსნათ უარს იტყვით პრინციპიალურ შეცდომებზე, ან ამას ვერ იქმთ და მაშინ პარტიისგან თქვენი პოზიციის შესაფერ კვალიფიკაციას მიიღებთ, როგორც სოციალ - დემოკრატიული გადახრის პოზიციისა.

ან ერთი ან მეორე. არჩევანი თქვენზეა დამოკიდებული (ხმები: „სწორია!“ ტაში).

ციტატების ჯამბაზური შეთამაშებიდან ოპოზიციის ბელადები შეეცადნენ პრაქტიკული ხასიათის უთანხმოებაზე გადასვლიყვნენ. ტროცკი და კამენევი, ისევე როგორც ზინოვიევი, სცდილობდნენ ფორმულაში ჩამოეხსნათ ეს უთანხმოება და ამასთანავე ამტკიცებდნენ, რომ მნიშვნელობა აქვს არა თეორეტიულ, არამედ პრაქტიკულ უთანხმოებას. მაგრამ მე უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი უთანხმოების ის ფორმულები, რომელსაც ამ კონფერენციაზე ოპოზიცია იძლეოდა, არც ობიექტიურია და არც სრული.

თქვენ გსურთ, ამხანაგებო ოპოზიციონერებო, იცოდეთ რაშია ჩვენი პრაქტიკული უთანხმოება, გინდათ იცოდეთ რას ითხოვს თქვენგან პარტია?

მოისმინეთ: 1) პარტიას არ შეუძლია მოითმინოს და არც მოითმენს, რომ თქვენ ყოველთვის, როცა უმცირესობაში რჩებით ქუჩაში გამოხვიდეთ, პარტიის კრიზისი გამოაცხადოთ და პარტია სჯიჯგნოთ. ამას პარტია აღარ მოითმენს (ხმები: „სწორია!“ ტაში).

2) პარტიას არ შეუძლია მოითმინოს და არც მოითმენს, რომ თქვენ, ყოველთვის, როცა იმედს ჰკარგავთ, რომ ჩვენს პარტიაში უმრავლესობას მიიღებთ, თავი მოუყაროთ ყველა უკმაყოფილო ელემენტებს, როგორც მასალას ახალი პარტიის შესაქმნელათ. ამის მოთმენა პარტიას არ შეუძლია (ტაში).

3) პარტიას არ შეუძლია მოითმინოს და არც მოითმენს, რომ თქვენ ლანძღოთ და ათრიოთ პარტიის ხელმძღვანელი აპარატი, დაანგრიოთ პარტიის რეჟიმი და რკინისებური დისციპლინა და ამასთანავე ახალ პარტიაში შეაკავშიროთ და ჩამოაყალიბოთ პარტიის მიერ დაგმობილი მიმდინარეობანი ფრაქციათა თავისუფლების დროშის ქვეშ. ამას პარტია არ მოითმენს (ტაში).

4) ჩვენ ვიცით, რომ დაბრკოლებანი გველობებიან სოციალიზმის აღმშენებლობის გზებზე. ჩვენ ვხედავთ ამ სიძნელეებს და შეგვიძლია მათი დაძლევა. ჩვენ მივესალმებით ყოველივე დახმარებას ოპოზიციის მხრივ ამ სიძნელეების დაძლევის საქმეში. მაგრამ პარტიას არ შეუძლია მოითმინოს, რომ თქვენ ეს სიძნელეები ჩვენი მდგომარეობის გასაუარესებლათ, პარტიაზე თავდასხმის მოსახდენათ, პარტიის წინააღმდეგ იერიშების მისატანათ გამოიყენოთ.

5) პარტიას უფრო მეტად ესმის, ვინემ ყველა ოპოზიციებს, ერთად აღებულს, რომ ინდუსტრიალიზაციის წარმატება და სოციალიზმის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობა შეუჩერებლად იზრდება. პარტია ღებულობს და მიიღებს ყოველივე ზომებს იმისათვის, რომ მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობა შეუჩერებლად უმჯობესდებოდეს. მაგრამ პარტიას არ შეუძლია მოითმინოს და ვერც მოითმენს იმას, რომ ოპოზიცია გამოდიოდეს ქუჩაში დემაგოგიური განცხადებებით სამუშაო ხელფასის დაუყოვნებლივ 30—40 პროცენტით მომატების შესახებ, როცა მან დაბეჯითებით იცის, რომ მრეწველობა ვერ გაუძლებს სამუშაო ხელფასის ასეთ მომატებას ეხლანდელ პირობებში, როცა მან დაბეჯითებით იცის, რომ ასეთ დემაგოგიურ გამოსვლების მიზანია არა მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ უკმაყოფილების გაღვივება მშრომელთა ჩამორჩენილ ფენებს შორის და უკმაყოფილების შექმნა პარტიის, მუშათა კლასის ავანგარდის წინააღმდეგ. პარტიას არ შეუძლია ამის მოთმენა და ის არც მოითმენს ამას (ხმები. „მართალია“. ტაში).

6) პარტიას არ შეუძლია მოითმინოს და ის არც მოითმენს, რომ ოპოზიციამ მომავალშიაც განაგრძოს მუშების და გლეხების კავშირის საძირკველის გამოთხრა, რომ მან კვლავ იქადაგოს საცალო ფასების მომატება, გლეხობაზე საგადასახადო ზეგავლენის გაძლიერება და სცადოს პროლეტარიატის და გლეხობის დამოკიდებულება „დაამზგავსოს“ არა ეკონომიურ თანამშრომლობას, არამედ გლეხობის ექსპლოატაციას პროლეტარულ სახელმწიფოს მიერ. პარტიას არ შეუძლია ამის მოთმენა და ის არც მოითმენს ამას (ტაში).

7) პარტიას არ შეუძლია მოითმინოს და არც მოითმენს იმას, რომ თქვენ კვლავ განაგრძოთ იდეური არევ - დარევის შეტანა პარტიაში, გადაჭარბებულად დასახოთ ჩვენი სიძნელენი, გაავრცელოთ პარაქენცული სულისკვეთება, იქადაგოთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების შეუძლებლობის იდეა და მით ძირი გამოუთხაროთ ლენინიზმის საფუძვლებს. პარტიას არ შეუძლია ამის მოთმენა და ის ამას არც მოითმენს (ხმები: „მართალია“. ტაში).

8) პარტიას არ შეუძლია მოითმინოს და ის არც მოითმენს, თუმცა ეს მარტო მისი საქმე კი არა, კომინტერნის ყველა სექციების საქმეა, რომ თქვენ მომავალშიაც განაგრძოთ კომინტერნის ნგრევა, მისი სექციების დაშლა და კომინტერნის ხელმძღვანელობის შესუსტება. პარტიას არ შეუძლია ამის მოთმენა და ის არც მოითმენს ამას. (ტაში).

აი რაში მდგომარეობენ ჩვენი პრაქტიკული უთანხმოებანი, აი რის წინააღმდეგ იბრძვის ეხლა პარტია!

აი რაში მდგომარეობს ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკური პრაქტიკული პლატფორმის შინაარსი!

ამხ. ტროცკი, რომელიც თავის სიტყვაში ეკებოდა ამ პლატფორმის ზოგიერთ პუნქტს და ძალიან ცდილობდა მიეჩქმალა დანარჩენი პუნქტები, გვეკითხებოდა — რა არის აქ სოციალ-დემოკრატიულიო? საკვირველი კითხვაა! მე გეკითხებით, რა არის აქ ოპოზიციური ბლოკის ამ პლატფორმაში კომუნისტური? რა არის აქ არა სოციალ - დემოკრატიული? განა ცხადი არ არის, რომ ოპოზიციური ბლოკის პრაქტიკული პლატფორმა სცილდება ლენინიზმს და უახლოვდება სოციალ - დემოკრატიას?

თქვენ გინდოდათ გცოდნოდათ, რას მოითხოვს თქვენგან პარტია, — ეხლა თქვენ იცით, თუ რას მოითხოვს ის თქვენგან. თქვენ ან შეასრულებთ ამ პირობებს, რომელნიც ამავე დროს წარმოადგენენ ჩვენი პარტიის სრული მთლიანობის პირობებს, ან თქვენ ამას არ ჩაიდენთ და მაშინ პარტია, რომელმაც თქვენ დაგამარცხათ გუშინ, განაგრძობს ხვალიდან თქვენს საბოლოო განადგურებას, (ტაში).

როგორია ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის შედეგები?

მე მაქვს ტროცკის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, დაწერილი 1926 წ. სექტემბერში. ეს დოკუმენტი ღირსშესანიშნავია იმ მხრივ, რომ იქ არის შინაპარტიული ბრძოლის შედეგების წინასწარ განსაზღვრის ცდა, არის ერთგვარი პროგნოზი, ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის პერსპექტივების ერთგვარი დახასიათება. ამ დოკუმენტში ნათქვამია:

„გაერთიანებულმა ოპოზიციამ ცხადყო აპრილში და ივლისში და ის ცხადყოფს ოქტომბერშიაც, რომ მის შეხედულებათა მთლიანობა მხოლოდ მტკიცდება არაიდეალური ცილისწამების კამპანიის გავლენით. პარტია გაიგებს, რომ მხოლოდ გაერთიანებულ ოპოზიციის შეხედულებები იძლევიან გამოსავალს ეხლანდელ მწვავე კრიზისიდან (ამხ. ტროცკის წერილი ოპოზიციონერებისადმი, 1926 წ. სექტემბერი,—პოლიტბიუროს 1926 წ. 8 და 10 ოქტომბრის სხდომების სტენოგრამების დამატება).

თქვენ ხედავთ, რომ ეს თითქმის წინასწარმეტყველებაა. (ხმა: „სწორედ, თითქმის“), ეს თითქმის წმინდა—მარქსისტული წინასწარმეტყველებაა, გათვალისწინება ორი თვით ადრე (სიცილი).

ცხადია, აქ ადგილი აქვს ზოგიერთ გაზვიადებას (სიცილი). აქ, მაგალითად, ლაპარაკია ჩვენი პარტიის დღევანდელ უსასტიკესი კრიზისის შესახებ. მაგრამ ჩვენ მადლობა ღმერთს, ცოცხლები და ჯანმრთელნი ვართ და კრიზისიც კი არ შეგვიმჩნევია. არის რასაკვირველია, მცირეოდენი კრიზისი, მაგრამ პარტიის კრიზისი კი არა, არამედ რომელიღაც ფრაქციის, ეგრედ წოდებულ ოპოზიციური ბლოკის ფრაქციის კრიზისი. მაგრამ ხომ არ შეიძლება პატარა ფრაქციის კრიზისი მილიონური პარტიის კრიზისად აღვიაროთ.

ამხ. ტროცკის დოკუმენტში შემდეგ ნათქვამია, რომ ოპოზიციური ბლოკი მტკიცდება და განმტკიცდება კიდეც შემდეგში. მე ვფიქრობ, რომ აქაც აქვს ადგილი ერთგვარ გაზვიადებას. (სიცილი). არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ ოპოზიციური ბლოკი იშლება, რომ მას სცილდებიან ოპოზიციის საუკეთესო ელემენტები და რომ ის სულს ლაფავს შინაგან წინააღმდეგობებში. განა ეს ფაქტი არ არის, რომ, მაგალითად, კრუპსკაია შორდება ოპოზიციურ ბლოკს? (მქუხარე ტაში). განა შემთხვევითია ეს?

დაბოლოს ამხ. ტროცკის დოკუმენტში ნათქვამია, რომ მხოლოდ გაერთიანებული ოპოზიციის შეხედულებათა საფუძველზე არის გამოსავალი დღევანდელი კრიზისიდან, მე ვფიქრობ, რომ ამხ. ტროცკის აქაც აქვს ერთგვარი გაზვიადება (სიცილი). ამხანაგებმა ოპოზიციიდან არ შეიძლება არ იცოდენ, რომ პარტია გაერთიანდა და შემჭიდროვდა არა ოპოზიციის შეხედულებათა ნიადაგზე, არამედ ბრძოლით ამ შეხედულებებთან და ამ შეხედულებების წინააღმდეგ ჩვენი მშენებლობის სოციალისტურ პერსპექტივების ნიადაგზე. აშკარაა გაზვიადება ამხ. ტროცკის დოკუმენტში.

მაგრამ თუ თავს მივანებებთ ყველა გაზვიადებას, ტროცკის მიერ თავის დოკუმენტში დაშვებულს, მაშინ თითქოს, მგონია მისი პროგნოზიდან აღარაფერი რჩებარა (სიცილი).

როგორც ხედავთ, მივიღეთ სულ სხვა სურათი, ვიდრე ისეთი, როგორიც დაგვიხატა ჩვენ ამხ. ტროცკიმ.

ამხანაგებო, მე ვათავებ ჩემს სიტყვას. ამხ. ზინოვიევი ერთ დროს ტრაბახობდა, რომ შეუძლია დედამიწას მიადოს ყური, (სიცილი), რომ ის ყურმახვილია, მაგრამ როცა ის ყურს ადებს მიწას, მოესმის ისტორიის ნაბიჯი. სულ ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ასეც იყოს. მაგრამ ერთი მაინც უნდა ვაღიაროთ: რომ მიწას ყურის დამდებს და ისტორიის ნაბიჯების მსმენელს, არ ესმის ზოგიერთი „წვრილმანები“ ([illegible]: „ის სხვა ყურით უგდებდა ყურს“). შეიძლება ოპოზიციას შეუძლია დაადოს ყური მიწას და გაიგონოს ისეთი მშვენიერი ხმები, როგორიც აქვს ისტორიის ნაბიჯებს. მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ აქვს რა უნარი გაიგოს მშვენიერი ხმები, მან ვერ გაიგო ისეთი „წვრილმანი“, როგორც ის, რომ პარტიამ დიდი ხანია ზურგი უბრუნა ოპოზიციას, ხოლო ოპოზიცია მშრალზე დარჩა. ეს მან ვერ გაიგო (ხმები: „მართალია“).

აქედან ჩემი დასკვნა, ამხანაგებო ოპოზიციიდან, იქონიეთ თქვენი ყურები.

ხანგრძლივი მქუხარე ტაში. კონფერენცია [illegible]).

უერთდებით პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს

ლენინგრადის პარტაქტივის კრება

ლენინგრადი, 11 ნოემბერი. 9 ნოემბერს შესდგა სამხედრო სასწავლებლების და ბალტიის ფლოტის აქტიურ პარტიულ მუშაკთა კრება, რომელსაც ოთხი ათასი კაცი დაესწრო.

მე-15-ტე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წევრმა და რესპუბლიკის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრმა ამხ. **ბუბნოვმა**. ერთხმად და თავშეუკავებლად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია:

„ლენინგრადის გარნიზონის და ბალტიის ფლოტის სამხედრო სასწავლებლის და ნაწილების პარტაქტივის გაფართოებული კრება მთლიანად და სავსებით იზიარებს მე-15 პარტკონფერენციის ყველა დადგენილებებს. აგრეთვე ერთხმათა და თავისშეუკავებლად იქნა მიღებული ს. კ. პ. (ბ) ცეკას სახელზე გაგზავნილი მისასალმებელი დეპეშის ტექსტი.

4 ნოემბერს შესდგა პარტაქტივის საერთო საქალაქო კრება, რომელსაც დაესწრო 4.000 კაცი. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **კიროვმა** ს. კ. პ. (ბ) მე-15-ე კონფერენციის შედეგების შესახებ. ერთხმად და თავისშეუკავებლად იქნა მიღებული რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციების აქტივი სავსებით უერთდება კონფერენციის გადაწყვეტილებებსო“. (ადს).

ლენინურ კომკავშირის ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 11 ნოემბერი. 10 ნოემბერს დამთავრდა საკავშირო ლენინური ახალგ. კომკავშირის ცეკას მესამე პლენუმი, რომელმაც ერთხმად აღიარა, რომ გრძელდება მუშა - ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტიობის ზრდა და იზრდება მისი მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში. პლენუმმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ იგი სავსებით უერთდება მე-15 პარტკონფერენციის ყველა გარდაწყვეტილებებს. (ადს).

მოსკოვი, 11 ნოემბერი. საკავშირო ლენინური ახალგ. კომკავშირის ცეკას პლენუმი ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ სავსებით და მთლიანად უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 პარტკონფერენციის დადგენილებებს და აუცილებლად სცნობს, რომ კავშირში ფართო ახსნა - განმარტებებითი კამპანია აწარმოოს კონფერენციის მუშაობის შესახებ; ამასთანავე კონფერენციის დადგენილებათა საილიუსტრაციოდ გამოყენებულ უნდა იქნას ადგილობრივი გამოცდილების ცნობები და მისი რეზოლიუციების მიხედვით გამოყვანილ იქნას პრაქტიკული დასკვნები მუშაობის კონკრეტულ პირობებთან შეფარდებით. პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ როგორც პარტიაში, ისე კომკავშირის რიგებში ოპოზიციამ სასტიკი მარცხი განიცადა. ლენინური კომკავშირი, როგორც პარტიის წარსულ ბრძოლებში ლენინიზმისათვის, ისე ეხლაც ერთსულოვნად უჭერს მხარს საკავშირო კომპარტიის (ბ) ბოლშევიკურ ცეკას ლენინიზმის ხაზისათვის ბრძოლაში. (ადს).

ახალგაზრდათა კომინტერნში

მოსკოვი, 11 ნოემბერი. **12 ნოემბერს გაიხსნება ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.** პლენუმში, აღმასკომის წევრებს გარდა, მონაწილეობას მიიღებენ მთელი ქვეყნის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების დელეგაციები. უკვე ჩამოვიდენ დელეგაციები გერმანიიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, ავსტრიიდან, შვეციიდან, იტალიიდან, ბულგარეთიდან და ჩეხო - სლოვაკიიდან. (ადს).

მოსკოვი, 11 ნოემბ. ახ. ლენინელთა კომკავშირის ცეკას პლენუმმა დაადგინა ა. ლ. ა. კ. კ.-ის სრულიად საკავშირო კონფერენციის მოწვევა 1927 წლის მარტისათვის. (ადს).

არა ცარიელი სიტყვით, არამედ საქმით

ოპოზიციის ლიდერებმა 16 ოქტომბრის განცხადებაში გამოსთქვეს იმედი, რომ მათი ეს განცხადება ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების გადათვალიერებას იმ ამხანაგებზე, რომლებიც ფრაქციულ არალეგალური მოღვაწეობისათვის პასუხისგებაში იქნენ მიცემული, და გამორიცხულთ დააბრუნებს პარტიაში. როგორც სჩანს, ზოგიერთ ოპოზიციონერ ამხანაგებს, რომელნიც აწარმოებდენ ასეთ ფრაქციულ არალეგალურ მუშაობას, ამჟამად საქმე ისე წარმოუდგენიათ, რომ საკმარისია მათ განაცხადონ, რომ ისინი უერთდებიან ოპოზიციის ლიდერების 16 ოქტომბრის განცხადებას, — რომ საქმე ამით ამოიწურება და ისინი დაუყოვნებლივ დაბრუნებულ იქნებიან პარტიის რიგებში. ამ ამხანაგების მიერ შემუშავებული ფორმულა, დაახლოვებით, ასეთია: „უერთდები ოპოზიციის განცხადებას, რომელიც გამოქვეყნდა 17 ოქტომბრის „პრავდა“-ში, და ვაცხადებ რა პარტიის მთლიანობას პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად პირობად, მე გადაჭრით ხელს ვიღებ ჩემს შეხედულებათა დაცვის ფრაქციულ საშუალებებზეო“.

საკმარისია საკონტროლო კომისიისა და პარტიისათვის მარტო ამნაირი განცხადება? იძლევა თუ არა ეს იმის ნამდვილ გარანტიას, რომ ამხანაგი, რომელიც ერთ წელს და მეტი ხნის განმავლობაშიც აწარმოებდა არალეგალურ ფრაქციულ მუშაობას, ამ განცხადების შემდეგ ნამდვილად დადგება პარტიულ გზაზე? დაგვარწმუნებს თუ არა ეს იმაში, რომ შეწყდება ფრაქციული მუშაობა? შეიძლება გვითხრან: როგორ არ უჯერებთ ამხანაგს ასეთ კატეგორიულ განცხადებას! ურთიერთ - დამოკიდებულება პარტიაში ხომ უნდა ემყარებოდეს ნდობას პარტიის ყოველი წევრის მიმართ. რახან, ვთქვათ, ამხ. გ. აცხადებს, რომ ის გადაჭრით ხელს იღებს თავისი შეხედულებების დაცვის ფრაქციულ საშუალებებზე, მაშასადამე ის, ყოველ ეჭვს გარეშე, შესწყვეტს ყოველგვარ ფრაქციულ მუშაობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ამით ვერ დავიმშვიდებთ თავს და არც პარტიისათვის არის ეს საკმარისი, თუნდაც, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით მუშაობის განმეორების ფაქტები **ოპოზიციის ლიდერების განცხადების შემდეგ ფრაქციული მუშაობის შეწყვეტის შესახებ**, — ფაქტები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ არალეგალურ მომუშავეთა ცალკე ჯგუფები მხოლოდ **უფრო ფრთხილი ხდებიან**. ზოგიერთები ასეც კი ფიქრობენ, რომ, რასაკვირველია ამჟამად, როცა გამოირკვა, რომ ქვეყნის მდგომარეობა არც ისე ცუდია, რომ უმჯობესდება მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა, რომ ინდუსტრიალიზაცია ახალ ნაბიჯებს სდგამს წინ, რომ მშრომელთა მასას არ სურს დისკუსია და ოპოზიციის არაფერი სწამს — **რომ ამჟამად საჭიროა შევწყვიტოთ მუშაობა „უკეთეს დრომდე“, როცა წამოიჭრება ესა თუ ის მწვავე ეკონომიური სიძნელეები,** როცა ქვეყანა წარსდგება რომელიმე კრიზისის წინაშე. ეს ის ხალხია, რომელიც მსჯელობს შემდეგი ფორმულით: „რაც უარესი, მით უკეთესი“-ო. ასეთ ამხანაგებისათვის არაფრად ღირს დასწერონ ასეთი განცხადება: „უერთდები ოპოზიციის განცხადებასო“ და სხ. ეს — საქმის ერთი მხარე.

საქმის მეორე მხარე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, მდგომარეობს იმაში, რომ საქმე არ შეეხება მარტო **ამნისტიის აქტს** ასეთ სასიხარულო ამბის გამო, როგორიც არის ოპოზიციის ლიდერების 16 ოქტომბრის განცხადება. ჩვენ მოვითხოვთ იმ ამხანაგისაგან, რომელსაც სურს რომ პარტია ნდობით მოეპყრას მას არალეგალურ ფრაქციულ მუშაობაში მისი მონაწილეობის ფაქტის დამტკიცების შემდეგ, — ჩვენ მოვითხოვთ მისგან **რომ თვითვე გვიამბოს თავისი ფრაქციული მუშაობა, გვიამბოს რას აკეთებდა და როგორ ფრაქციულ მუშაობას აწარმოებდა.** მაშინ ადვილად შეიძლება პარტიის წინაშე მისი **დაუყოვნებლივ დაბრუნების გამართლება.**

ზოგიერთი ამხანაგები შესაძლებლად სთვლიან გადაირჩინონ თავი სენტიმენტალური გამოთქმებით, როგორც, მაგალითად, „ნუ მაწვალებთ მე შეკითხვებით; მე თქვენ გითხარით, რომ ვაწარმოებდი ფრაქციულ მუშაობას — და ეს კმარა“. პარტიას უფლება აქვს გაიგოს სინამდვილე, ჭეშმარიტება — რასაკვირველია, აქ ლაპარაკია პარტიის მიერ დაჟინებულ მოთხოვნაზე, რომ გაშლილ იქნას მის წინაშე ფრაქციული, არალეგალური მუშაობის ნამდვილი სურათი. ამ ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ საქმე **პარტიას** ეხება და არა მათ პირად განწყობილებას; და აქ სენტიმენტალობა, როგორც, მაგალითად, „ნუღარ მაწვალებთ“, ან და რომ ის „ნერვიული კაცია“, — საქმეს არ შველის, მდგომარეობას არ სცვლის. ხომ არ უშლიდა იგივე ნერვიულობა, იგივე ჭრილობები ამხ. მ. და უ.-ს რაღაც ორი კვირა—ერთი თვის წინედ ენავარდნათ, ვთქვათ, ურალსა ან უკრაინაში და ეწარმოებიათ იქ ფრაქციული მუშაობა; იგივე ტკივილები ხომ არ უშლიდა მათ ხელს მოეწყოთ არალეგალური კრებები, ეწერათ შპარგალკები პარტიის წინააღმდეგ და სხ. აი ამ მუშაობის **საკუთარი მუშაობის** შესახებ მოვალეა გვიამბოს ყოველმა ამხანაგმა, რომელსაც სურს პარტიასთან ნორმალური დამოკიდებულების დამყარება, რომელსაც სურს დაუყოვნებლივ აღადგინოს პარტიის მისდამი ნდობა და რომელსაც უნდა რომ პარტიას ჰქონდეს მისი იმედი. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიას აქვს უფლება მხოლოდ **თანდათანობით გამოსცადოს** ეს ამხანაგი.

აქ ჩვეულებრივ აღიძრება ხოლმე ლაპარაკი ეთიკაზე, და აი სწორედ ეს ლაპარაკი ააშკარავებს იმ ხალხის მთელ **ბურჟუაზიულ შინა - ბუნებას**, რომელთაც ებრალებათ თავისი თანაამხანაგების პატარა ჯგუფი არალეგალური ფრაქციული მუშაობით, ხოლო **არ ინდობენ პარტიას**; რომელნიც თავის „თანამოაზრეებად“ სთვლიან არალეგალური წრის წევრებს და ივიწყებენ იმას, რომ ლენინელის თანამოაზრე — მთელი ლენინური პარტიაა. მათ დასდევს პატიოსანი სიტყვა, რომ „არ გასცენ“ ამხანაგები არალეგალური მუშაობით, მხოლოდ **პატიოსანი სიტყვა**, რომ პარტიის წინაშე ისინი არაფერს მალავენ თავის „პარტიულ“ ან და, უფრო სწორად, ანტიპარტიულ მუშაობის შესახებ, — ეს პატიოსანი სიტყვა არ არსებობს მათთვის. ვლადიმერ ილიჩი სწერდა, რომ პარტიულ საკონტროლო კომისიებს უნდა ჰქონდეთ უფლება შესამოწმებლად მოითხოვონ რომელიც არ უნდა იყოს დაწესებულებიდან არხისაიდუმლო დოკუმენტები. თავის თავად იგულისხმება, რომ ვლადიმერ ილიჩს მით უფრო მხედველობაში **ჰქონდა ანგარიშის ჩაბარება პარტიის ყოველი წევრის მიერ, რომ მას პარტიისაგან არაფერი დამალული არა ჰქონდეს რა** (ჩვენ ვლაპარაკობთ ინტიმურ პირად საიდუმლოებებზე). აი ეს ლენინური გაგება, ლენინური დამოკიდებულება პარტიისადმი აკლიათ ამ ამხანაგებს. ზოგიერთნი მათგანი პირდაპირ პარტიისათვის მოუთმენელ შედარებებამდე მიდიან. ასე, მაგალითად, ოდესაში, ამხ. ბასია გურევიჩმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია თავის ამხანაგების გაცემა, როგორც არ გაუცია ისინი ჟანდარმებისათვის. ასეთ ამხანაგების მიმართ, რომელთაც ასეთი შედარებები მოჰყავთ, პარტიას არავითარი ნდობა არ ექნება. ან და როცა ამხ. ბლინკოვი ზამოსკვორეცკის რაიონულ საკონტროლო კომისიაში აცხადებს, რომ ის **არ ენდობა პარტიას** — განა შეიძლება მოსთხოვოთ პარტიას ნდობა ასეთ ამხანაგების მიმართ?!

ამნაირად, არალეგალურ ფრაქციულ მუშაობისათვის პარტიიდან გამორიცხულ ან და პარტსასჯელდადებულ ამხანაგების ბედი მათივე ხელშია. ისინი ან ულაპარაკოდ, ნამდვილად დგებიან პარტიულ გზაზე, ან და ნამდვილად, სერიოზულად, **საქმეზე** სწყვეტენ ფრაქციულ საქმიანობას, კავშირს ფრაქციულ ორგანიზაციებთან და თავისთვის სავალდებულოთ სთვლიან **პარტიის ყველა მოთხოვნილებებს**,—და მაშინ ისინი ვალდებული არიან გამოამჟღავნონ პარტიის წინაშე ის, **რაც ჩაიდინეს მათ პარტიის წინააღმდეგ**, რომ პარტიამ დაწვრილებით იცოდეს, თუ **როგორი იყო არალეგალური ფრაქციული მუშაობა**, რომ პარტიისათვის არ იყოს დაფარული არც ერთი ადგილი ამ დარგში, რომ სადმე პარტიის შიგნით კიდევ არ დაიბუდოს საიდუმლო ჯგუფმა, რომელიც ელის მომენტს, როდის გაუარესდება მდგომარეობა, როცა მისთვის ამნაირად დადგება ხელსაყრელი მომენტი. მხოლოდ მაშინ შეიძლება პარტია ნდობით მოეპყრას ასეთ ამხანაგებს. მას ექნება **საბუთი** იმის, რომ ეს ამხანაგები **მთლიანად** პარტიულ გზაზე დგებიან. ან და ამხანაგები ოპოზიციიდან მოვლენ ჩვენთან იძულებით, ხშირად არა გულწრფელ, **ფორმალურ** განცხადებებით, რომ ისინი უერთდებიან 16 ოქტომბრის განცხადებას, რომელიც შინაგანად ბევრად არ ავალდებულებს მათ. მაშინ ასევე აღარ არსებობს „პატიოსანი სიტყვა“ არალეგალურ ორგანიზაციების წინაშე. თუ ვილაპარაკებთ „პატიოსან სიტყვის“ შესახებ ასეთ არალეგალურ ორგანიზაციის წინაშე, **რატომ არ უნდა ჰქონდეს პარტიას უფლება მოითხოვოს, რომ ორგანიზაციის თვითეულმა წევრმა მისცეს მას „პატიოსანი სიტყვა“, რომ ის არაფერს დაუმალავს პარტიულ ორგანიზაციას.** პარტიაში შესვლა თავისთავად არის პარტიისათვის „პატიოსანი სიტყვის“ მიცემა მისი სრული და ყოველგვარ პირობის გარეშე **ერთგულებისა**. აქ საჭიროა არჩევანი. და, დეე, ამოირჩიონ. მაგრამ შემდეგ ნუღარ დაემდურებიან პარტიას, თუ პარტია არავის არ მისცემს უფლებას განაგრძოს საიდუმლო მუშაობა მის ზურგს უკან და მის წინააღმდეგ.

თავისთავად იგულისხმება, რომ თუ **16 ოქტომბრის** შემდეგ აღმოჩნდება, რომ ესა თუ ის ამხანაგი განაგრძობს ფრაქციული **მუშაობის** წარმოებას, პარტია უნდა იყოს დაუნდობელი, რადგან ასეთი განცხადება ამ ამხანაგებისათვის წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ **მანევრს**. ჩვენი სურვილია, რომ ის არ იყოს მანევრი. ჩვენი სურვილია, რომ ის იყოს ნამდვილი გარანტია ნორმალური ურთიერთობის დამყარებისა, რომ ის მაქსიმალური მთლიანობის გარანტია იყოს. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ამხანაგებმა ოპოზიციიდან აღმოფხვრან **ფრაქციულობის ყოველგვარი ნიშნები** პარტიასთან მათი დამოკიდებულებიდან, დასძლიონ ყველაფერი ის, რაც დღემდე ხელს უშლიდა მათ ელაპარაკნათ პარტიული ენით. აღიარონ პარტიის უდავო უფლება, იცოდენ ყველაფერი, თუ რას აკეთებს მის შიგნით ყოველი მისი წევრი.

ემ. იაროსლავსკი.

„პრავდა“.

მემაღაროების მოლაპარაკება მთავრობასთან გრძელდება

მთავრობამ მუშებს წარუდგინა ბუნდოვანი წინადადებანი

ფედერაციის აღმასკომმა მთავრობის წინადადებანი არ მიიღო

კანტონის ჯარი განაგრძობს რეაქციონურ გენერლების არმიის დევნას

ინგლისის მუშების ბრძოლა

კუკის განცხადება

ლონდონი, 10 ნოემბ. კუკმა სამთამადნო მუშების აღმასკომისა და მთავრობის მოლაპარაკების შესახებ შემდეგი განაცხადა:

„მთავრობამ სამთამადნო მუშებს ფედერაციის გადასცა ზოგიერთი ბუნდოვანად გამოთქმული წინადადება და განაცხადა, რომ ეს წინადადებები შეიძლება გაფართოებულ იქნან თუ მუშები დასთანხმდებიან ზოგიერთ პირობებს, რომელთაც შეეძლიათ კონფლიქტის მოგვარება“.

კუკმა დასძინა, რომ თუ აღმასკომის წევრებს შორის ზოგიერთები მისწრაფვიან საპატიო შეთანხმებისაკენ, აღმასკომის წევრთა მხოლოდ მცირედი ნაწილი მზადაა წავიდეს შეთანხმებაზე წარმოდგენილ წინადადებების საფუძველზე“. (ადს).

მთავრობის პირობები

ლონდონი, 10 ნოემბ. კომპარტიის ორგანო „უორკერ უიკლი“ აცხადებს, რომ მთავრობის პირობები შემდეგში მდგომარეობდენ:

მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომი რაიონულ ასოციაციებს ავალებს დაუყონებლივ დაიწყონ მოლაპარაკება ცალ-ცალკე რაიონებში; დაშვებული იქნება, რომ რაიონულმა ასოციაციებმა სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხის შესახებ საჩივრები განსახილველად გადასცენ საარბიტრაჟო ტრიბუნალს. მთავრობა თავის მხრივ აცხადებს, რომ ასეთი პროცედურა შეიძლება აღდგენილ იქნეს მხოლოდ მუშაობის განახლების შემდეგ. ტრიბუნალში შევლენ ორივე მხარის, როგორც მაღაროების მეპატრონეების, ისე მემაღაროების წარმომადგენლები; ტრიბუნალის თავმჯდომარე იქნება დამოუკიდებელი პირი, რომელსაც მთავრობა ნიშნავს, იმ შემთხვევაში თუ მხარეებს შორის უთანხმოება წარმოიშვა.

ფედერაციის აღმასკომმა უარჰყო ეს პირობები 11 ხმით 9-ს წინააღმდეგ, ხოლო გენერალურ საბჭოს სამუშაველო კომიტეტმა მოიწონა ისინი. (ადს).

შეთანხმების წინააღმდეგ

ლონდონი, 10 ნოემბერი. უელსის (სამხრეთ უელსი) მემაღაროეთა კავშირის ადგილობრივმა კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოუწოდებს ყველა ადგილობრივ კომიტეტებს, რომლებიც უერთდებიან მემაღაროეთა ფედერაციას, დაჟინებით მოითხოვონ, რომ არ იწარმოვოს ის მოლაპარაკება, რომელიც შესაძლებლად სთვლის სარაიონო შეთანხმების მიღწევას; **სარაიონო შეთანხმება ნიშნავს სამუშაო დღის გაგრძელებას და ხელფასის შემცირებას. მემაღაროეთა შორის უმცირესობათა მოძრაობის ორგანიზაცია ავრცელებს ამ რეზოლიუციას ფედერაციის ყველა ადგილობრივ კომიტეტებში.** (ადს).

სადელეგატო კონფერენცია

კუკის განცხადება

ლონდონი, 11 ნოემბ. **გაიხსნა სამთამადნო მუშათა ფედერაციის სადელეგატო კონფერენცია.**

კონფერენციის გახსნის წინ კუკმა განაცხადა:

„სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხი არის მთელი პრობლემის მთავარი ღერძი, რომლის გარშემო ყველაფერი ტრიალებს. თუ ეს საკითხი დამაკმაყოფილებლად იქნა მოწესრიგებული, და დარჩენ დაბრკოლებათა დაძლევა [illegible] იქნება. ამასთან ერთად ეჭვს გარეშეა, რომ სარაიონო შეთანხმებანი მოასწავებენ უფრო ხანგრძლივ სამუშაო დღეს, უფრო ნაკლებ სამუშაო ხელფასს და სამთამადნო მუშების შრომისა და ცხოვრების პირობების ხელახალ გადასინჯვას“. (ადს).

ფართო რწმუნებანი

ლონდონი, 11 ნოემბერი. დღეს მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციაზე ერთხმად იქნა მიღებული გარდაწყვეტილება, რომ აღმასკომს მიეცეს ფართო რწმუნებანი მთავრობასთან მოლაპარაკებათა გასაგრძელებლად შეთანხმების მიღწევის მიზნით. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმასკომს შეუძლია მოლაპარაკება აწარმოოს რაიონულ შეთანხმებათა საფუძველზე შეუზღუდავად.

მემაღაროეთა აღმასკომმა მოითხოვა პრემიერის ნახვა. პრემიერმა აღმასკომის წარმომადგენელნი მიიღო თავის კაბინეთში. საუბარში მონაწილეობა მიიღეს ბოლდუინმა, ჩერჩილმა და აგრეთვე სანახშირო კომიტეტის წარმომადგენლებმა. ზოგიერთ წრეებში იმედოვნებენ, რომ დროებითი შეთანხმება მიღწეული იქნება დღეს საღამოთი. თუ შეთანხმება მოხდა, მაშინ სპეციალურ ოფიციალური ცნობა გადაცემული იქნება რადიოს საშუალებით.

სადელეგატო კონფერენციის ანგარიში გაზეთვის [illegible] ბის შესახებ

ლონდონი, 10 ნოემბ. 10 ნოემბერს საღამოს გამოქვეყნებული ცნობა მემაღაროეთა საგანგებო სადელეგატო კონფერენციის შესახებ იუწყება შემდეგს; მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის თავმჯდომარემ სმიტმა აცნობა კონფერენციას, რომ ფედერაციის აღმასკომი მთავრობასთან მოლაპარაკების დროს მივიდა იმ ზომამდე, სანამდისაც ის სთვლიდა თავს უფლება მოსილათ იმ რწმუნებულების საფუძველზე, რომელიც მას მისცა უკანასკნელმა კონფერენციამ. კუკმა წარმოადგინა დაწვრილებითი ანგარიში მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ. წარმოდგენილი იქნა აგრეთვე ანგარიში რაიონების მდგომარეობის შესახებ. ანგარიშებიდან ნათლად სჩანს, რომ მემაღაროეთა რიცხვი, რომლებმაც მუშაობა განაახლეს, საგრძნობლად გაიზარდა უკანასკნელი კონფერენციის შემდეგ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ აღწევს იმ რაოდენობას, რომელსაც აღნიშნავენ ეგრეთწოდებული ოფიციალური ცნობები. კონფერენციის შემდეგი სხდომა შესდგება 11 ნოემბერს. (ადს).

ჯალათების სასამართლო

ვენა, 11 ნოემბერი. **კლაუზენბურგში (რუმინეთი) დამთავრდა კომუნისტების პროცესი.** კომუნისტებს ბრალად ედებოდათ პატიმართა გაქცევისათვის ხელის შეწყობა. მთავარი ბრალდებულნი იყვნენ „უნგრული მუშათა გაზეთის“ რედაქტორი ევგენი საბო და მუშა შტეინგარტი. მიუხედავად სასამართლოს ცდისა—დაშინების საშუალებით მიეღო მოწმეებისაგან საჭირო ჩვენება, ბრალდება იმდენად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო აღმოჩნდა, რომ სასამართლო იძულებული გახდა გამართლებია ბრალდებულნი. (ადს).

საკო და ვანცეტი

პარიზი, 11 ნოემბერი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის ცნობილ წევრთა ჯგუფმა საკოსა და ვანცეტის შესახებ წერილით მიმართა ამერიკის მთავრობას. წერილში ნათქვამია:

„კიდეც რომ არ შევეხოთ იმ ახალ გარემოებათ, რომელნიც საეჭვოდ ხდიან სჯავრდადებულთა დანაშაულს, საჭიროა გვახსოვდეს, რომ **ორივე ისინი სცხოვრობენ სიკვდილის საშინელ მოლოდინში ხუთი წლის განმავლობაში. ეს** შეიძლება უფრო საშინელი სასჯელი იყოს, ვიდრე სიკვდილიო“. (ადს).

ინგლისის პოლიტიკა ჩინეთში

ლონდონი, 11 ნოემბერი. გუშინ ბალფურმა ლორდთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ბრიტანეთის პოლიტიკა მუდამ სცდილობდა დაეკმაყოფილებია ყველა ის კანონიერი მოთხოვნილებანი, რომლებიც შეეძლოთ წარმოედგინათ ჩინეთის პატრიოტებს. ასეთივე იყო ვაშინგტონის კონფერენციის პოლიტიკაც 1922 წელში, რომელშიაც ბრიტანეთის მთავრობა უდიდეს აქტიურ მონაწილეობას იღებდა და უეჭველია, რომ იმ დაბრკოლებათა უმთავრესი მიზეზი, რომელთა წინაშე ამჟამად დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოები და ჩინეთი სდგანან, გამოწვეულია იმით, რომ **ვაშინგტონის კონფერენციის სურვილებს მისი თვითეული წევრი საკმაო სისწრაფით არ ატარებდა ცხოვრებაში.** ამის ტეხნიკური მიზეზი არის ის, რომ ხელშეკრულება თუმცა მიღებული იქნა, მაგრამ მას არ მოუხდინეს რატიფიკაცია. ბალფურის აზრით, მღელვარებათა უმრავლესობა ჩინეთში მოხდა სწორედ ამ მიზეზის გამო, და რასაკვირველია, ბრიტანეთის მთავრობას წილი არ აქვს ამ მღელვარებაში და პასუხსაც არ აგებს. შემდეგ ბალფურმა განაცხადა, რომ ეხლანდელი მდგომარეობა ჩინეთში ისეთია, რომ **ჩინეთის ქვეყანაში არ არის არც ერთი წარმომადგენელი, რომელთანაც შეიძლება საქმის დაჭერა**, ცენტრალური მთავრობის ნამდვილი ხელისუფლება და გავლენა დედა-ქალაქის კედლებს არ სცილდება.

ამჟამად საბაჟოებიდან მიღებული შემოსავალი მიდის არა ცენტრალური მთავრობის სასარგებლოდ, როგორც ეს უნდა ყოფილიყო, არამედ ერთი მებრძოლი მხარეთაგანის სასარგებლოდ. აუცილებელია სეპარატიული მოლაპარაკება ცალკე ერთეულებთან, მაგრამ ეს არ შეიძლება პრინციპად გადაიქცეს. (ადს).

პრეზიდენტების სასახლეში

ლონდონი, 11 ნოემბერი. „დეილი მეილ“-ის ნიუ-იორკელი კორესპონდენტის ცნობით, რომანმა **„ორგიამ“ რომელშიაც ავტორი სამუელ ჰოპკინს ადამსი პრეზიდენტ გარდინგის დროის ადმინისტრაციის გათახსირების საინტერესო სურათს იძლევა, უდიდესი პოლიტიკური სენსაცია მოახდინა ვაშინგტონში.**

გაზეთები რომანს ახასიათებენ, როგორც „ნაღმს“ და აცხადებენ, რომ მისი ძრავალი ადგილი სიტყვა-სიტყვით არის ამოღებული ამას წინედ მომხდარი პროცესების მოწმეთა ჩვენებებიდან.

პრეზიდენტ კულიჯის საუზმეზე, სადაც მოწვეული იყვნენ რესპუბლიკანური სენატორები, საუბარის უმთავრესი თემა იყო ეს რომანი. იუწყებიან, რომ თუმცა ავტორმა სრულიად არ განასახიერა პრეზიდენტი გამოგონილი ვიცე-პრეზიდენტის ელიოტის სახით, მაგრამ ამან მაინც დიდი უსიამოვნობა მიაყენა პრეზიდენტ კულიჯს. შემდეგ, თუმცა პირდაპირი მსგავსება არ არსებობს პრეზიდენტ ჰარდინგსა და მორკვემს შორის, მაგრამ სკანდალი ნავთის საქმეების გარშემო, გენერალ ატორნე ეხაუგერტის მეგობრის ჯემს სმიტის თვითმკვლელობა და აგრეთვე სხვა მრავალი ფაქტები სავსებით ამჟღავნებენ, თუ ვინ ყავდა მხედველობაში ავტორს.

რომანი გაცხოველებული განხილვის საგანი გახდება. (ადს).

ოქტომბრის დღესასწაული კანტონში

კანტონი, 10 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლის თავის დღესასწაული კანტონში მოაწყო სპეციალურმა კომიტეტმა, რომელშიაც შედიოდენ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები. კვირას მთელი ქალაქი მორთული იყო დროშებით, საბჭოთა ნიშნებით, ლენინისა და სუნ-იატსენის სურათებით. მთელს კანტონში მოწყობილი იყო რამდენიმე ასეული ტრიბუნა. გომინდანის ინიციატივით საბჭოთა კოლონიისათვის მოწყობილი იყო საღამო, რომელზედაც დაესწრენ არმიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საღამოზე გამოსული ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკა არის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი დაჩაგრულ ხალხების განთავისუფლების საქმეში. (ადს).

ფაშისტური პოლიციის თარეში

რომი, 10 ნოემბ. ყველა აკრძალულ ორგანიზაციების შენობები დაკავებული აქვს პოლიციას. ქონება ჩამორთმეულია. დაიწყეს დატუსაღება წესრიგის დაცვის ახალი კანონის მიხედვით. **ფლორენციაში შეაჩერეს 40 კომუნისტის გასამართლების საქმე, რომელთაც ბრალი ედებათ სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში.** საქმე გაირჩევა სამხედრო ტრიბუნალში ახალი კანონის მიხედვით. (ადს).

ფაშისტები ოპოზიციონურ დეპუტატებს დევნიან.

რომი, 10 ნოემბერი. იტალიის პარლამენტის მიერ ოპოზიციის მანდატების გაუქმების გადაწყვეტილების მიღებამდე დაატუსაღეს რომში მყოფი შვიდი კომუნისტი დეპუტატი. ერთი რესპუბლიკანელი დეპუტატი და ყოფილი კომბინისტი [illegible]. კომუნისტი დეპუტატი ლაფარი არ დაუშვეს პარლამენტში და სცემეს ფაშისტმა დეპუტატებმა. პარლამენტის კულუარებში ფაშისტებმა სცემეს ზოგიერთ ლიბერალებს—ვინც საწინააღმდეგო ხმა მისცა მანდატების გაუქმების კანონს. პარლამენტში 530 დეპუტატიდან დარჩა 396, მათგან 12 ოპოზიციონერი—ლიბერალია. პარლამენტი დაითხოვეს განუსაზღვრელ დრომდე. (ადს).

ჩინეთის რეაქცია

პეკინი, 11 ნოემბ. ჩან-ძო-ლინი მუკდენის ტიან-ცზინში გაემგზავრა. მის შესახვედრად პეკინიდან მოემგზავრებიან მუკდენელი ბელადები. ზოგიერთ ცნობებში აღნიშნულია, **რომ სუნ-ჩუან-ფანის დამარცხებამ დააჩქარა ჩან-ძოლინის პეკინში გამგზავრება სამხრეთში შექმნილ მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.** (ადს).

ციხეებს აშენებენ

ნიუ-იორკი, 11 ნოემბ. **ჩიკაგოში შენდება უზარმაზარი საპატიმრო, რომლის ასაგები ხარჯთ-აღრიცხვაც 7,5 მილიონ დოლარს უდრის.** საპატიმროს საამშენებლო მუშაობისათვის თანხების წესიერი მიწოდების მიზნით გამოშვებული იქნება სპეციალური სესხი. (ადს).

კოოპერატიული აღმშენებლობის ამოცანები

(„პრავდა“-ს მოწინავე)

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს კოოპერატიული აღმშენებლობა თითქმის ცარიელ ადგილზე დაიწყო. ძველი, რევოლიუციამდე არსებული კოოპერაციის ნაცვლად დარჩა მხოლოდ ერთგვარი ორგანიზაციული ჩონჩხი.

ლენინი განსაკუთრებულ მისწრაფებას იჩენდა კოოპერატიული აპარატის შენარჩუნებისათვის. ჯერ კიდევ მე-8 პარტყრილობაზე ლენინი ამბობდა: „პრინციპიალურად მე მგონია, რომ ეს საკითხი უეჭველად უნდა გადაწყდეს იმგვარად, რომ ეს აპარატი, როგორც ერთად-ერთი, რომელიც მოქმედებს ჯერ კიდევ პრიმიტიული კაპიტალიზმის საფეხურზე მდგომ სოფლის მასებში, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, შევინარჩუნოთ, განვავითაროთ, და ყოველ შემთხვევაში არ უკუვაგდოთ“. და შემდეგ: „ჩვენ უნდა აღვფხვრათ კოოპერატორების კონტრ-რევოლიუციონური ზრახვები, მაგრამ ბრძოლა არ უნდა იქნეს წარმოებული კოოპერაციის აპარატის წინააღმდეგ“.

ასეთი იყო მაშინ ძირითადი პრინციპიალური ხაზი, რომელმაც თანდათანობით გადასწყვიტა კოოპერაციის გამოყენება ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეპოქაში. ამ შეხედულებათა ღირებულება სამხედრო კომუნიზმის პერიოდში უფრო პრინციპებისა და ტაქტიკაში მდგომარეობდა, ვიდრე პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობაში. ვინაიდან ბაზარი არ იყო, კოოპერაციის სამ მეოთხედ ნაწილს არაფერი ჰქონდა საკეთებელი და ამიტომ მოხდა მათი ლიკვიდაცია. მხოლოდ სამომხმარებლო კოოპერაციას დარჩა განაწილების ერთგვარი აპარატი, რომელსაც მოსახლეობამ „ცარიელი დუქანი“ უწოდა.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლას თვის თავად (ეხლა ჩვენ ამას ნათლად ვხედავთ აღმშენებლობის ძნელ პირობებში) რასაკვირველია, არ შეეძლო წინასწარ გაეთვალისწინებინა კოოპერაციის განვითარების გზები. პარტიის [illegible], განსაკუთრებული ენერგია მოუნდა იმას, რომ გამოცოცხლებულიყო ის ორგანიზაცია, რომელიც დაიშალა და რომელსაც, როგორც აპარატს სახელი გაუტყდა მშრომელთა ფართო მასებში.

მოვიგონოთ, რომ როცა უკვე თითქმის ორი წლიწადი გავიდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ, ილიჩი სწერდა კოოპერაციისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებაზე და მის როლზე საბჭოთა აღმშენებლობის პირობებში.

სკეპტიციზმი პარტიის მნიშვნელოვანი ფენებისა და საბჭოთა მუშაკების მხრივ. სავსებით გასაგები იყო იმ პერიოდში, ვინაიდან კოოპერატიული მოძრაობა მაშინ პირველ გაუბედავ ნაბიჯებს სდგამდა წინ. საზღვარ-გარეთ გადახვეწილნი ამბობდენ, რომ არაფერი არ გამოვა საბჭოთა კოოპერაციიდან, და რომ საბჭოთა კოოპერაცია მხოლოდ უშედეგო ექსპერიმენტს წარმოადგენს. საჭირო იყო ლენინის გენიალური შორსმჭვრეტელობა, რომ პირველ ჩანასახშივე დაენახა მისი მომავალი ბედიღბალი.

ამ უკანასკნელი ეტაპიდან, რომლის შემდეგ პარტია უკვე უცილობლად ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებას, ჩვენ თითქმის 4 წელი გვაშორებს. ამ დრო სამეურნეო აღმშენებლობისათვის, განსაკუთრებით კოოპერატიული აღმშენებლობისათვის, რომელიც დაკავშირებულია მილიონი მასების მუშაობაში ჩაბმისა და კულტურულად ამაღლებასთან, მეტად ხანმოკლეა და პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სრულიად უმნიშვნელოა.

მაგრამ ამავე დროის განმავლობაში მოხდა უდიდესი ცვლილებანი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებით, კოოპერატიულმა ვაჭრობამ მიმდინარე სამეურნეო წელში უნდა დაიჭიროს არა ნაკლებ 42 პროც.-ის საბითუმო ვაჭრობაში და არა ნაკლებ 47,5 პროც.-ისა საცალო ვაჭრობაში. სახელმწიფო მრეწველობის ძირითად დარგებში, რომელნიც ფართო მოხმარების საგნებს ამზადებენ, კოოპერაციის მონაწილეობა კიდევ უფრო მეტია, იგი შარშან შეადგენდა 56 პროც.-მდე და წელს, ალბად 60 პროც.-ზე ნაკლები არ იქნება. ამის და მიხედვით ხდება კერძო კაპიტალის განდევნა და კერძო ალებ-მიცემობის შემცირება.

საჭიროა უკიდურეს ოპოზიციონერობაში გადავარდნა, რომ სოციალისტური აღმშენებლობის დამარცხებასა და დამახინჯებაზე ელაპარაკო მუშათა კლასს მაშინ, როდესაც კოოპერაცია, ყველა ნაკლთა მიუხედავათ, მუშათა ბიუჯეტის 70 პროც.-ს შეიცავს. რის მეოხებით მოხდა კოოპერაციის ასეთი არსად არ ნახული ზრდა, რომელმაც ძალიან გაუსწრო წინ რევოლიუციამდე არსებულ რუსეთის კოოპერაციას და ეხლანდელ საზღვარ-გარეთის კოოპერაციას? საკმაოა ჩაუკვირდეთ კოოპერატიული მუშაობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომ ნათელი პასუხი მივიღოთ ამ კითხვაზე. სამომხმარებლო კოოპერაციაში ყველაზე უფრო განვითარებული ნაწილია—სამრეწველო საქონლის მიწოდება მომხმარებელთადმი და ყველაზე უფრო სუსტია—სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში, თუმცა შეფასების საზომი რამდენადმე სხვაგვარია, ყველაზე უფრო მტკიცე ნაწილია პროდუქტების მიწოდების დარგი და პირიქით, ყველაზე უფრო მერყევია—გასაღების დარგი.

ჩვენ ეხლა ისე შევეჩვიეთ ჩვენი მეურნეობის სახელმწიფოებრივი სექტორის ორგანიზაციულობას, რომ ეს დასკვნები, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც სახელმწიფო მრეწველობას ემყარება, გაცილებით ადრე განმტკიცდა, ვიდრე კოოპერაციის სხვა სახენი, ჩვენ სავსებით ბუნებრივად და გასაგებად გვეჩვენება.

მაგრამ ამასთანავე, სახელმწიფოებრივი სექტორის ორგანიზაციულობა ზეციდან არ ჩამოვარდნილა და არც მემკვიდრეობით დაგვრჩენია ბურჟუაზიისაგან. ეხლა უკვე სავსებით ცხადია, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივ სექტორზე დამყარებამ, თუ ამაში პირველ რიგში ვიგულისხმებთ მრეწველობას, და შემდეგ ტრანსპორტს და კრედიტის სისტემას, მოგვცა ჩვენ კოოპერატიული მოძრაობის ასეთი გაფართოვება და სწრაფი ტემპი. ამ მხრივ პარტიის ხელმძღვანელობის ხაზი 100 პროც.-ით გამართლდა.

თუ მარტო ამ ფაქტიდან გამოვალთ, რომ განსაზოგადოებულმა სექტორმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა კერძო კაპიტალთან შედარებით, მაშინ ცუდი კონიუნქტურის შექმნა ბაზარზე გამოწვეული უნდა იყოს უმთავრესად ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებისაგან, როგორიცაა მაგალითად მოსავალი ჩვენს ქვეყანაში ან ფასების დიდი მერყეობა მსოფლიო ბაზარზე და სხ. ორგანიული ხასიათის შინაგანი დაბრკოლებანი ჩვენ შედარებით ადვილად უნდა დაგვეძლია.

მაგრამ ასეთი შედარებით—კარგი მდგომარეობა ჩვენ გვექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ კერძო კაპიტალი თავის დასაყრდენს არ ნახულობდეს საქონლის წვრილ მწარმოებელთა გაფანტულ მრავალ-მილიონიან მასებს შორის. ამიტომ კოოპერაციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სძლიოს ეს გაფანტულობა, შესცვალოს იგი ორგანიზაცია-ქმნილ საზოგადოებრივ მეურნეობად და საბჭოთა მეურნეობის საერთო სისტემის ნაწილად გახადოს, ისეთი სისტემის, რომელიც დაპირდაპირებული იქნება კერძო კაპიტალისადმი, სამეურნეო საქმიანობის კერძო მეთოდებისადმი.

ეს სოციალური ხასიათის დაბრკოლებანი ძირითად დაბრკოლებანი. მათ ჩვენ ვძლევთ მხოლოდ სახელმწიფოებრივი სექტორის ზრდით და კოოპერაციის მასებთან კავშირის განმტკიცებით. აქ გადის სოციალისტური აღმშენებლობის გენერალური ხაზი.

ამ გენერალურ, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, მაგისტრალურ ხაზთან ერთად მიიმართებიან გვერდითი ხაზები, რომელნიც რევოლიუციის ძალებს სოციალიზმისაკენ მიმავალ გზებს უკავშირებენ. ამ გვერდითი ხაზების მოძრაობის მოწესრიგების დარგში ჩვენ უეჭველია გაცილებით მეტის გაკეთება შეგვეძლო, ვიდრე გავაკეთეთ, რომ განსაზოგადოებრივებული სექტორის შიგნი მიგვეღწია გეგმიანობისა და ერთსულოვნებისათვის.

დავასახელოთ ის უმთავრესი ამოცანები, რომელნიც ამჟამად დგანან ჩვენს წინაშე: კოოპერაციის უზრუნველყოფა სამრეწველო საქონლის გეგმიანი დატვირთვით, მრეწველობისათვის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდების საქმის მოგვარება, გეგმიანი გამიჯვნა სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის მუშაობისა ერთის მხრით და კოოპერაციის სხვადასხვა სახეებს შორის მეორის მხრით, საბანკო კრედიტის მოქნილი ფორმების დაწესება, ფინანსების მიწოდება კოოპერაციისადმი მისი რეალური მოთხოვნილებების მიხედვით, გამონახვა სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ კოოპერატიული მუშაობის სწორი, ყველაზე უფრო მიზან-შეწონილი მოგვარების მეთოდებისა.

არც ერთი ეს ამოცანა არ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილად. თუ სამრეწველო საქონლის ბაზრისადმი მიწოდების დარგში რამდენადმე მეტი მიღწევები გვაქვს, სამაგიეროდ სასოფლო-სამეურნეო ბაზრის მოგვარების დარგში ჩვენ მეტად დაბალ საფეხურზე ვდგევართ.

ჩვენს კოოპერაციას აქვს მთელი რიგი საკუთარ ამოცანათა და არა ნაკლები რაოდენობის შინაგანი დეფექტები. ჩვენი მეურნეობის სისტემის დროს, რომელიც ერთი მთლიანი გეგმით არის შეკავშირებული, კოოპერაციის გზების გასაუმჯობესებლად საჭიროა მეურნეობის მთელი განსაზოგადოებრივებული სექტორის ორგანიზაცია-ქმნილი ზეგავლენა, ე. ი. სახელმწიფოს ზეგავლენა ცალკე მეურნეობაზე და ცალკე მომხმარებელზე კოოპერაციის საშუალებით.

აღვნიშნავთ რა განსაზოგადოებრივებული სექტორის ზრდას და პარტიის პოლიტიკის სისწორეს, ჩვენ ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ მნიშვნელოვან დაბრკოლებათა არსებობა, რომელნიც გამომდინარეობენ ამ ზრდისაგან, ცხოვრების გართულებისაგან.

ჩვენი უპირატესობა ამ პერიოდში მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ მეტად ნათლად ვხედავთ მოძრაობის პერსპექტივებსა და გზებს. ჩვენი ძირითადი ამოცანაა—ვისწავლოთ მოძრაობის ბერკეტების უკეთესად მართვა, მათ შორის და უპირველეს ყოვლისა კოოპერაციის მოძრაობის ბერკეტის მართვა.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 11 ნოემბერი.

ღამის ცნობები

მარშალის რესპუბლიკაში

ვარშავა, 11 ნოემბერი. ოთხშაბათს ვარშავაში დაიწყეს ზეიმი პოლონეთის განთავისუფლების რვა წლის შესრულების გამო.

როცა პილსუდსკი მაგდებურგიდან დაბრუნდა, გორნიზონის ყველა ოფიცრები ბელვედერში შეიკრიბენ, რათა დღესასწაული მიელოცათ. (ადს)

პოლონეთის ჟურნალისტების პროტესტი

ვარშავა, 12 ნოემბერი. ვარშავის ჟურნალისტების კავშირმა და [illegible] ქალაქის ყველა გაზეთების რედაქციებმა გამოაქვეყნეს საპროტესტო რეზოლიუცია ბეჭდვითი სიტყვის ახალი კანონის წინააღმდეგ. (ადს)

მუკდენის ჯარის დამარცხება

პეკინი, 10 ნოემბერი. მუკდენის ჯარის დიდი დამარცხების გამო მესამე და მეოთხე არმიის შტაბი პეკინში აწარმოებს ახალი ჯარის კაცების გაწვევას. (ადს)

გალაშქრება ტრედიუნიონების წინააღმდეგ

ლონდონი, 11 ნოემბერი. პრემიერმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობის განზრახული აქვს მომავალ საპარლამენტო სესიაზე განიხილოს საკითხი ტრედიუნიონების შესახებ.

ჩინეთი და იაპონია

პარიზი, 11 ნოემბერი. ჩინეთი მოითხოვს **იაპონიასთან 1896 წელში დადებული ხელშეკრულების გადასინჯვას.**

მექრთამე მინისტრები

ტოკიო, 11 ნოემბერი. ყოფილმა გზათა მინისტრმა, მთავრობის პარტიის გამოჩენილმა წევრმა მინოურომ ბრალი დასდო პრემიერ ვაკაცუკას ცრუმოწმობაში. ეს ბრალდება დაკავშირებულია ამასწინად გამომჟღავნებულ საქმესთან, რომელიც ეხება ოსაკის კვარტალს და მაცუშიმას სამეძავო სახლებს, რასაც შედეგად მოყვა მაცუშიმასა და სხვა გამოჩენილი კენსეიკაიელების წინააღმდეგ ბრალდების წაყენება იმის შესახებ, რომ ისინი ღებულობდენ დიდ ქრთამებს „ცოცხალი საქონლის“ მიმწოდებლებისაგან. ვაკაცუკას ცრუმოწმეობა, მინოურას აზრით, გამოწვეულია ვაკაცუკას სურვილით, რათა დაფაროს თავის მონაწილეობა ამ საქმეში და თავი გაითავისუფლოს მასზე მიტანილი ეჭვებისაგან. პრესა აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ახ კონფლიქტმა გამოიწვიოს კაბინეტის დაცემა. (ადს).

კაბინეტის კრიზისის წინაშე

პარიზი, 11 ნოემბერი. სოციალისტ-ნაციონალისტები განაგრძობენ შეტევას კაბინეტის წინააღმდეგ. კრიზისი მწვავდება. მოსალოდნელია დიდი ცვლილებები სამინისტროში. (ადს)

ვენიზელოსი უარს ამბობს

პარიზი, 11 ნოემბერი. ვენიზელოსმა განაცხადა, რომ იგი უარს აცხადებს მიიღოს გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი იმ კაბინეტში, რომელშიც შევა თუნდაც ერთი ვენიზელოსტი. მინისტრად ალბად მეტაქსასი დაინიშნება.

ფოლადის კარტელი

ბერლინი, 11 ნოემბერი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ მოლაპარაკება ფოლადის კარტელის შექმნის შესახებ სწარმოებს იმ მოლაპარაკებასთან ერთად, რომელიც შეეხება კონტინენტალური ფოლადის ტრესტის შექმნას. (ადს)

50,000 კილომეტრი ფეხით

11 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდენ დედამიწის ირგვლივ ფეხით მოგზაურები ალექსანდრე გესლერი და ტომას როლიჩენზკი. ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გესლერმა განაცხადა. საბჭოთა კავშირში ჩვენ გავიარეთ მანძილი ლენინგრადიდან ბათომამდე. თბილისიდან ჩვენ მივემგზავრებით სპარსეთში—იქიდან კი, თუ ინგლისის ხელისუფლებამ მოგვცა ვიზა—წავალთ ინდოეთში. ჯერჯერობით ჩვენ გავიარეთ 32,5 ათასი კილომეტრი. სულ უნდა გავიაროთ 50,000 კილომეტრი და დავბრუნდეთ ვენაში 1928 წლის 28 ივლისს. სამგზავრო ფულს ჩვენ ვშოულობთ ფოტოგრაფიულ სურათების გაყიდვით და ლექციებით. დასასრულ გესლერმა სთქვა: არსადაც თავისუფლად არ გვიმგზავრნია, როგორც საბჭოთა კავშირში, სადაც ჩვენ გვხვდებოდენ დიდი სიამოვნებით. მგზავრები თბილისში 4 დღე რჩებიან. (ადს)

მეტყავეთა კონგრესი

პარიზი, 11 ნოემბერი. მეტყავეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. იუზეფოვიჩი გაემგზავრა პარიზს საფრანგეთის მეტყავეთა უნიტარული ფედერაციის კონგრესზე დასასწრებლად. კონგრესი იხსნება 14 ნოემბერს. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ჩიჩერინი ოდესაში

ჩიჩერინის ჩასვლა ოდესაში

ოდესა, 12 ნოემბ. 11 ნოემბერს ოდესაში ჩამოვიდა ჩიჩერინი და ოსმალეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ზექაბეი. ოდესაში გაუმართეს საზეიმო შეხვედრა ჩამოსულ სტუმრებს. (ადს).

ოსმალეთის კრეისერი „გამიდიეს“ ჩამოსვლა

ოდესა, 12 ნოემბ. 11 ნოემბერს ოდესაში ჩამოვიდა შავი ზღვის ფლოტის ნაღმოსანი ოსმალეთის მსუბუქი კრეისერი „გამიდიეს“ შესახვედრად. ნაღმოსნით ჩამოვიდენ შავი ზღვის ფლოტის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წარმომადგენლები ისაკოვი და დრანიცინი. კრეისერ „გამიდიეს“ ჩამოყვება ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ტევფიკ-რუშტი-ბეი. „გამიდიე“ არის ოსმალეთის პირველი გემი, რომელიც შემოდის საბჭოთა ნავთსადგურში. შავი ზღვის ფლოტის წითელი მეზღვაურები ემზადებიან ოსმალეთის მეზღვაურების საზეიმო და მეგობრული შეხვედრისათვის. (ადს).

სრ. რუსეთის ცაკის მე-3 სესია

მოსკოვი, 11 ნოემბერი. სრ. რუსეთის ცაკის 11 ნოემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა შინაგან საქმეთა სახ. კომისარის ამხ. ბელობოროდოვის მოხსენება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განოფილებათა რეორგანიზაციის შესახებ. რეორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებს სამაზრო აღმასკომების საერთო განყოფილებათა გაუქმებას. საერთო განყოფილებათა ნაცვლად იარსებებს სახალხო განათლების, ჯანმრთელობის და ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებანი. სოციალური უზრუნველყოფის მოვალეობანი გადაეცემა ან უშუალოდ სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმს და ან გლეხთა ურთიერთ დამხმარე სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმს. ეს რეორგანიზაცია უნდა გატარდეს არა უგვიანეს 1927 წლის 1 თებერვლისა. მეორე პროექტი, რომელიც შეტანილია სესიაზე დასამტკიცებლად, ითვალისწინებს სამაზრო აღმასკომთან არსებული მილიციის სამაზრო სამართველოების გაუქმებას. მა თმაგივრად სამაზრო აღმასკომებთან დაარსდება საადმინისტრაციო განყოფილება.

ამხ. ბელობოროდოვის მოხსენების გარშემო კამათში გამოსულებმა მხარი დაუჭირეს ამ რეორგანიზაციას. (ადს).

ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაცია

მოსკოვი, 11 ნოემბერი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან შესდგა თათბირი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა თანდასწრებით. თათბირმა განიხილა ამიერ-კავკასიის კაპიტალური ხარჯების საკონტროლო ციფრების შესწორების საკითხი, ვინაიდან არსებობდა უთანხმოება ამიერ-კავკასიის მრეწველობის 1926—27 წლის კაპიტალური ხარჯების საკონტროლო ციფრების დარგში.

თათბირმა დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე, რომ კაპიტალური ხარჯების საერთო რაოდენობა გადიდებულ იქნას 2 მილიონი მანეთით, განჯის სართავ-საქსოვი ქარხნის აგების დამთავრების მიზნისათვის. (ეს ფაბრიკა შეტანილი არ ყოფილა ახალ წარმოებათა სიაში საკონტროლო ციფრების შედგენის დროს). აუცილებლად იქნა ცნობილი, რომ 1926—27 წელში გადაიდოს 860.000 მან. სართავ-საქსოვი ქარხნის განყოფილების ასაგებად ლენინაკანში. თათბირი, სცნობს რა შეუძლებლად საქსოვი მოწყობილობის იმპორტს 1926—27 წელში, წინადადებას იძლევა, მოლაპარაკება დაიწყოს „გლავმეტალთან“ იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელმა სართავ ქარხნებს მიაწოდოს საჭირო მოწყობილობა. გადაწყდა, რომ 1926—27 წლის კაპიტალური სამუშაოთა რიცხვში იქნას შეტანილი ტკეჩის ქარხნის აგება კახეთში, იმ პირობით, რომ ამ აღმშენებლობის ხარჯები გაღებული იქნება ადგილობრივი თანხებიდან.

თუმცა ქაღალდის ქარხნის ასაგებათ საქართველოში საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭომ გასცა ნებართვა, მაგრამ თათბირმა მაინც შეუძლებლად სცნო ამ ფაბრიკის აშენება 1926—27 წელში. ეს აკრძალვა აიხსნება იმით, რომ მრეწველობის კაპიტალური საერთო ხარჯები განსაზღვრულია და რომ აუცილებელია პირველ რიგში დამთავრდეს უკვე დაწყებული აღმშენებლობა ქაღალდის მრეწველობის დარგში. ამიერ-კავკასიის წარმომადგენელნი ამ საკითხში განსაკუთრებული აზრისანი დარჩენ და აუცილებლად სცნობდენ მოსამზადებელი მუშაობის დამთავრებას და ქაღალდის ფაბრიკის აგების დაწყებას უახლოეს ხანშივე. შემდეგ თათბირმა აუცილებლად სცნო, რომ 1926—27 წელში დაიწყოს მუშაობა კავთისხევის ცემენტის ქარხნის ასაგებათ და ამ მიზნისათვის გადასდო 400.000 მან. დასასრულ თათბირმა და 400.00 მანეთი. დასასრულ თათბირმა დაადგინა, რომ აუცილებელია დამატებით 500—700 ათასი მანეთი გადაიდოს სპილენძის საქმისათვის ამიერ-კავკასიაში.

აღწერის წინ

20 ნოემბრისათვის საკავშირო საალწერო კამპანიის საქართველოში ჩამტარებელი კომიტეტი თბილისში იწვევს რესპუბლიკის საალწერო რაიონების ხელმძღვანელთა სარესპუბლიკო კონფერენციას.

კონფერენციის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საკავშირო საყოველთაო აღწერის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, 2) მოხსენებები ადგილებიდან საალწერო მუშაობის მოსამზადებელი კამპანიის ჩატარების შესახებ, 3) სარესპუბლიკო დამხმარე კომიტეტის მოხსენება მოსამზადებელი მუშაობის შესახებ, 4) აღწერის საორგანიზაციო გეგმა და 5) საალწერო მასალების დარიგების წესი.

რესპუბლიკა სულ დაყოფილია ქალაქების გამოკლებით 21 საალწერო უბნათ.

საქ. ცენტრ. სტ. სამმართველოში მიღებული ცნობებით, ანალოგიური კონფერენციები ჩატარდება აგრეთვე კავშირში შემავალ სხვა რესპუბლიკებშიაც.

ტრამვაი

ტრამვაის მამოძრავებელ ელდენს ამუშავებენ ტრამვაის ელექტრო სადგურები, რომელნიც სათბობ მასალას ხარჯავენ. ვიდრე ტრამვაი ზაჰესის ელდენზე გადავიდოდეს გაგრძელდება ელექტრო სადგურების მუშაობა და სათბობი მასალის ხარჯვაც, რომელიც ჯერ კიდევ 1924 წელს, ზედმიწევნით სისწორით იქნა გამოანგარიშებული და განსაზღვრული. მინიმუმამდე არის მიყვანილი აგრეთვე ვაგონების საექსპლოატაციო და სარემონტო ხარჯები.

იმ ნაწილების დასამზადებლად, რომელიც ტრამვაის მეურნეობას არ მოეპოვება, იხმარება ძველი — ნარჩენი ნაწილები. გაუმჯობესების და გამოგონებისათვის ტრამვაის ნაწილების შეკეთების დარგში შემოღებულია პრემიალური სისტემა. ამ მიზნისთვის ტრამვაის სამმართველოს აქვს სპეციალური ფონდი.

სამმართველომ უკვე დაამთავრა სარემონტო სახელოსნოების მოსათავსებლად ახალი შენობა, სადაც დადგმულია ახლად მიღებული დაზგები. ამ შენობაში იქნება თავმოყრილი ყველა სარემონტო სამქროები.

ტრამვაის ძველი სახელოსნოების პირდაპირ მდებარე მოედანზე ამჟამად შენდება ჩამომსხმელი სახელოსნოს ახალი შენობა.

სახელოსნოს შენობის დამთავრების და მოწყობის შემდეგ ტრამვაის მეურნეობას საშუალება ექნება თვითონვე დაამზადოს ლითონის მასალები.

ამ ახლო მომავალში ძველი ვაგონები შეცვლილ იქნება ახალი ვაგონებით, რომელნიც, როგორც ჩვენში მკითხველებმა იციან, კომუნალურ განყოფილებას შეკვეთილი აქვს მოსკოვის ელექტრო-ტრესტს. სულ გამოწერილია 70 ვაგონი.

პირველი პარტია ვაგონებისა აქამდე უნდა ყოფილიყო მიღებული, მაგრამ მოტორების დაუმზადებლობის გამო ელექტრო ტრესტმა პირობა ვადაზე ვერ შეასრულა.

პენსია

სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს მიერ გამოცემულია ორი დადგენილება, რომელიც საზღვრავს იმ პირთა უფლებებს, რომელთაც პენსია ერგებათ. ამ დადგენილების ძალით იმ პირებს, რომელთაც 50 წლის ჰასაკს მიუღწევიათ და ამ ჰასაკს გადაშორებიან ეძლევათ უფლება მიიღონ პენსია შრომის უუნარიანობის გამო. მეორე დადგენილება შეეხება ინვალიდ მასწავლებლების პენსიის საკითხს.

პირველი დადგენილების თანახმად 50 წლის ჰასაკს გადაშორებული შრომის ინვალიდები მიიღებენ პენსიას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ სამსახურის მოტოვებამდე უმსახურიათ შეუწყვეტლივ 3 წლის განმავლობაში.

ამავე დროს მუშაობის შეჩერება სამსახურის დროს შრომის უნარის დროებითი დაკარგვის გამო, ჩათვლილი უნდა იქნეს, როგორც დაქირავებულის შეუწყვეტელი მუშაობა.

მეორე დადგენილების ძალით ის ინვალიდი მასწავლებლები, რომელთა ინვალიდობა გამორკვეული იყო 1926 წლის 1 ოქტომბრამდე, თვიურ პენსიათ მიიღებენ თავის წლიური ხელფასის ერთს მეთორმეტედს.

სამკურნალო ტალახი

წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ ამასწინეთ გაგზავნილ იქნა კუმისისა და სოღანლუღის ველების გამოსაკვლევათ სპეციალისტ-ტეხნიკოსების ექსპედიცია.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს განზრახული აქვს აღნიშნული ველის მორწყვა, რისთვისაც გამოყენებული იქნება კუმისის ტბა. ექსპედიციამ ტბაზე აღმოაჩინა სამკურნალო თვისების ტალახი; ნიმუში ამ ტალახის გაუგზავნა ს. მ. უ. ს. ლაბორატორიას გამოსაკვლევათ. გარდა ამისა სატეხნიკო ლაბორატორიას გაეგზავნა აგრეთვე გამოსაკვლევათ სოღანლუღის ველის ნიადაგის ნიმუშები.

კუმისის ტბის სამკურნალო ტალახის ანალიზები დასრულდება ერთ თვეში.

ფართალი

საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ამიერ-კავკასიის განყოფილების ცნობებით, საფეიქრო ბაზარი ოქტომბერში მეტად გაცხოველებული იყო. მოთხოვნილება საგრძნობლად სჭარბობდა მიწოდებას.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ბამბეულ მანუფაქტურაზე, რომელიც ცოტა შემოდის ბაზარზე. მიღებული მანუფაქტურა არ აკმაყოფილებს კლიენტების მოთხოვნილებას და იგი ეძლევა იმ ორგანიზაციებს, რომლებთანაც დადებულია გენერალური ხელშეკრულება. დარჩენილი მცირე რაოდენობა ნაწილდება დანარჩენ ორგანიზაციებს შორის.

ოქტომბერში განყოფილების მიერ მიღებული იყო 870 შეკვრა ბამბეული მანუფაქტურა, აქედან 74 შეკვრა საზაფხულო ქსოვილები.

სასეზონო პირობების გამო ძალიან გაცხოველდა მოთხოვნილება მაუდის და კამვოლის ქსოვილებზე, მაგრამ ვინაიდან ბაზარზე ცოტა შემოდის დრაპი, ბობრიკი, საკოსტიუმო ქსოვილები და ტრიკო, მოთხოვნილება კმაყოფილდება დაახლოებით შემდეგ ფარგლებში: ბობრიკი — 5 პროც., დრაპი და საკოსტიუმო ქსოვილები — 15 პროც.

მიღებულია ზომები აღნიშნული ქსოვილების შემოტანის გასაძლიერებლად.

კერძო ბაზარზე საქონელი ცოტაა. უკანასკნელ ხანებში მათ საქონელი მოსდით ცენტრალურ ქალაქებიდან: როსტოვიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან.

ოქტომბრის განმავლობაში ბამბეული მანუფაქტურის გაცემა კერძო ვაჭრებზე განყოფილებას არ უწარმოებია.

ლენინაკანში

(შთაბეჭდილებანი)

მხოლოდ იმას, ვინც თავისი თვალით ნახა ლენინაკანის უბედურება, გამძვინვარებული სტიქიონის „მუშაობის“ ნაყოფი, შეუძლია წარმოიდგინოს, რაც მოხდა, რა ჭირი დაატყდა თავს უბედურ ლენინაკანელებს.

მხოლოდ ცოცხალ სინამდვილის ფონზე, ლენინაკანის ნანგრევებში, კატასტროფის მსხვერპლთა მახლობლად, გრძნობ ოფიციალურ ცნობებში გამოქვეყნებულ თავისთავად შემზარავ ციფრების ნამდვილ შინაარსს.

— აღრიცხულია მიწისძვრისაგან დაზარალებული 38 სოფელი, მათში მეურნეობათა საერთო რიცხვი—7.812-ია, მოსახლეობა—37.386 სული.

— საერთოდ, განადგურებულია 4.316 მეურნეობა, ამასთან 11 სოფელი 1.797 მეურნეობით მთლად დანგრეულია.

— ბინა დაჰკარგა და უჭეროდ დარჩა 19.811 სული მცხოვრები.

— ქ. ლენინაკანის შენობების 60 პროცენტი მთლათ დანგრეულია, 100 პროცენტით დაზარალდა.

— მარტო სოფელ დაგარლიში 103 კაცია მოკლული.

შემზარავი, სწორედ თავის სიშიშვლით შემზარავი, ციფრებია, მაგრამ სინამდვილე ბევრათ უფრო საშინელი, ბევრათ უფრო შემზარავია.

სიკვდილის შიშის გამომეტყველი, მთლად უაზრო პირისახეები, საცოდავათ გამოწვდილი ხელები, საცოდავათ გამომყურე ცრემლით სავსე თვალები...

სიღატაკე, სიმშილი, სიცივე, სიტიტვლე—მომავალ ეპიდემიის უტყუარი წინამორბედნი...

ირგვლივ—სასოწარკვეთილება, დაუსრულებელი სასოწარკვეთილება, სასოწარკვეთილების ზღვა.

დასახიჩრებული გვამები, დაჭრილ-მომაკვდავთა კვნესა-გმინვა, მშიერ ბავშვების ტირილი, დამშეულ საქონლის ბღავილი—ერთმანეთშია არეული, საშინელ ჰარმონიათ არის შეზავებული, და აქვე—ფერწასული, უაზროდ გამომეტყველი კონკებიანი დედაკაცი ნანგრევებსა სჩხრეკს—ეძებს იქ თავისს ძვირფას ბიჭიკოს...

ასეთს სურათებს კაცი ვერ დაივიწყებს, ვერაფრით ვერ წაშლის თავის მეხსიერებაში.

და თავისთავად მოდის გულის სიღრმიდან მძლავრი ხმა:

— დავეხმაროთ უბედურებს, შევუმსუბუქოთ მათ მწარე ხვედრი, დავიხსნათ ჩაღუპვისაგან ის, ვინც გუშინ თავს ბედნიერად ჰგრძნობდა, დღეს კი მათხოვრად გადაქცეულა, ამ სიტყვის უსაშინლესი მნიშვნელობით, ხელი საბრალოდ გამოუშვერია, ლუკმის გლახა, დაჰკარგა ცოლი, შვილი, ნათესავობა, ჭერი თავზე დაენგრა, დასახიჩრდა, გაუბედურდა.

— დაღუპვას გადავარჩინოთ ის, ვინც **აბობოქრებულს სტიქიონს გადაურჩა, მივცეთ მათ საშუალება ახალი ბინა აიშენონ, მეურნეობა აღადგინონ, გადაურჩენ ლტოლვილის მწარე ბედს, რაც საუბედუროთ, თითქოს სომხის უბედურ მასების მოწოდებათ გადაიქცა.**

ფართოდ მოედო ძმურ სომხეთს დახმარების ტალღა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან, თავგანწირვით მუშაობენ იქ წითელი არმიის ნაწილები, წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის მუშაკნი, ცეცხლის მქრობელი რაზმები, მოხალისენი, დაუშლელ კვალსა სტოვებს ეს მუშაობა სომხეთის მშრომელთა სულში და გულში, მაგრამ მეტად დიდია მათ თავს დატეხილი უბედურება, შეუძლებელია მისი მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით განელება.

მთელმა საზოგადოებამ, მთელმა მისმა შეგნებულმა ნაწილმა, საბჭოთა ყველა რესპუბლიკებში, დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს ძმურ სომხეთს, აქტიურად ჩაებას ლენინაკანის კატასტროფის მსხვერპლთა შველის საქმეში.

მუშა, გლეხი, მშრომელი ინტელიგენტი, ქალი და ვაჟი, დიდი და პატარა—ყველამ უნდა მიაშუროს სისხლით დაცლილ ლენინაკანელების საშველად, ყველამ თავისი წვლილი უნდა გაიღოს უბედურთა დასახმარებლად.

ყველა ოჯახის მამამ გაიხსენოს რამოდენიმე ათასი და ათი-ათასი გაოხრებული ოჯახი.

შვილების ალერსით დამტკბარმა დედამ მოიგონოს მათი ხნის ბავშვები, ვისაც დედ-მამა ლენინაკანის ნანგრევებშია დამარხული.

თავისი შრომის ნაყოფით მოამაყე გლეხი ნუ დაივიწყებს იმათ, ვინც ასევე შეჰხაროდა თავისს ნაჭირნახულევს, დღეს კი უპატრონო გლახად გადაქცეულა, ხელი გაუშვერია თავისი სიმშილითა და სიცივით სიკვდილის პირზე მიყვანილი ოჯახის სარჩენად.

დიე ყველა, უკლებლივ ყველა, ყველას, რაც კი არის ჩვენს საბჭოთა საზოგადოებრივობაში წმინდა, პატიოსანი და კეთილშობილი, გამოეხმაუროს უსაზღვრო უბედურების, განუზომელ სასოწარკვეთილების გამოძახილს.

და მრწამს, საბჭოთა დიდი კავშირის და თავდაპირველად საქართველოს და აზერბეიჯანის მშრომელნი შესძლებენ ღირსეულად შესრულებას იმ მისიისას, რაც მათ დააკისრა და რისკენაც მათ მოუწოდებს ძმურ რესპუბლიკის თავს დამტყდარი უბედურება.

ლენინაკანის კატასტროფის მსხვერპლთა დახმარების ფონდის შესაქმნელად პრაქტიკულ საშუალებად შეიძლება დასახელდეს **დროებით, თუნდ სულ მცირედი, კაპეიკიანი, გადასახადით დაბეგვრა რკინისგზის და ტრამვაის მილეთებისა, აგრეთვე თეატრების, კინოს და სხვა ბილეთებისა.**

ანალოგიური ღონისძიებების განხორციელება შეიძლება სოფლადაც—გლეხობისათვის ლენინაკანის რაიონში მომხდარ უბედურების განმარტების ფართოდ გატარებული კამპანიის შედეგად.

კაპეიკის გაღება არაის გააკოტრებს, მხოლოდ მშრომელთა ყველა რესპუბლიკების ტერიტორიაზე შეგროვილი ათასი, ათი ათასი, ასი ათასი, მილიონი კაპეიკები მძლავრ წყაროს შეჰქმნის დანგრეულ ლენინაკანის და მის მიდამოების აღსადგენად.

— ძმა ძმისათვის—ამბობს ხალხური ანდაზა—ამ დღისათვისაო.

ა. გეგეჭკორი.

საყოველთაო სწავლება

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილ გამოკვლევიდან სჩანს, რომ საქართველოს (ავტონომიური რესპუბლიკების გარეშე) მოსახლეობის საერთო რიცხვიდან 2.062.688 სულიდან 7—59 წლის ჰასაკის მოსახლეობა შეადგენს 1.556.915 სულს. აქედან წერა-კითხვა იცის მხოლოდ 52 პროცენტმა.

ჩვენში მასიური სკოლის ტიპად აღიარებულია პირველი საფეხურის სკოლა ოთხწლიანი კურსით. თითო სკოლა მოდის მოსახლეობის 1182 სულზე.

ზოგიერთ სკოლებში სწავლება ნორმალურად არ მიმდინარეობს; ასე, მაგალითად, ზოგან სამოსწავლო წელი განათლების კომისარიატის მიერ დაწესებულ ნორმაზე ნაკლებია. ზოგან სკოლებში ვერ დადის მოწაფეების საკმაო რიცხვი, რაც აიხსნება უგზოობით, სკოლების დაშორებით, თბილი ტანისამოსის და ფეხსაცმელების უქონლობით და სხვა.

გადაწყვეტილია კანონმდებლობითი წესით გატარებული იქნეს საკითხი საყოველთაო დაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ.

ამ მიზნით განათლების სახალხო კომისარიატთან გამოყოფილია კომისია, რომელიც ამუშავებს ამ საკითხს.

განათლება

დანიშვნა. განათლების კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. ხაუტაშვილი დაინიშნა კომისარიატის საინსტრუქტორო განყოფილების გამგეთ.

შრომის სკოლების დებულება. განათლების კომისარიატის მიერ ზოგადი შესწორებებით დამტკიცებულია შრომის სკოლების დებულება, რომელიც ახლო მომავალში დაეგზავნება შრომის სკოლებს.

განათლების სახალხო კომისარიატმა ერევანში განათლების მუშაკთა სახლის გახსნის გამო სომხეთის განათლების მუშაკებს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა.

ოქტომბრის რევოლიუციის 9 წ. თავზე. განათლების კომისარიატმა ძველი სენაკის სასოფლო-სამეურნეო და შრომის სკოლების მოსწავლეებისაგან მიიღო მისალმების დეპეშა.

საბავშვო და საყმაწვილო ჟურნალები. გამოვიდა: ქართულ ენაზე საბავშვო ჟურნალის „პიონერის“, საყმაწვილო „ნაკადულის“, სომხურ ენაზე—„კარმირ-წილერის“ და თურქულ ენაზე—„კიზილ-შეფიკის“ ოქტომბრის მორიგი ნომრები.

საბინაო კანონმდებლობა

საბინაო საკითხის შესახებ შინაგან საქმეთა კომისარიატის კომუნალური განყოფილება შეუდგა შესაფერ დებულების ამუშავებას.

ასეთივე დებულებები შემუშავდება საბინაო საკითხის სხვა დარგების შესახებ, (ტარიფიკაცია, ბინების აგება, სახლთმეპატრონეების უფლებრივი მდგომარეობა და სხვ.) რომლებსაც შემდეგ გაატარებენ მთავრობის უმაღლეს ორგანოებში საკანონმდებლო წესით. ამიტომ კომუნალურმა განყოფილებამ საჭიროთ სცნო დაამყაროს პროვინციებთან მუდმივი ურთიერთობა თანამშრომლობის ნიადაგზე.

ვინაიდან საბინაო კრიზისი ერთნაირათ საგრძნობია პროვინციებში, ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი საბინაო საკითხების შესახებ შინაგან საქ. კომისარიატში.

ყოველი ცალკე სამაზრო აღმასკომი გამოგზავნის თავის პროექტს იმის შესახებ, თუ მისი მაზრისათვის როგორი საბინაო კოდექსი იქნება შესაფერისი.

მუშათა სახლები

თბილისში დღემდე მწვავეთ იდგა საკითხი, თუ როგორი სახლები უნდა იქნეს აშენებული საბინაო-საამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობების მიერ მუშებისათვის.

კამათი ამ საკითხის ირგვლივ სწარმოებდა უმთავრესად ორ მიმართულებას შორის: ერთი მიმართულების აზრით უნდა აშენდეს განცალკევებული ერთბინიანი კოტეჯები, მეორე მიმართულების აზრით კი—მრავალი ბინიანი სახლები კოლექტიური სამზარეულოებით, კლუბებით და სხვა.

ამ საკითხში ბინათ-კავშირმა ანგარიში გაუწია საქართველოს ყოფა-ცხოვრების პირობებს, აგრეთვე ტეხნიკურ და მატერიალურ შესაძლებლობას და შეჩერდა ჯერ-ჯერობით სახლების ორ ტიპზე: ოთხ და რვა ბინიან სახლებზე.

ამჟამად ასეთი სახლების სტანდარტიული პროექტი შემუშავებულია და უკვე ტარდება ცხოვრებაში. ჯერ-ჯერობით შენდება შემდეგი ტიპის სახლები; პირველი ტიპი—ოთხ ბინიანი ორ სართულიანი სახლი; ბინა შესდგება ორი ოთახისაგან და სამზარეულო-სასადილო ოთახისაგან; მეორე ტიპი—სამი ოთახისაგან და სამზარეულო-სასადილოსაგან.

ჩამოსული ავადმყოფები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობებით ირკვევა, რომ ხშირათ პროვინციიდან ჩამოსულ ავადმყოფებს უადგილობის გამო ვერ ღებულობენ ცენტრალურ სამკურნალო დაწესებულებებში; ჩამოსულ ავადმყოფებს უხდებათ უკანვე წასვლა ან აქ ცდა და ზედმეტი ხარჯების გაწევა.

ამავე დროს სამკურნალო დაწესებულებები ღებულობენ ქალ. თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებ ავადმყოფებს, როდესაც თბილისის აღმასკომს დამოუკიდებლად აქვს გახსნილი მათთვის საკუთარი სამკურნალო დაწესებულებები.

ჯანსახკომმა მისწერა ყველა სამკურნალო დაწესებულებებს, რომ პროვინციებიდან ჩამოსული ავადმყოფები ამიერიდან მიიღონ დაუყოვნებლივ და თბილისის მოქალაქეების აღმოუჩინონ დახმარება მხოლოდ სასწრაფო შემთხვევაში.

სარწყავი არხები

ტირიფონის არხი

ტირიფონის არხის გასაყვან სამუშაოებზე დაიწყო მუშაობა სახაზო ნაშენთა ასაგებად: შენდება არხის მთავარი საგუბარი. საამშენებლო მასალებით სამუშაოები უზრუნველყოფილია: მომარაგებულია ღორღი, ქვიშა და ცემენტი საკმაო რაოდენობით. არხის სიგრძე იქნება 52 ვერსი, და მორწყავს დაახლოებით 20 ათას დესეტინას. არხის გაყვანა ჯდება 1.250.000 მანეთი. სამუშაოები სავსებით დამთავრდება — 1927 წლის შემოდგომაზე.

ალაზნის არხი

რთველის და სხვა საშემოდგომო მუშაობის დამთავრების შემდეგ, გაცხოველდა მუშაობა ალაზნის არხის გასაყვანად. ყოველდღიურად სამუშაოებს ემატება გლეხები, რომელთაც დაკისრებული აქვთ მიწის და ქვის სამუშაოები, რომელიც გლეხებს ნარდათ აქვთ აღებული.

თვითეული კუბიკური საჟენი მიწის ამოღებისათვის ეძლევათ 4 მანეთი, წერაქვის სამუშაოებზე — 5 მ. 5 კაპ., ხოლო კლდის სამუშაოებზე — 6 მან. 75 კაპ.

ამჟამად ალაზნის არხის გასაყვანათ ველის ციხის რაიონში მუშაობს 500-მდე გლეხი.

ქრონიკა

ზაჰესის დათვალიერება

ზაჰესის ანაგებათა დასათვალიერებლად საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკურმა ტრესტმა გამოგზავნა სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკურ განყოფილების გამგე მაქსიმოვი, რომელიც უკვე ჩამოვიდა თბილისში.

კურსანტების გამოშვება

კვირას, 14 ნოემბერს, დილის 11 საათზე, კავკასიის წითელ დროშოვან არმიის შტაბის და პოლიტიკურ სამმართველოს კლუბში (კომინტერნის ქ. № 7) მოხდება ავიაქიმის ქიმიურ გუნდის კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოშვება. ეს კურსები მოწყობილი იყო ავიაქიმის მეოთხე რაიონულ საბჭოს მიერ.

საზეიმო სხდომას დაესწრებიან საქართველოს ავიაქიმის და თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ქიმიური გუნდის კურსანტების გამოშვება პირველი შემთხვევაა ამიერ-კავკასიაში.

კურსდამთავრებულები დანიშნული იქნებიან უმცროს უფროსებათ ქიმიურ გუნდებში, რომლებსაც აწყობს ავიაქიმის თბილისის საბჭო. ამ გუნდების მიზანია ქიმიური ცოდნის გავრცელება თბილისის მშრომელებში.

სანიტარული ცოდნა

ვინაიდან დიდი მნიშვნელობა აქვს სანიტარული განათლების გავრცელებას სახალხო კვების და გემო-კვების პროფკავშირების წევრთა შორის, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ დაადგინა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად მოაწყოს აღნიშნულ პროფკავშირების წევრთათვის სანიტარული ცოდნის კურსები.

სანიტარული ცოდნის კურსი სავალდებულოა სახალხო კვების და გემო-კვების პროფკავშირების ყველა წევრთათვის.

პროფსკოლები

განათლების მუშაკთა კავშირის ცენ. გამგეობა განათლების მუშაკთა პროფაქტივის გადასამზადებლად თბილისში ხსნის სამ პროფსკოლას ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე. სკოლები გახსნილი იქნება შემდეგ პუნქტებში: დიდუბეში—ქართული, გ. მ. ც. სახლში—რუსული და ავლაბარში—სომხურ ენაზე.

მეცადინეობა იწარმოებს ექვსი თვის განმავლობაში, კვირაში ერთხელ. თითეულ პროფსკოლაში შეიძლება ჩარიცხულ იქნეს 30-35 მსმენელი.

„წინანდალი“-ს ლიკვიდაცია

კახელ მევენახეთა კოოპერატიულ ამხანაგობა „წინანდალს“ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკთან დადებული ჰქონდა პირობა. ამ პირობით ამხანაგობა ღებულობდა ბანკიდან სესხს, მაგრამ ამხანაგობამ მიღებული სესხი არ დაუფარავს.

ბანკის გამგეობამ განიხილა საკითხი „წინანდალი“-ს მიერ პირობის დარღვევის შესახებ და თავის თანხების ასანაზღაურებლად წინადადება მისცა წინანდალის საკრედიტო ამხანაგობას დაუყონებლივ ჩაიბაროს „წინანდლი“-სგან გირაოდ მიღებული ამერიკული სანერგეები და გაჰყიდოს ამხანაგობაზე არსებული, როგორც ნამყენი ვაზი, ისე სამყნობი ლერწი და აქედან მიღებული თანხა წარადგინოს ბანკში.

ამ დღეებში მოხდება „წინანდალის“ ლიკვიდაცია.

ბრძოლა მავნებლებთან

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტმა 110.919 მან. გადასდო ბამბის მავნებლებთან ბრძოლისათვის ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში 1926—27 წელში.

მებამბეობის კომიტეტის ფილმა

სპარსეთის მებამბეობის კომიტეტის თხოვნით, ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტმა თეირანში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნა ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის შეკვეთით გადაღებული საქართველოს სახკინმრეწვის კინო-ფილმა, რომელიც ეხება მებამბეობას ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში.

თბილისის ალმასკომში

◆ ტრამვაის რონოდების შესაკეთებლად გასულ საანგარიშო წელში გაღებული იქნა 96.000 მან.

◆ ჭაობების ამოშრობა. წელს ამოშრობილი იქნება ნაქალაქარის (ქვემო-ერწოს თემი) ბოლო მდებარე ჭაობიანი ადგილები.

◆ გლეხთა კლუბი. კოჯორის თემში სოფ. წავკისში გაიხსნა გლეხთა კლუბი.

◆ ხიდი. კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ლოქის ხევზე ხიდის აგებას.

◆ საჰაერო მავთულები. ტრამვაის დირექციამ შეიძინა 10.127 მან. საჰაერო მავთულები, რომლითაც შეცვლილ იქნება ძველი დაზიანებული მავთულები.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

◆ აგრონომიული თათბირები. მიწათმოქ. კომისარიატმა გადასწყვიტა ცალკე მაზრებში მოაწყოს აგრონომიული თათბირები.

◆ მინდვრის თაგვები. მიწათმოქ. კომისარიატის ცნობით, აღბულაღის რაიონში გაჩენილა დიდძალი მინდვრის თაგვები, რომლებიც საფრთხეს უქადიან ზამთრის ნათესებს. მიღებულია სათანადო ზომები თაგვების მოსასპობად.

ლექციები და ექსკურსიები

საქართველოს პროფსაბჭომ შეიმუშავა მუშათა კლუბებში წასაკითხავ ლექციების თემები და ექსკურსიების მოწყობის წესები, რომლებიც გამოვა ცალკე წიგნაკად. წიგნში დაწვრილებით აღნიშნული იქნება, თუ როგორ უნდა მოემზადონ ლექციებისა და ექსკურსიებისათვის ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციების მუშაკები.

წყალთა მეურნეობის სამ-ში

◆ არხი. წყალთა მეურნეობის სამმართველო იმუშავებს გეგმას კობლიანის (ახალციხე) არხის გასაყვანად.

◆ წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა წინასწარ მუშაობას ვალე-ნიოხრებში(ახალციხის მაზრა) არხის გასაყვანად. არხი მორწყავს 4 დესეტინა მიწას.

ალებასტრი

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში შირაქიდან ჩამოიტანეს ალებასტრის მადნის ნიმუშები, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ და დიდათ საჭირო საამშენებლო მასალას.

ალებასტრის ნიმუშები საანალიზოთ გადაეცა ს. მ. უ. ს. ლაბორატორიას. ანალიზმა უნდა გამოარკვიოს თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული მადნიდან სხვადასხვა საღებავების მიღება.

ჯანსახკომში

◆ სამკურნალო მცენარეები. ჯანსახკომი ამჟამად იმუშავებს ახალ გეგმას სამკურნალო მცენარეულობის დამზადების ფართე ნიადაგზე დასაყენებლად.

◆ ვენერიულ სნეულებასთან ბრძოლის მიზნით, ახალქალაქში ეწყობა ვენერიული სნეულების სამკურნალო კაბინეტი.

◆ კბილის საექიმო კაბინეტები. ჯანსახკომი საზღვარგარეთიდან იწერს კბილის საექიმო კაბინეტებს მაზრებისათვის.

სას.-სამეურნეო ბანკში

◆ ტრაქტორები. ა.-კ. სას.-სამ. ბანკი ცალკე რესპუბლიკების ბანკებს აძლევს განსაკუთრებულ სესხებს ტრაქტორების შესაძენად.

◆ მიწისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებს ა.-კ., სას.-სამ. ბანკი აძლევს გრძელვადიან სესხებს.

◆ საგრილებელი პუნქტები. ა.-კ. სას.-სამ. ბანკის ცნობით ,მიქელ-გაბრიელის საკრედიტო ამხ-ბა აწყობს საგრილებელ პუნქტს, რისთვისაც შეიძინა 14 სული საუკეთესო ჯიშის საქონელი.

◆ მუხის თესლი. ბანკის ცნობითვე ბორჩალოში მუხის თესლის დიდი მოსავალია. თესლიდან ამზადებენ ზეთს.

კრებები და მოხსენებები

◆ წყალსადენი და კანალიზაცია. ხვალ, საღამოს 7 საათზე თბილისის წყალსადენის მთავარ ინჟინერის კაბინეტში შესდგება წყალსადენ-საკანალიზაციო სექციის სხდომა.

დღის წესრიგში დასმულია: მოხსენება თბილისის მაზრის სოფლებისათვის წყლის მიწოდების, საქართველოში სოფლის წყალსადენების პროექტების შედგენის და მოწყობის და წყალსადენის და კანალიზაციის საკითხების დასამუშავებლად საკონსულტაციო ბიუროს შექმნის აუცილებლობის შესახებ.

◆ დამცველთა კოლეგიაში. კვირას, 14 ნოემბერს, დილის 11 საათზე დანიშნულია დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება.

სხვადასხვა

„მწყემსი“ ახალ ბინაზე. მეცხვარეთა კოოპ. ამხანაგობა—„მწყემსი“-ს სამმართველო გადავიდა ახლად შეძენილ საკუთარ ბინაზე (კალინინის ქ. № 54).

ყაზანცევის მატარებელი. გუშინ, ბაქოდან თბილისში დაბრუნდა ყაზანცევის საცდელი მატარებელი და გაემგზავრა ბათუმისაკენ ცდების გასაგრძელებლად.

სესხი აფხაზეთის ბანკს. 1926—27 წლის საკრედიტო გეგმის მოკლე ვადიან სესხებიდან, ა.-კ. სასოფ.-სამეურნეო ბანკმა აფხაზეთის ბანკს გაუხსნა—27.000 მანეთის კრედიტი და გრძელვადიან სესხებიდან—16.000 მან.

◆ ხიდის აგება. სატყეო მრეწველობის ტრესტის თაოსნობით ახალციხეში სოფ. არალში შეუდგენ ხიდის აგებას.

◆ საკურორტო სამმართველომ გადასდო 4 ათასი მანეთი სოფ. ვარხანში (ახალციხე) წყალსადენის გასაყვანად.

◆ სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ ხულოს მაზრის გლეხების დასახმარებლათ აჭარისტანის სახ. კომ. საბჭომ გადასდო 25.000 მან.

ჩაუბარებელი დეპეშები

ბელოვანიდან—ვოლიკევიჩს, ოდესიდან—იცუნსკის, ერივანიდან—ხარაზოვს, ბაქოდან— ატოევიანს, ღანირ-ჰაგანიდან—დოდელიანს, მახაჩკალიდან—აზიზ საგიტოვს, კიევიდან—დავიდენკოს, გეოქჩაიდან—ვოსტრიაკოვისას,—ჩერნოგორიდან—დომინიანს, ტემნიკოვიდან—ეგურაზოვს, კიევიდან—კომბარს.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში შეცდომით სწერია, თითქოს შემოსავალ-გასავლის სალაროს ადგილკომმა ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შესწირა 5 მ. და 25 კ. უნდა იყოს 51 მან. და 25 კ.

სასამართლო

გამფლანგველ ხობაზოვის საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. სიჭინავას თავმჯდომარეობით დაიწყო რუბენ ხობაზოვის საქმის გარჩევა. მას ბრალდება 5.000 მანეთის მითვისება და გაფლანგვა ტყავ-ტრესტის მოლარეთ ყოფნის დროს. საქმის შინაარსი მოთავსებული გვქონდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

ბრალს სდებს პროკურორი გრიგოლია, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი დოლუხანოვი.

ხობაზოვის დამცველი დოლუხანოვი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლოს პროცესზე გამოწვეული იქნას კომერციული ბუხჰალტერიის მცოდნე ექსპერტები და დამატებითი მოწმეები.

სასამართლო ადგენს: გამოწვეული იქნას ექსპერტები, ხოლო დამატებითი მოწმეების გამოწვევაზე დამცველს უარი ეთქვას.

სასამართლოს შემდეგი სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

საქმის გარჩევა გაგრძელდება რამოდენიმე დღეს.

„წმინდა მამების“ საქმე

18 ნოემბერს, აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესია ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით, პროკურორ კატალოვის და საზოგადო ბრალმდებლის რასულ-ზადეს მონაწილეობით, სოფ. წალკაში (თბილისის მაზრა) გაარჩევს „წმინდა მამების“ საქმეს.

პროცესი საზოგადოებრივ - საჩვენებელი ხასიათისაა.

ავანტიურისტების გასამართლება

დღეს სამხედრო ტრიბუნალში ამხ. სადოვნიკოვის თავმჯდომარეობით და პროკურორ უხუფანიანის მონაწილეობით გაირჩევა ავანტიურისტ ვლადიმერ პოლტაშევსკის საქმე.

კოოპერატიულ ფულის მოყვარულნი

გუშინ დასრულდა საბრალდებლო ოქმის წაკითხვა კოჯორის კოოპერატივის თანამშრომელთა საქმეზე.

დღეს დაიწყება მოწმეების დაკითხვა.

ხრაპკინის საქმე

1923 წელს 24 ნოემბერს, ღამით ორი შეიარაღებული პირი თავს დაესხა ხაშხაშ კაცუტაშვილის ოჯახობას და განუცხადა მათ, რომ ისინი არიან სისხლის სამართლის მილიციის აგენტები და დავალებული აქვთ მათი ბინების გაჩხრეკა. ბოროტმოქმედებმა აღმოაჩინეს ძვირფასი ნივთები, რაზედაც შეადგინეს სათანადო ოქმი. ნივთები კი წაიღეს და მიიმალნენ. გაიტაცეს აგრეთვე 10 მილიონი მანეთი ბონით.

ამ საქმის გამო მილიციამ ეჭვით შეიპყრო ლეონიდ უტულოვი.

სასამართლოს წინაშე უტულოვმა განაცხადა, რომ მას ამ საქმეში ბრალი არ მიუძღვის; როგორც მას სმენია—ეს ბოროტმოქმედება ჩადენილია ცნობილი ყაჩაღის ბორის ხრაპკინის მიერ. სასამართლომ საქმე გადასცა გამატებითი გამოძიების მოსახდენად. ამ საქმის გამო წარმოებულმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ამ საქმეში ბრალი მიუძღვის ხრაპკინს და ვანიძეს, რომელიც შემდეგ გარდაიცვალა.

ექსპერტების დასკვნით, ოქმი ძვირფასი ნივთების აღმოჩენის შესახებ არის დაწერილი ხრაპკინის მიერ.

გუშინ ხრაპკინის საქმე გასარჩევად დანიშნული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში, მაგრამ გადაიდო 24 ნოემბრისათვის.

განაჩენი დერძიბაშევის და სხვათა საქმეზე

წუხელ, ღამის 2 საათზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი დერძიბაშევის და სხვათა საქმეზე.

სასამართლომ ბრალდებული დერძიბაშევი უდანაშაულოთ სცნო 3.000 მანეთის გაფლანგვაში და გაამართლა.

სასამართლომ ქავჟარაძე, ჯაველიძე და დერძიბაშევი დამნაშავეთ სცნო სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობასა და დაუდევრობაში, რისთვისაც მიუსაჯა მათ ხუთ-ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით. ამნისტიის შეფარდებით ყველა ისინი სასჯელისაგან განთავისუფლებული არიან.

ქავჟარაძეს, დერძიბაშევს და ჯაველიძეს დაეკისრათ სამოქალაქო ძიების დაკმაყოფილება 3.000 მანეთის რაოდენობით.

ბრალდებული გოგოშიძე სასამართლომ სრულიად გაამართლა.

სესია ყარაიაზში

დღეს, 12 ნოემბერს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო გზავნის ყარაიაზში სპეციალურ სესიას ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ჯანჯღავას მონაწილეობით. სესიას დანიშნული აქვს განსახილველად სამი საქმე დაცემისა და მკვლელობის შესახებ.

ცირკი

სამშაბათს, 16 ნოემბერს, გაიხსნება ცირკის საზამთრო სეზონი.

წელს, როგორც წინა წლებშიც, ცირკი იქნება საქართველოს დამსახურებული არტისტების ძმ. ტანტების ხელში.

მოწვეული იქნება რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან საუკეთესო არტისტები. ყოველ თვიურად მოხდება დასის შეცვლა და შევსება ახალი ძალებით.

სხვათა შორის, განზრახულია დუროვის მოწვევა თავისი ახალი ცხოველებით.

ამას გარდა, ცირკის ადმინისტრაციას განზრახვა აქვს დეკემბრიდან მოაწყოს ფრანგული ჭიდაობის ჩემპიონატი. მოწვეული იქნებიან საუკეთესო მოჭიდავეები.

ხელოვნება

კინო-სურათები მუშათა კლუბებს

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა პროფკავშირების კულტკომისიების თათბირი. რომელზედაც მოსმენილი იქნა ამხ. ქშონზერის მოხსენება კინო-სალექციო-საექსკურსიო მუშაობის შესახებ.

გამოირკვა, რომ კინო აქამდე მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში იყო მხოლოდ გართობის საგანი; ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული კინო-სურათების შერჩევას. იძენდენ და აჩვენებდენ უმთავრესად ისეთ სურათებს, რომლებიც კომერციულად უფრო ხელსაყრელი იყო.

თათბირმა დაადგინა ამიერიდან კინო-სურათების შერჩევას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და ეს საქმე დაევალა სალექციო-საექსკურსიო ბიუროს.

საბჭოთა კავშირში დამზადებული და უცხოეთიდან მიღებული ყველა სურათები დაყოფილია ორ სერიად: ა. და ბ. სერია— ა-ში მოქცეულია ისეთი სურათები, რომელთა დადგმა შეიძლება მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში.

მეტად ცუდათაა დაყენებული კინო-ლენტების შერჩევა პროვინციაში. აქ სრული ქაოსია გამეფებული. აჩვენებენ ყოველგვარ სურათს, რისი შოვნაც კი შეიძლება ადგილობრივ.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ შეიმუშავა სია იმ სურათებისა, რომლებიც მიღებულია დასადგმელად მუშათა კლუბში და 6 წითელ კუთხეებში. პროვინციაში მომუშავე ამხანაგები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ამ სიით და აჩვენონ მხოლოდ ის სურათები, რომლებიც მოხსენებულია მასში.

◆ „რიგოლეტო“. დღეს ოპერის თეატრში მიდის ოპერა: რიგოლეტო“.

◆ თურქული წარმოდგენა. რუსთაველის თეატრში დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ მუშათა ცენტრალურ კლუბში. დღეს მუშათა თეატრის რუსული დრამა გამართავს წარმოდგენას.

◆ „პროცესი 8 მილიონის შესახებ“ ამჟამად მიდის კინო „პალასში“.

◆ ზოიას ბინა“. ხვალ მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „ზოიას ბინა“.

◆ ვალერია ნგაფრინდაშვილს ლექსების წიგნი გამოვა ამ თვის ბოლოს.

◆ მუშათა თეატრის ქართული დრამის სეზონი გაიხსნება ამ დღეებში.

◆ „ხამანაშვილის დედინაცვალი“. თბილისის კინოებში ამ თვის ბოლო რიცხვებში წავა სახკინმრეწვის სურათი: „ხამანაშვილის დედინაცვალი“. დადგმა კ. მარჯანიშვილის.

შემთხვევები

კატასტროფის მსხვერპლი

გუშინ, ღამით ქალაქის პირველ საავადმყოფოში გარდაიცვალა ტრამვაის კატასტროფის დროს დაშავებული აშხენ ხაჩიკიანცის ქალი.

თავდასხმა

რამდენიმე კვირის წინეთ სოფ. ბარბაქსიზის და გერმანელების ახალშენის როზენბერგის შუა გაძარცვის მიზნით თავს დაესხენ ექვსი ბოროტმზრახველებმა მიმავალ ცოლქმარს იუსუფ და ესტერ დანიელოვებს. მაგრამ წინააღმდეგობის გაწევისა და ატეხილ ყვირილის გამო, მათი გაძარცვა ვერ მოახერხეს და მიიმალენ. ამჟამად უკვე შეპყრობილი არიან ორი ბოროტმოქმედთაგანი, რომლებიც აღმოჩნდენ ანასტასი მეზიროვი და სტოვორ სამურგანოვი.

მტკვარში გადავარდნა

გუშინ, დაახლოებით დილის 9 საათზე ვერის ხიდიდან თავის დახრჩობის მიზნით მტკვარში გადავარდა 32 წლის დედაკაცი და დაიხრჩო.

გვამი გადაგზავნილია რესპუბლიკის პროზექტურაში.

ვინაობა ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის.

გვამის გამოცნობა

გუშინ, საღამოთი რესპუბლიკის პროზექტურაში გამორკვეული იქნა გუშინ დილით მტკვარში გადავარდნილ დედაკაცის გვამი. იგი აღმოჩნდა ევგენია (ჟენია) ხანდამიშვილი, მცხოვრები ტყის შესახვევი № 35.

თვითმკვლელობის მიზეზი რომანიულია.

რამდენიმე თვის წინეთ ზაქათალის მაზრაში სოფ. ალიაბათში მიმავალ ერთი მგზავრთაგანი ბუჭურაული დაიკარგა უგზო-უკვლოდ. რამდენიმე დღის წინად, დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ბუჭურაულის გვამი აღმოჩენილი იქნა სოფ. მოსულის მახლობლად ჰაში. მიღებულია ზომები, შეპყრობილი იქნენ ბუჭურაულის მკვლელები სოფ. კარაბაღის (ზაქათალის მ.) მცხოვრებნი ხამან ასან-ოღლი და ნადირ ჯადამაშ-ოღლი.

დაჭრა

გუშინ, დაახლოებით ღამის 10 საათზე მეხუთე სამილიციო კომისარიატის ახლოს შაქრო ჩხირაძემ და აბაზ ალი-ოღლიმ დანით სასიკვდილოთ დასჭრეს გასან მამედ-ოღლი—შურისძიების ნიადაგზე.

მამედ-ოღლი მოთავსებულია საავადმყოფოში. მას მიყენებული აქვს 14 ჭრილობა. ბოროტმოქმედნი შეიპყრეს.

◆ ძარცვლების დაპატიმრება. წალკის თემში დააპატიმრეს მძარცველები ამზა მამედ-ოღლი და მოლლა, იგივე იბრაგიმ ყარამან-ოღლი.

◆ ქურდობა. 10 ნოემ. კამოს ქ. № 83, გაქურდეს ალექსანდრა ჯამასკოვას ბინა.

ხანძართან ბრძოლა

უკანასკნელ ხანებში სახანძრო ინსპექციასა და სხვადასხვა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს შორის ადგილი ჰქონდა კონფლიქტს სახანძრო საქმის გარშემო. ამის გამო თბილისის ბრანდმაიორმა ამხ. ალ. ბერიძემ განაცხადა შემდეგი:

— ხელისუფლების ყოველგვარი ცდა მიმართულია ამჟამად მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისაკენ. მომჭირნეობის რეჟიმის გატარება კი მარტო იმაში არ გამოიხატება, რომ შევამციროთ მივლინებები და დღიურების გაცემა. ამას წინეთ „კომუნისტში“ იყო ცნობა, რომ დაიწვა თელავის ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ამ ქარხნის დაწვამ დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს სახელმწიფოს.

არც ერთი დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წარმოება არა გვაქვს დაზღვეული ხანძრისაგან და ამით მოსალოდნელია დიდი ზარალი. ამას წინეთ ჩვენ ერთგვარი უკმაყოფილება გვქონდა აკადემიურ თეატრებთან. თბილისში ორი დიდი თეატრია. რომელიმე მათგანი, რომ დაიწვას ეს იქნება აუნაზღაურებელი ზარალი. დღეს ეს კონფლიქტი თითქმის სავსებით მოგვარებულია.

როგორც მედიცინაში, ისე ჩვენს დარგში საჭიროა, არა მარტო მოვლენილ უბედურების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ წინასწარი, გამაფრთხილებელი ზომების მიღება.

თბილისის ზოგიერთ დაწესებულებებთან ჩვენ უკვე შევქმენით ე. წ. სახანძრო საგუშაგოები. საჭიროა ასეთივე საგუშაგოების მოწყობა ყველა ფაბრიკებთან და მსხვილ წარმოებებთან. ამის თაობაზე ამჟამად მოლაპარაკებას ვაწარმოებთ მთელ რიგ ორგანიზაციებთან და წარმოებებთან.

ნავთსადგურები

ფოთის ნავთსადგურის კაპიტალური შეკეთება დასრულდა ნოემბრის პირველ რიცხვებში. შესრულებულია მიწის ამოსაღები მუშაობა და გაწმენდილია მდინარე რიონის შესართავი. ამას გარდა გაფართოებულია ზღვის არხი 50 საჟენით. არხის გაფართოებასთან ერთად მოხდა მისი გაღრმავება 30 ფუტის სიღრმემდე.

არხის გაწმენდის დროს ამოღებულ იქნა 35.000 კუბ. საჟენამდე ნალექი სილა. ამასთანავე სწარმოებდა ნავთსადგურის სამხრეთ საბჯენების შეკეთება, რომელიც ჯერ არ შეკეთებულა და შერეცხილი იყო წყლით. ამჟამად სწარმოებს მუშაობა ჩრდილოეთ საბჯენის შესაკეთებლად.

ავტომობილები

ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის საოლქო სამმართველოს ცნობით, საქართველოში 1922 წლიდან შემოზიდულია და მუშაობს 1.114 ავტომანქანა. აქედან გასულ 1925—26 წლის განმავლობაში შემოზიდულა 231 ახალი მანქანა.

ამასთან ერთად გაზრდილა ტვირთზიდვა გასულ წლებთან შედარებით.

ზემო - ხსენებულ საოპერაციო წლის განმავლობაში ავტომანქანებს გადაუზიდავთ 30 მილიონი ფუთი ტვირთი.

პიდორეთის გლეხები

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო ს. პიდორეთის გლეხები გადაასახლოს სხვა, უფრო ნაყოფიერ ადგილებზე.

გადასახლების სახელმძღვანელოდ პრეზიდიუმმა შეადგინა კომისია, რომელშიაც შედიან: აღმასკომის, საადგილმამულო განყოფილების, საორგანიზაციო განყოფილების და მიწ.-მოქმედების კომისარიატის წარმომადგენლები.

კომისიას დაევალა ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს დაწვრილებითი მოხსენება პიდორეთის გლეხების გადასახლების შესახებ.

რკინის გზეზე

მიმოსვლის შეცვლა

ორ წყვილ ჩქარი მატარებლიდან, რომლებიც დადიან თბილის-მოსკოვს შორის, 15 ნოემბრიდან იცვლება ერთი წყვილის მიმოსვლა შემდეგნაირად:

მატარებელი, რომელიც მოდიოდა მოსკოვიდან თბილისში ხუთშაბათობით, მოვა შაბათობით; მატარებელი, რომელიც გადიოდა თბილისიდან მოსკოვში შაბათობით, გავა ორშაბათობით.

შეშის გადაზიდვა

დახურულ ვაგონების ნაკლებობის გამო. ა.-კ. რკ.-გზ. შეშის გადაზიდვას აწარმოებენ ღია ვაგონებით.

ქუთაისის ბაზარზე

თბილისის საქონლის ბირჟის ცნობით, ქუთაისის ბაზარზე ნაკლებათ იშოვება ფართლეულობა. ეს განსაკუთრებით საგრძნობია მიტკალზე, ნარმაზე და ჩითზე; კოოპერატივებში ეს საქონელი სრულიად არ მოიპოვება, ან თუ არის ძალიან განსაზღვრული რაოდენობით.

სიცივების დაადგომის გამო, დიდია მოთხოვნილება ზამთრის სეზონის ფართლეულზე.

რკინეულობის და საამშენებლო მასალების საქონელზე დიდი მოთხოვნილებაა, ხოლო მიწოდება კი არ არის.

ამ შემოდგომაზე დიდის რაოდენობით შემოჰქონდათ გლეხებს ბაზარზე ყურძენი, რაც ეხლა შემცირებულია. ყურძნის მთელი ბაზარი სახელმწიფო ორგანიზაციების ხელშია.

ფეხბურთი

საქართველო—თბილისი

მიუხედავათ ცუდი ამინდისა, გუშინ ლენინის სახელობის სტადიონზე მაინც გაიმართა საქართველოს და თბილისის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრი.

თუმცა თამაშს საგრძნობლად ხელს უშლიდა ტალახი, მაგრამ მიუხედავათ ამისა შეჯიბრი მაინც საინტერესო გამოდგა.

საქართველოს ნაკრები გუნდი თამაშობდა თავისი ძირითადი შემადგენლობით: პაპკოვი, ბიბაევი, ლაზარევი, ფრუიძე, პოლოსოვი, ანოკინი, ქჟიავა, ფაჩულია, გალპერინი, ჟორდანია და ქებაძე.

თბილისმა ვერ შესძლო იმ შემადგენლობის გამოყვანა, რომელიც გამოცხადებული იყო გუშინ. გუნდს აკლდა პარამონოვი და მდივანი, რომლებიც შესცვალეს „არსრაიონის“ მოთამაშეებმა.

თბილისის მხრიდან თამაშობდენ: ბადდოევი, გასპაროვი, ხევსურიანი, პანდელოვი, იმნაძე, ფეოდოროვი, ცომაია ვლ., მადალაშვილი, სოლტანი, მოროზოვი და „არსრაიონის“ მარცხენა გარე-მარბი.

თამაშის პირველი განყოფილება უფერულად ჩატარდა. არც ერთი გუნდი არ თამაშობდა დიდის მონდომებით. თამაში რამოდენიმეთ გაცხოველდა ტაიმის მეორე ნახევარში, როდესაც მოთამაშეები შეეჩვივენ ტალახს.

თავიდანვე უპირატესობა დაეტყო საქართველოს ნაკრებ გუნდს, რომელიც ხშირად ქმნიდა საინტერესო მომენტებს მოწინააღმდეგის კარებთან, მაგრამ ვერ სარგებლობდა ამ მომენტებით.

თბილისის გუნდსაც ჰქონდა რამოდენიმეჯერ საშუალება ადვილად გაერღვია საქართველოს ნაკრები გუნდის კარები, მაგრამ ხშირი „მაზების“ წყალობით ეს შესაძლებლობა გამოუყენებელი დარჩა.

ხუთი წუთით ადრე ტაიმის გათავებამდე ქებაძემ პირველი ლამაზი ბურთი შეიტანა თბილისის ბადეში და თამაშის პირველი განყოფილებაც ამით დასრულდა.

მეორე ტაიმში თამაში უკვე გაცხოველდა. ბრძოლის ინიციატივა აქაც საქართველოს ნაკრები გუნდის ხელში იყო, თუმცა დროგამოშვებით თბილისიც სასტიკ იერიშებს ანვითარებდა.

თამაშის მე-15 წუთზე ფაჩულია მეორე ბურთს გაატარებს თბილისის კარებში. თბილისი ცდილობს გაარღვიოს ანგარიში, მაგრამ უშედეგოთ.

ჩქარა ჟორდანია მესამეთ აარღვევს თბილისის გუნდის ბადეს. აშკარაა, დამარცხება ვერ ასცდება თბილისს. ამ უკანასკნელის მოთამაშეები მოიკრიბენ უკანასკნელ ძალღონეს და შეუდგრათ ეკვეთებიან მოწინააღმდეგეს, რომ ერთხელ მაინც მოაქციონ ბურთი მის კარებში. და მართლაც სოლტანი მოახერხებს ბურთის საქართველოს გუნდის კარებამდი მიტანას, აქ პას აძლევს მადალაშვილს, ეს უკანასკნელი კი ურტყამს ლამაზ კლოხურს და ბურთი საქართველოს ნაკრები გუნდის ბადეშია მოქცეული.

ტაიმის ბოლომდე მიღწეული შედეგი აღარ დარღვეულა და შეჯიბრი დამთავრდა 3:1 საქართველოს ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: პროფკავშირის წევრთათვის შესასვლელ ფასათ დაწესებულია 50 კაპ., რაც მეტად დიდათ უნდა ჩაითვალოს. ამხანაგურ შეჯიბრებზე ასეთი ფასის დაწესება დაუშვებელია. საჭიროა ფეხბურთის მასებთან დაახლოვება. ამისათვის კი საჭიროა ბილეთების ფასის დაკლება.

კ.

მეცნიერება და ტეხნიკა

ტუტ-ანხ-ამონის განძი

ეგვიპტეში, ე. წ. „მეფეთა ველზე“, ფარაონ ტუტ-ანხ-ამონის სამარხის პოვნა მთელ ეპოქას წარმოადგენს ეგიპტოლოგიაში (მეცნიერებაში ეგვიპტის შესახებ).

არასოდეს პირველი (ფრანგი) არქეოლოგების შემდეგ, რომლებსაც ეკუთვნის პირველი დამსახურება იმ კულტურის გაცნობაში, რომელიც ოდესღაც ყვაოდა ნილოსის ველზე, არ უპოვნიათ მეფის სამარხი, რომელიც ასე უხლებლად ყოფილიყოს დაცული, გადარჩენოდეს ყველა ეპოქების მძარცველებს და აგრეთვე გამოუცდელ მკვლევარებს.



ტუტ-ანხ-ამონის თავი

მეტად დიდია რიცხვი მატერიალური კულტურის იმ ნაშთების, რომლებიც ნაპოვნი იქნა ტუტ ანხ-ამონის სამარხში. მასალები, რომლებითაც ისინი არის დამზადებული და აგრეთვე მხატვრულობა, როგორითაც ისინი არიან შესრულებული, ამტკიცებენ, რომ ეგვიპტის კულტურა, ყოველ შემთხვევაში მატერიალურათ უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ფიქრობდენ წინათ.

სამარხში იპოვეს ისეთი საგნები, რომლების შესახებ, დღემდე არსებული შეხედულებით, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. ასეთია, მაგალითად, ხელთათმანები, მარა, სარკე, სურნელებათა შესანახი შესანიშნავი ფლაკონები და სხვ.

სამარხის ცალკე ოთახების თანდათანობით გახსნის შემდეგ იპოვეს ოთახი, რომელშიც მოთავსებული იყო კუბო (სარკოფაგი) ფარაონის ნეშტით. სარკოფაგი სამი კუბოსგან შესდგებოდა. ყველა კუბოები ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს და უდიდეს განძს წარმოადგენენ (საკმაო არის აღინიშნოს, რომ კუბო, რომელშიც ფარაონის ნეშტი ესვენა, მთლიანად ოქროდან არის გაკეთებული). დიდი სიფრთხილით შეუდგენ ნეშტის განთავისუფლებას ქსოვილებიდან, რომლებითაც იგი იყო შემოსილი. [illegible] ხულიყო ფარაონის თავი. ტანი კი ალაგ-ალაგ გახრწნილი აღმოჩნდა და მისი სავსებით განთავისუფლება ქსოვილებიდან არ მოხერხდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ რაღაც, დღემდი გამოურკვეველი მიზეზების გამო, ტუტ-ანხ-ამონის ნეშტის შემურვა ნაჩქარევად ხდებოდა. ნაწილობრივი გახრწნა შეეძლო გამოეწვია იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ (ოქროს კუბოში) ფარაონის ნეშტს ეფარა მხოლოდ ოქროს ნიღაბი (თავზე და მხრებზე), დანარჩენი სხეული კი ქსოვილებით იყო შემოსილი. ჩვეულებრივ კი შემურვილ ნეშტს აკრავდენ კარტონს, რომელიც მზადდებოდა პაპირუსის ნაგლეჯების ერთმანეთზე დაწებებით. ამ კარტონებს მეცნიერები ასველებდენ, შლიდენ და ძველი მწერლობის შესანიშნავ ნიმუშებს პოულობდენ, ასე მაგალითად, ერთ-ერთ ბერძნულ სამარხში ნაპოვნ კარტონზე აღმოჩნდა ნაწყვეტი ჰომიროსიდან (ძველი საბერძნეთის პოეტი).

ტუტ-ანხ-ამონის ნეშტს თავზე აღმოაჩნდა თავისებური არქეოლოგიური განძი—მეფის გვირგვინი. ეს არის პირველი გვირგვინი, რომელიც ასე მშვენივრად დაცული იპოვეს.

სხვა ნაპოვნ ნივთებიდან უნდა აღინიშნოს გულის სამკაული, რომელიც წარმოადგენს ფრთა-გაშლილ უცნაურ ფრინველს. ეს სამკაული, ისე როგორც ტუტ-ანხ-ამონის აკლდამაში ნაპოვნი სხვა ნივთები, არაჩვეულებრივი მხატვრული მუშაობის ნიმუშს წარმოადგენს.



ტუტ-ანხ-ამონის სამეფო გვირგვინი

სამარხში ნაპოვნი ყველა ნივთები ამჟამად მოთავსებულია კაირის პატარა მუზეუმში, რომელიც გამდიდრდა 35 საუკუნ. სიძველის მქონე განძეულობით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს (პარასკევს) დღის 12 საათზე ბიუროში:

ჯღარკავა ნინო, გოგია თედორე, ცინცაძე გრიგოლ, მესხი ბენო, ჩხიკვიშვილი მილოსი, წალაღურიძე ნიკოლოზ, გოლოძე ვარლამ, ცაგარელი ქეთო, გალდავა ლავრენტი, ეგანია ალექსანდრე, თურმანიძე მიხეილ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს (პარასკევს) საღამოს 8 საათზე მოწვეულია ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის და კომკავშირის უჯრედის გაერთიანებული კრება.

დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს (პარასკევს) საღამოს 5 საათზე მოწვეულია პედ. ფაკულტეტის კომუჯრედის და კომკავშირის უჯრედის გაერთიანებული კრება.

დასწრება სავალდებულოა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს პარასკევს 12 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია სამკურნალო ფაკულტეტის უჯრედის კრება. დასწრება უჯრედის ყველა წევრების და კანდიდატებისა სავალდებულოა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს რაიკომებს, რათა მორიგ პარტიულ დღეს, პარასკევს, 12 ნოემბერს უჯრედების სხდომებზე დასვან ადგილობრივი საკითხები.

კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების კონფერენცია ქ. თბილისში ყველა მუშკორების და ახკორების მონაწილეობით გაგრძელდება შაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბში.

დღის წესრიგი: 1) კამათი ამხ. ასრიბეკოვის მოხსენების გამო—მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის შესახებ.

2) ამხ. სუტირინის მოხსენება კედლის გაზეთების მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე მოწვეულ არიან კომუნისტ. პარტიის და კომკავშირის საგიტაციო-საპროპ. განყოფილებათა გამგეები, პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებათა გამგეები და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კომუჯრედების აგიტ-პროპორგანიზატორები.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა მორიგ პარტიულ დღეს, პარასკევს 12 ნოემბერს, უჯრედების სხდომაზე განხილულ იქნას საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ცირკულიარი პარტ-აღწერის შესახებ.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა შესდგება შაბათს, 13 ნოემბერს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა შესდგება ხუთშაბათს 11 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე.

ქართული ჯგუფი—აგიტ-პროპ მუშაკის ცენტრალურ კაბინეტში.

სომხური ჯგუფი—მე3-ე რაიონის პარტიულ კლუბში.

რუსული ჯგუფი—განათლების მუშაკთა სახლში.

ღრმად დამწუხრებულნი და უნუგეშოდ მყოფნი მშობლები მიხეილ და სოფიო, და ნადეჟდა ანანჩენკოვები ულრმეს მადლობას უცხადებენ, როგორც აბასთუმნის საზოგადოებას, განსაკუთრებით აბასთუმნის მეოთხე სანატორიუმის გამგეს, ს. ფავლენიშვილს, აგრეთვე ქუთაისის ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, ვინც სამგლოვიარო წერილით, დეპეშით, ან პირადი დასწრებით მიიღო მონაწილეობა ამათი პირმშო

მარიკო ანანჩენკოს

დაკრძალვის დღეს. ღ.

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 13 ნოემბერს, ან. გლებოვის **ზაგმუკ**
ისტ. დრ. 4 მოქ. თარ. ალ. შანშიაშვილის
დადგმა ალ. ახმეტელის

კვირას, 14 ნოემბერს გრ. რობაქიძის **ლამარა**
პიესა 4 კამარათ. მუსიკა ი. ტუსკიასი
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის
დეკორაციები ლ. გუდიაშვილის
ნ. 204

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 21 ნოემბერს,
მესამე აბონემენტის მესამე სპექტაკლი **რიგოლეტო**
მონ.: კალანდაძე, მაყაშვილი, კანცბურგი, გორელოვი, მესხიაევი.
მესამე აბონემენტის საფასურის მორიგი გადახდა.
დარჩენილი ბილეთები იყიდება.
შაბათს 13 ნოემბერს, პრემიერა **ურიის ქალი**
ნ. 201

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

დღეს და ყოველდღე
საქართ. სახკინმრეწვის ახალი სურათი
გაფლანგვა
რეჟისორი ი. პერესტიანი
ოპერატორი ა. დიღმელოვი
მთავარ როლებში: ს. ჟოზეფი, მ. ტენაზი, ს. პრივალოვი, პ. ესიკოვსკი, ი. კრუჩინინი, პ. მორსკოი, მ. იაკობინი.
სალარო ღიაა 5 საათ. და 30 წუთ.
„აპოლო“-ში და „დარბაზში“ პროგრამის გარეშე ნაჩვენები იქნება „მიწისძვრა სომხეთში“
ნ. 157 0—9

მონაწილეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორნის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

რესპუბლიკის ცენტრალური არქივი
1926 წლის ნოემბრის 16-ს დილის 11 საათზე
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის (ოლღას ქ. № 48)
უვარგის ქაღალდებს 300 ფუთამდე და სხვადასხვა ოდნავ დაზიანებულ ან გაუვარგისებულ ნივთებს:

გუთანს, ქვაბებს, სარეცელს, რკინის ღუმელს, თუნუქის ყუთებს, ბორბლებს, დივანს, პირსაბანს, ასფალტს, სურათის გიპსის ჩარჩოებს, მანიკენებს, (პაპიე მაშედან), და სხ. გასაყიდი ქაღალდის და ნივთების დათვალიერება შეიძლება ყოველდღე დილის 10 საათიდან 2 საათამდე ცენტრარქივის კომენდანტთან. ნ. 202 2—1

ქ. თბილისის 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუთჩევი

აცხადებს, რომ 15 ნოემბერს, 1 საათზე, უნივერსიტეტის ქუჩაზე, № 4, გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** იასონ გაბილაიას 2 სართულიანი სახლი, რომელშიაც მოთავსებულია 7 ოთახი და 2 სამზარეულო. სახლი ეს შეფასებულია 1500 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია ცენტრალურ კავშირის და სხვების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლათ, საერთო ჯამით 4256 მან. და 15 კ.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები; გარდა ამისა უნდა ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც., ე. ი. 150 მან. 532

გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ 20 და 21 ნოემბერს სოფ. სართიჭალაში, მუღანლოში და ხაშმში ის გაყიდის მოძრავ ქონებას ლადო და იოსებ ჭოხონელიძეების, სიმონ ჯარიაშვილის, არჩილ დათუაშვილისას, ნიკოლოზ ხელსუფლოვისა, სოლომონ ჯინიყაშვილისა, ფირუზ ყაითმაზოვის, იოსებ ყვარელიშვილის, ვასილ გოგნიაშვილის, სანდრო გოგნიაშვილის, დიმიტრი და სანდრო ნაჩხატაშვილების, სიმონ შავკაციშვილის, იბრაგიმ ასკარ ოღლის, გუმბათ ალი ოღლის, მუსტაფა მამედ ოღლის, იბრაგიმ აიდარ ოღლის, ნაფტალი ნაბი ოღლის და ამირასტან ბურდალი ოღლისას—ხელით საკერავ მანქანებს, ხარს, ძროხებს, შკაფებს, კამოდებს, ხალიჩებს, ფარდაგებს, სკამებს, სპილენძეულობას, სამოვრებს და სხვ., აწერილს დასაკმაყოფილებლად მუშკოოპის სართიჭალის განყოფილებისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან და თითოეული საგანი გაიყიდება ცალ-ცალკე. 533

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 16 ნოემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 8 იერუსალიმის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის კარაპეტა ტუმალარიანცის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას, შეფასებულს 68 მანეთად, თბილისის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის საზინაო სახალხო სასამართლოსაგან 1 ნოემბერს, 1926 წ. თარიღით, № 3025 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. 530

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 16 ნოემბერს 1926 წ, საათის 12 კომუნალურ ქ. № 9 და 24 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მამედ ალი ნაჯებზადეს მოძრავ ქონებას: სპილენძეულობას, ხალიჩას, ოქროს საათს, ყურძნის საწურს და კანფეტის ჩამოსასხმელ მანქანებს, ყუთებს, ტომრებს, ქვაბს და საბაკალეინო საქონელს და კომუნალურ ჩიხში № 9, საათის 2—სალაროს, ხალიჩას, სპილენძეულობას და სხვ. შეფასებულს 1189 მან. 40 კ. დასაკმაყოფილებლად „გოსტორგი“-სა და საურთიერთო ნდობის საზოგ. ვაჭრობა დაიწყება თავისუფალი ფასიდან. 528

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 17 ნოემბერს 1926 წელსა დილის 10 საათზე ადგილობ ქ. ქუთაისში ოქტომბრის რევოლიუციის ქუჩის მე-3 შესახვევში № 20, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება ქრისტინე გრიგოლის ასულის კუპრაშვილის ხის სახლი № 20, რომელიც შეიცავს ორ საცხოვრებელ ოთახს და სამზარეულოს, დახურულს თუნუქით და ყავრით, აწერილს დავით მარგველაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი შეფასებულია 200 მანეთად, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამოქ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. ნ. 206

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—2

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი **ჩიჩილაშვილი**
იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9
მიღება დილის 8—12 საათ.
საღამოს 6— 8 საათ. 25—2

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—5

ექიმი **ზ. ა. ტარუმოვი**
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12
ტელ. 22—59,

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
13—21

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა
25—1 ქვ. 379

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1-

---

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი **შუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დილით 1—2 საღამოზე 4—6 საათამდე.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდ კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7.
ტელეფ. 14—56 13—1

ექ. **კ. ტყეშელაშვილი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1

ქუთაისში
ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სიფილისი და ქალთა სნეულებით.
დღის 2—4 სთ. და საღამოს 6—7

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
კრესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სანშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—1

დაბრუნდა
ექიმი ა. დ. შახბაზიანი
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5.

---

10 ოქტომბერს, დილის 9 საათზე ილიკო სეფიაშვილის სახლიდან წავიდა ქ-ლიშვილი ლულიკა 13 წლის, ტანათ დაბალი, შავთვალ-წარბა, ნაყვავილარი, რომელიც არ დაბრუნებულა. ბავშვი წასულა მოსამსახურეთ დადგომის განზრახვით. მშობლები უცხადებენ მნახველთ თუ დამქირავებელს, რათა სასწრაფოთ წარმოადგინონ მშობლებთან კათოლიკების ქუჩა № 17, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვის ძებნის საქმე სათანადო ორგანოს გადაეცემა და დამქირავებელს პასუხი მოეთხოვება. 527

დაკარგვე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ხაჩატურ აგოჯიაცის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 525

დაკარგვე მედსანშრომის საწევრო წიგნაკი № 2666, ანტონ დიმიტრისძე ლორთქიფანიძის სახელზე, ჩ. გ. 526

დაკარგვე პასპორტი და მეტრიკული ამონაწერი არკადი ლუარსაბოვის სახელზე, ჩ. გ. 529

დაკარგვე განათლების მუშაკთა პროფკავშირის წევრობის წიგნაკი № 1243 გაცემული კავშირის სენაკის სამაზრო განყოფილების მიერ მასწავლ. პეტრე სხულუხიას სახელზე, ჩ. გ. 531

დაკარგვე სამხედრო საალრიცხვო ბარათი № 1281 აბრამა მირიანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 532

დაკარგვე სახელმწ. უნივერსიტეტის სოც. ეკონ. ფაკულტეტის მატრიკული გაცემული 1924 წ., ნიკოლოზ გვახარიას სახელზე, ჩ. გ. ქვ. 539

დაკარგვე პირადობის მოწმობა და აღრიცხვის ფურცელი არშაკ მინასისძე ოგანეზოვის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 535

დაკარგვე პასპორტი სიმონ პავლესძე ერაძის სახელზე, ჩ. გ. 536

დაკარგვე პასპორტი ვალიკო სისოსძე ერაძის სახელზე, ჩ. გ. 537

დაკარგვე სამხედრო ნუსხა და პირადობის მოწმობა ვალიკო თაყასძე ბოლქვაძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 538

დაკარგვე სათბობის ქვითარი № 519642, პარმენ ბათლომესძე ფორჩხიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 206

დაკარგვე პირადობის მოწმობა № 311 კონსტანტინე გორგოძის სახელზე, ჩ. გ. 206 ნ.

ალმახკომის სტამბა, კამოს ქ. 68.